# სარბიელი

სპორტული გაზეთი

პარასკევი 12 ნოემბერი 1999 №218 (991)

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ არის მთავარი ინგლისელი ნაბიჭვარი?

EURO 2000

შოტლანდია და ინგლისი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი პლეი ოფის მოლოდინში



## ხვალ ლას ვეგასში!

ჰოლიფილდი ღმერთის შეწევნით ლუისის ცემას აპირებს




## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

წარმოგიდგენთ ლაურეატებს



გიორგი კანდელაკი

# რევაზ ჭოხონელიძე: სასწაული თუ არ მოხდა, კახა კალაძე მილანში ითამაშებს

## „მილანის“ ქართველი სელექციონერი ადასტურებს: კალაძის მსურველთა რიგში „მილანი“ პირველია

რევაზ ჭოხონელიძე — იტალიაში, მილანში მოსაქმიანე ქართველი, საფეხბურთო კლუბ „მილანის“ სელექციონერი, კაცი, რომელსაც თავისი წილი უდევს კიევის „დინამოს“ ფორვარდ ანდრეი შევჩენკოს „მილანში“ გადაყვანაში, რომელმაც ფაქტობრივად მოაგვარა კიდეც ცნობილი უკრაინელის 25-მილიონიანი ტრანსფერი მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბში.

რევაზ ჭოხონელიძის გვარი ამ ბოლო დროს ერთობ პოპულარულია საფეხბურთო საქართველოში.

„სარბიელი“ გუშინ სწორედ მას დაუკავშირდა. მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ. სიამოვნებით დაგვთანხმდა.

სასაუბრო თემას დიდი განვრცობა, ვფიქრობთ, არ სჭირდება. გუშინაც ვწერდით, ადრეც — კიევის „დინამოს“ ქართველ ფეხბურთელს, საქართველოს ნაკრების წევრს კახა კალაძეს ევროპის უძლიერესმა კლუბებმა დაადგეს თვალი. კახას მოსურნეთა რიგიც კი უდგას.

„მილანის“ ქართველმა სელექციონერმა რევაზ ჭოხონელიძემ თითქმის ყველაფერში გაგვარკვია.

— კახა კალაძე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის, ასე ფიქრობენ იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში მომუშავე მწვრთნელები. გასაკვირიც არაფერია, კალაძის მსურველი ევროპაში ბევრია.

**— უფრო კონკრეტულად?**

— რომელი ერთი ჩამოგითვალოთ?... „მილანი“ თავისთავად, „ლაციო“, „პარმა“, „რომა“, „ბარსელონა“, „რეალი“, „არსენალი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“...

**— რატომ, თავისთავად „მილანი“?**

— იმიტომ, რომ „მილანს“ პრიორიტეტი აქვს.

**— ეგ რას ნიშნავს?**

— კიევის „დინამო“ ჯერ „მილანს“ დაელაპარაკება ამ ფეხბურთელის თაობაზე. ამ ორ კლუბს შორის შევჩენკოს ტრანსფერის შემდეგ ძალიან კარგი ურთიერთობაა. პრიორიტეტიც ამას ნიშნავს, ჯერ „მილანი“, მერე სხვა.

**— კახა კალაძის ტრანსფერი როდისთვისაა მოსალოდნელი?**

— სეზონის დამთავრების შემდეგ. კახა, როგორც გითხარით, ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი კია, მაგრამ მას კიდევ სჭირდება ოსტატობის დახვეწა, რისთვისაც, მწვრთნელთა აზრით, მცირე დროც საკმარისი იქნება. ამ ფეხბურთელმა თავის თავი არ უნდა დაკარგოს, თავდაუზოგავად ივარჯიშოს და მწვრთნელის მითითებები შეასრულოს. 2000 წელს კი კახა ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდში ითამაშებს.

**— მართალია, თითქოს კალაძის ტრანსფერი 20 მილიონად ფასობს?**

— იცით, ფულმა ფასი დაკარგა. კალაძე რა დონის ფეხბურთელიცაა, მის სანაცვლოდ იმდენს გადაიხდიან.

**— თქვით, ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოაო, მაგრამ მცველია...**

— რატომ? ბოლო ხანს კალაძე მცველებსა და ნახევარმცველებს შუა თამაშობს. გუსინი მარჯვენა ფლანგს აკონტროლებს, კახა — მარცხენას. ისე კი, რომ იცოდეთ, კიევის „დინამოს“ მწვრთნელის ვალერი ლობანოვსკის თქმით, კალაძე უნივერსალური ფეხბურთელია. აკი ათამაშებს კიდეც იმ პოზიციაზე, სადაც გუნდს დასჭირდება ხოლმე. კახა დიდი ნიჭის პატრონია. კიდევ კარგი, იგი ლობანოვსკის ხელში აღმოჩნდა.

**— გავიგეთ, რომ კალაძის გადაბირება, თქვენს მიერ ჩამოთვლილთა გარდა, სხვა იტალიურ კლუბებსაც მოსდომებიათ.**

— როგორც ვიცი, მილანის „ინტერიც“ დაინტერესებულია. ჩრდილოეთ იტალიაში ძალიან აფასებენ კალაძის დარ ფეხბურთელებს. თუმცა, რიგში პირველი „მილანია“.

**— თქვით, მომავალ სეზონში კახა ერთ-ერთ უძლიერეს კლუბში განაგრძობს კარიერასო. ეს უეჭველია?**

— ჯერ ერთი, კიევის „დინამოც“ ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება ევროპაშიც და მსოფლიოშიც. მეორეც: ყველა ცდილობს, მისი ტრანსფერი რეალური აღმოჩნდეს. შემიძლია ვთქვა — თუ მიწა არ გასკდა, თუ ქვეყანა არ დაიქცა, კახა კალაძე „მილანში“ ითამაშებს.

**— ძალიან კარგი. ახლა ის გვითხარით, სხვა ქართველი ფეხბურთელებით ხომ არ არის რომელიმე იტალიური კლუბი დაინტერესებული?**

— თქვენ ჩემზე უკეთ გეცოდინებათ, რა დღეშიცაა ქართული ფეხბურთი. ერთს მე გკითხავთ — ვინ არის ისეთი ფეხბურთელი, იტალიის, ესპანეთის, ინგლისის ლიგებში ითამაშოს? არის დღეს საქართველოში ისეთი ბიჭი, შევჩენკოს ნახევარი მაინც რომ ღირდეს?

**— არა, მაგრამ ქართველი ლეგიონერები? ლაპარაკობენ შოთა არველაძეს „ფიორენტინა“ იწვევსო.**

— „ფიორენტინას“ ჰყავს შოთას სტილის თავდამსხმელი — იუგოსლავიელი მიატოვიჩი.

**— ესე იგი, იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში ქართველ ფეხბურთელთა გადასვლა არ არის მოსალოდნელი?**

— მე „მილანში“ ვმუშაობ და დანამდვილებით ვერაფერს გეტყვით. ჩვენ, ქართველებმა, მადლობა ვუთხრათ ვალერი ლობანოვსკის, კალაძე კიევში რომ წაიყვანა და თანამედროვე, სწორი, კარგი ფეხბურთი ასწავლა.

**— დაბოლოს, ბატონო რევაზ, თქვენს სტატუსზეც: „მილანში“ ოფიციალურად მუშაობთ?**

— „მილანი“ მე ხელფასს მიხდის და პროცენტს სახელმწიფოსაც ვუხდი. „მილანი“ ვალდებულია, პენსიაც გადამიხადოს. ასე რომ, ოფიციალურად ამ კლუბის თანამშრომელი ვარ...

ჭოგა ინასარიძე

# დიდი ჩხუბი დიდი კრივის წინ

## ბარკლი — ონილი: კალათბურთის ვარსკვლავთა საკრივო რაუნდი

ჰოლიფილდ-ლუისის საჩემპიონო ბრძოლამდე ორი დღით ადრე ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ორმა დიდმა მოთამაშემ სახვალიო საკრივო მატჩის რეპეტიცია გამართა. „ჰიუსტონ როკიტსის“ ფორვარდმა ჩარლზ ბარკლიმ და „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ ცენტრმა შაკილ ონილმა ერთმანეთს თავ-ყბა და გვერდები დაულეწეს

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




REUTERS ჰიუსტონიდან

ჰიუსტონი — ლეიკერსი. თანაგუნდელები და მეტოქეები ბარკლისა და ონილის გაშველებას ცდილობენ



კიეველი კახა კალაძე (მარჯვნივ) რომაელ ალენ ბოკშიჩთან ორთაბრძოლაში

# რემბოს ომში არ უშვებენ

ომი და უბედურება ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ ზონებში ერთობ დაიძაბა სიტუაცია. მართლაც XI ეროვნული ჩემპიონატის XII ტურის წინ „ა“ და „ბ“ ზონაში იმგვარი ვითარებაა, რომ ჩვენს ისედაც ნაომარ საფეხბურთო მინდვრებზე ბევრგან ცეცხლს დაანთებენ გუნდები (აქ სხვანაირ ცეცხლზეა საუბარი), ისე რომ, ამ ცეცხლს ზოგიერთი კლუბის ზონალური მიზნები შემოეწვება. მიზანი, რა თქმა უნდა, ოთხეულში მოხვედრაა. XII ტური კი (ისევე როგორც XIII) უმსაჯებოდ არ ჩაივლის, მაგრამ რჩეულ შავოსანთა ორი წარმომადგენელი ამ ეტაპზე მაინც იზოლირებული აღმოჩნდა. რამდენიმე დღის წინ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა განიხილა ფიფას ქართველი არბიტრის, მერაბ მალაღურაძის საკითხი. კომიტეტის აზრით, მალაღურაძემ „დინამო“ — „ვიტ ჯორჯიას“ ამასწინანდელ მატჩში უეჭველი პენალტი არ დანიშნა ვიტჯორჯიელი გიორგი ყიფიანის წაქცევის გამო. სფფ-ის სამსაჯო-საინსპექციო კომიტეტის სადისციპლინო კოდექსის თანახმად, მალაღურაძე მკაცრად გააფრთხილეს. მსგავსი შეცდომის განმეორების შემთხვევაში კი ერთიდან სამ თვემდე დისკვალიფიკაციასაც დაჰპირდნენ. მოკლედ, მსაჯი დაისაჯა, მაგრამ მკაცრად გაფრთხილება იმას არ ნიშნავს, რომ ფიფას არბიტრს კარს მომდგარი ტური უნდა გამოეტოვებინა. თუმცა, როგორც ჩანს, ფსიქოლოგიურად მოღონიერების მიზნით (სფფ-ს ექსპერტთა განმარტებით სწორედ ფსიქოლოგიური ბარიერი ვერ დაუძლევია მსაჯს დედაქალაქურ დერბიში) მალაღურაძეს რეცეპტად ერთტურიანი დასვენება გამოუწერეს. საინტერესოა, XII ტურამდე (იქამდე კი სრული კვირაა დარჩენილი) ვინ და როგორ იზრუნებს მალაღურაძის ფსიქოლოგიური კონდიციების ამაღლება-დარეგულირებაში.

მეორე მსაჯი, რომელიც კარს მომდგარი ტურის ბატალიებს გამოაკლდება, ალექსანდრე კრიჭაშვილია. „რემბო“ — კრიჭაშვილის მეტსახელია. სახელოვან „სლაის“ (სილვესტერ სტალონე) ცნობილი კინოგმირის ფიზიკურ მონაცემებთან მიმართებაში კრიჭაშვილის ნათლიას მთლად ათიანში ვერ უნდა ჰქონდეს მორტყმული, მაგრამ... ეს კაცი ჩვენი მეომარი მსაჯია, გადაწყვეტილების მიღების დროს რემბოსავით სწრაფი და უშიშარია — ასე ფიქრობენ მისი კოლეგები.

მიეცეს რეკომენდაცია სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს, რათა იმსჯელოს „მერანი“ — „იბერიას“ მთავარი მსაჯის, ალექსანდრე კრიჭაშვილის მიერ დაშვებული მეთოდური შეცდომების შესახებ — იფიქრა და ასეთი განაჩენი გამოიტანა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის სხდომამ. კრიჭაშვილი მისთვის ავბედით მერვე ტურის მატჩში მართლაც ერთობ აიჭრა და დამნაშავის ნაცვლად უდანაშაულო ფეხბურთელი გაუყენა გასახდელის გზას. სწორედ იმ პერიოდს დაემთხვა შავოსანთა შეფის, ანატოლი მილჩენკოს საქმიანი ვიზიტი ბელგიაში. ამიტომ სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა ეს საქმე დროულად ვერ განიხილა. გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით კრიჭაშვილი IX-X ტურის მატჩებში უსაქმოდ დატოვეს. გასულ XI ტურში კი თსუ — „ხობის“ მატჩის განსჯის პატივი არგუნეს. გარდა იმისა, რომ ამ შეხვედრაში მეომარმა მსაჯმა უხვად არიგა წითელ-ყვითელი ბარათები, „არმაზზე“ მისულნი უპრეცედენტო ფაქტის მოწმენი გახდნენ. მსაჯმა მათ პატარა გაკვეთილი ჩაუტარა თემაზე — „როგორ ვამხილოთ ორბურთიანი სხვაობით ჩამორჩენილი გუნდის ფეხბურთელი დროის გაყვანაში“.

მსაჯს „მერანი“ — „იბერიას“ მატჩში წითელი ბარათი ყვითელში აერია. ეს მეთოდური შეცდომაა, მაგრამ რადგან კრიჭაშვილმა ორი ტური გამოტოვა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სასჯელი მოხდილი აქვს — გვითხრა ანატოლი მილჩენკომ, სწორედ ამიტომაც დაუშვეს სასჯელმოხდილი მსაჯი გასულ ტურში, მაგრამ, როგორც ჩანს, მისი საიმმატჩო ფსიქოლოგიური მომზადების დონე ვერ გათვალეს და რეცეპტმაც არ დააყოვნა — კრიჭაშვილი მომდევნო ტურშიც დაისვენებს.

მე კი, იმის გათვალისწინებით, რომ ამა თუ იმ მსაჯის თითოეული შეცდომა შავოსანის ფსიქოლოგიურ მოუმზადებლობას ბრალდება და სხვა არაფერს, ერთ იდეას ვთავაზობ სფფ-ს. იმისათვის, რომ მსაჯმა ფერები არ აურიოს, ანუ წითელი ბარათი ყვითელში (ან პირიქით) არ შეეშალოს, დასანიშნი პენალტი რომ უეჭველად დანიშნოს და საერთოდ მოედანზე მსაჯურად (და არა მსაჯულად) მოიქცეს, მსაჯთა კომიტეტს დავუნიშნოთ ერთი კვალიფიციური ექიმ-ფსიქოლოგი. კარგი იქნება, თუ თითოეულ მსაჯთა ბრიგადას თითო სპეციალისტს მივამაგრებთ, მაგრამ ყადალადადებულ ანგარიშს ვითვალისწინებ და სფფ-ს მდგომარეობაში შევდივარ.

**პაატა ქვანტალიანი**



ალექსანდრე კრიჭაშვილი

# დიალოგი აქტუალურ თემაზე

— რიგი დაუდგაო. დაუდგება, აბა, რა იქნება, ბიძია — ტანი აკლია, ჯანი, კლასი თუ როგორ ეძახით? სათამაშო პრაქტიკა. მე შენ გეტყვი და ადგილს ვერ აურჩევენ — მცველი გინდა? ინებე, ბატონო, საყრდენი? აგერაა. ეგებ ნახევარდაცვაში გაკლია კაცი, ა და, დაავალე, რაც გინდა. გოლის გატანა გიჭირს? მაგაზე ხომ თქმაც არ უნდა, წავა და ან თვითონ გაიტანს, ანაც პენალტს აიკიდებს — არ უქნია თუ? რომ უქნია და რომ იზამს, იმიტომ იძლევიან 20 მილიონს...

გული რაზე მწყდება, იცი? ამ ოცი მილიონიდან, თუ რამდენიც იქნება, ბუს კვერცხები რომ შეხვდება ქართულ ფეხბურთს. კაცი ისე რავა ვერ უნდა ეყო საქმეს, ოცდაერთი წლის ბიჭი შინ და ქვეყანაში დაამაგროო. რაო, რას ითხოვდა ვითომ უსაშველოს...

ვერ გაიზრდებაო, მეუბნები. ვიცი ეგ და ისიც ვიცი, მერე რას მეტყვი — დაბალი დონეა ჩვენშიო, ამას ამზადებ, ხომ? მერე, თქვე კაი ხალხო, ლეგიონერებიო, რომ ჩამოაწიკწიკებთ და ამან ასე ქნა, იმან ისეო, არ შეიძლებოდა ცოტა ხანს აქ ეთამაშათ ერთად და ლამაზად? ნიჭიერები რომ არიან, არ უნდა ლაპარაკი, იმათ ყურებაში სხვა ნიჭიერებიც გამოჩნდებოდნენ და რას ფიქრობ, რა უნდა მეტი სოფლის შენებას... მარტო ფეხბურთში კი არა, ნებისმიერ საქმეში ასეა.

მარა ძაღლის თავი არც ამაშია დამარხული. ხად გვწყდება წელი, იცი? ხო-ხო, სათავეში. სწორად თუ არ დააყენე საქმე, კონვეიერით რომ გამოუშვა მარადონას ტოლი ვარსკვლავები, ფეხებსაც ვერ მოსჭამ ვერავის, იმ კონვეიერსაც უნდა მცოდნე და მართალი კაცი და იმიტომ. ერთია კიდევ, ლოდინი უნდა შეგეძლოს კაცს. შე დალოცვილო, ერთხელ ნახვით თუ შეამჩნია ლობანოვსკიმ მისი ფეხბურთელობა, ჩვენ აქ არ გვყავდა სამზე მეტი წელიწადი? რომ ატან, ვის და სად ატან, თუ იცი? შენსას თუ ვერ ხვდები, სხვისი მაინც გაიგე და ლობანოვსკი რომ ფეხბურთელს ტყუილად თვალს არ დაადგამს, ამას მიხვედრა უნდა?

ვერ გავზრდიდითო — იჩემებ. მაშინ აღექით და ვინც გაზრდის, ის კაცი მონახეთ სადმე. არ მითხრა ახლა, გაჭირდება მონახვაო... თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვა.

იმას გეუბნებოდი, რახან მოეწონა, ერთ-ორ კაპიკსაც გამოვიდოდა ლობანოსკი და ჩვენების ამბავი არ იცი? დღევანდელი კვერცხი ქათამს კი არა, სუფსის ტერმინალს ურჩევნიათ.

ასე გავასხვისეთ ეს ოქროსავით ფეხბურთელი. ჰოდა, რა დაგვრჩა? უკაცრავად პასუხია და ბრანწი. სახელიც სხვისია და სახრავიც. რა გგონია, „მილანი“ იქნება თუ „მანჩესტერი“, მაგის ძირებს და ბებია-ბაბუებს დაუწყებს ძებნას? კიევიდან იყიდა და კიეველი უფრო ეგონება, ისე შენ კარგად იყავი. კი, კაი ბიჭია და იტყვის თვითონ თავის ქართველობაზე, მჯერა ეგ, მაგრამ...

ეგება მოერიდოს ამისთანების ლაპარაკს, ხომ იცი შენ. რომ გამოხტეს ვინმე კვიმატი და მაკვარანცხი და რომელი საქართველოდან ხარ შენ, ალბანეთს და ლატვიას რომ ვერ უგებს, იქიდანო? ხომ მოეჭრა კაცს და ფეხბურთელს თავი... აბა, რა გგონია, ბიძია, რეკლამაზეც უნდა იფიქროს, რეკლამაა ახლა ყველაფერი.

ერთი სიტყვით, კიდეც გამიხარდა და წყენითაც უსაშველოდ მეწყინა. შენ რა გიჭირს, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს და ფეხბურთიც ბევრი და კაი გაყურებინოს. მე სად მცალია ათი და ოცი წელიწადი საცდელად, ერთ ხუთ წელიწადში წავილებ წერილს სტენლი მეტიუზთან... არადა, მომკალი და არ უხდება „ბალელშრიკობა“ ტელევიზორს. რა ჯობია — ზიხარ სტადიონზე და სკდები ყვირილით და ნერვიულობით... თან შენებს ქომაგობ, კაცო, ქართველებს.

არ ვიცი, არ ვიცი. მაგი მალე მენახოს, „მილანში“ იქნება თუ „მანჩესტერში“ და სიხარულთან ერთად ცოტა ნაწყენიც ვარ, ხომ იცი.

# ალანია, რუსეთი, რიგა

## სად გუცაევი, სად ძოძუაშვილი?



რევაზ ძოძუაშვილი

ისევ რევაზ ძოძუაშვილის მომავლის შესახებ.

უკვე გაუწყეთ, რომ ჩვენებური მწვრთნელი დეკემბრის დამდეგს საქართველოში დაბრუნდება. ის, იძულებულია, 30 ნოემბრამდე საუდეთში იყოს კონტრაქტის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად.

გუშინ, როცა ძოძუაშვილს საუდეთში კვლავ შევეხმიანეთ და მას ვლადიკავკაზის „ალანიაში“ შესაძლო გადასვლის თაობაზე დავეკითხეთ, ასეთი პასუხი მივიღეთ — რა „ალანია“, რის „ალანია“, ჩემს აქედან წამოსვლას ახლა ნაირნაირ კუდებს გამოაბამენ. ყველაზე რეალური ის არის, რომ ისევ ლატვიაში დავბრუნდე და იქაური „რიგა“ გავწვრთნა — გვითხრა ძოძუაშვილმა, თუმცა იქვე დაამატა, უფრო სწორად, ადრე ნათქვამი გაიმეორა, გამორიცხული არც ისაა, თბილისის „ლოკომოტივში“ ვიმუშავოო.

საქართველოს ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა კი, რომელიც „ალანიაში“ ვალერი გაზაევის მემკვიდრედ ითვლება, „სარბიელს“ განუცხადა, რომ გადაწყვეტილი ჯერ არაფერია, გაზაევი ჯერაც „ალანიას“ მწვრთნელია, მე კი ვლადიკავკაზელთა გარდა სხვა რუსული კლუბებიც მიწვევენო.

რა როგორ იქნება, სად ძოძუაშვილი იმუშავებს, სად გუცაევი, ეს უახლოეს მომავაში გადაწყდება.

**ბობა ინასარიძე**

# ხართიშვილი მწყობრშია

თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი ხვიჩა ხართიშვილი დიდი ხანია არაა, რაც ვეტერინარების რიგებში ჩაირიცხა და საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში გამოდის. მიუხედავად ამისა, ვეტერინართა ახალწვეულმა უმტკივნეულოდ გაიარა ადაპტაციის პერიოდი და მშვენივრადაც მოერგო გუნდს (კაპიტნად არჩევაც ამის დასტური უნდა იყოს).

ამას წინათ ხართიშვილს ორი კვირა გაუცდა მცირე ტრავმის გამო და როდესაც მეთერთმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეთერთმეტე ტურის მატჩში მწვრთნელებმა ვიტელთა კაპიტანი „დინამოსთან“ შეხვედრის 59-ე წუთზე შეცვალეს, ბუნებრივია, ეჭვი გაგვიჩნდა — ემანდ ფეხბურთელმა კიდევ ხომ არ იტკინა რამე, ანაც ტრავმა ხომ არ გაიმიზეზაო (აღსანიშნავია, რომ იმ დღეს ვიტჯორჯიელთა შორის ერთ-ერთი აქტიური სწორედ ხვიჩა ხართიშვილი იყო და „დინამოს“ კარში ერთადერთი (ჩათვლილი) გოლიც მან გაიტანა).

„ვიტ ჯორჯიას“ მწვრთნელმა სერგი კოტრიკაძემ მშვიდად უპასუხა ჩვენს კითხვას — მართალია, იყო მცირე ტკივილი, მაგრამ ფეხბურთელი ტრავმის გამო არ შეგვიცვლია. მოგეხსენებათ, ხართიშვილს მყესების ტრავმის გამო ორი კვირა გაუცდა და ამიტომაც მოვერიდეთ მის მთელიმატჩის განმავლობაში თამაშს. საგანგაშო არაფერია, ხართიშვილი ჯანმრთელადაა და მომავალ ტურშიც აუცილებლად ითამაშებს „თბილისის“ წინააღმდეგ.

**ლუკა თალაკვაძე**



„ფეხბურთელის უშეცდომო თამაში ახალგაზრდულში კი არა, უფროს ასაკშიც იშვიათია. შაბათს მოედანზე იყო ამგვარი გამონაკლისი — ედიკ საჯაია. შეგახსენებთ, რომ იგი სლოვენიელთა ყველაზე სახიფათო თავდამსხმელს, პეკიჩს მეურვეობდა. საჯაიამ მეტოქეს განძრევის საშუალება არ მისცა. ყველა ბურთზე, უმეტესად, ასწრებდა, ხოლო თუ ეს არ გამოსდიოდა, სლოვენიელს ერთი-ორი ნაბიჯის შემდეგ ართმევდა ბურთს. პეკიჩმა რამდენიმე პოზიცია გამოიცვალა, მაგრამ საჯაიასთან ვერაფერს გახდა და შესაცვლელი შეიქნა. მერე საჯაია მეორე თავდამსხმელს, პრეგელს აედევნა და ისიც საშინელ დღეში ჩააგდო. უზარმაზარი ფიზიკური დატვირთვის და ორი-სამი წლით უფროსი მეტოქეების დევნის მიუხედავად, 18 წლის საჯაიას ენერგია კიდევ საკმაოდ შერჩენოდა, რაც განსაკუთრებით მკვეთრად ჩანდა ქართველების დაღლილი უკანა ხაზის ფონზე. რამდენჯერმე საჯაიამ დაზღვევაზეც ითამაშა და რომ არა იგი, ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა სლოვენიელთა სახიფათო შეტევები" — 7 სექტემბრის „სარბიელი", სლოვენია — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების მატჩის რეპორტაჟი.

ვფიქრობთ, ამით ფეხბურთელ ედიკ საჯაიაზე ყველაფერი ნათქვამია. მხოლოდ ერთსლა დავამატებთ. ამჟამად თბილისის „ვიტ ჯორჯიას" წევრი საჯაია ცოტა ხნის წინ საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო, იმ ნაკრებისა, რომელსაც „კოპალას ბიჭებს" უძახდნენ და რომელმაც ქართული ფეხბურთის დამოუკიდებლობის პერიოდში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია — გასულ ზაფხულს შვედეთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე ითამაშა.

ედიკ საჯაია „ვიტ ჯორჯიაში" მიმდინარე ჩემპიონატის წინ მივიდა და აქაც გუნდის ერთერთ ძირითად ფეხბურთელად იქცა. მასთან ინტერვიუც „ვიტ ჯორჯიაზე" საუბრით დავიწყეთ.

# ედიკ საჯაია: სამეულს არ უნდა ავცდეთ

**— მეთერთმეტე ეროვნულ ჩემპიონატში უკვე თერთმეტი ტური ჩამთავრდა. როგორ შეაფასებ ამ მატჩებში გუნდის თამაშს?**

— ნორმალურად გამოვიყურებით. თავი არც ერთ მატჩში არ დაგვიზოგავს. შედეგიც სათანადოა. მეორე ადგილი, მგონი, ურიგო შედეგი არ გახლავთ.

**— ცხრილში ისეთ გუნდებს უსწრებთ, როგორებიც „ბათუმი" და „ლოკომოტივი" არიან. რა არის „ვიტ ჯორჯიას" ასეთი წარმატებული გამოსვლის მთავარი მიზეზი?**

— გუნდის ერთსულოვნება. „ვიტ ჯორჯია" ძალიან შეკრული, მეგობრული გუნდია. ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვისო, ხომ გაგიგიათ, სწორედ ასე ვართ. ამას დაუმატეთ ყველანაირი ხელშეწყობა კლუბის ხელმძღვანელობისაგან და ჩვენი ასეთი თამაშის მიზეზსაც მიხვდებით.

**— როგორ ფიქრობ, განვლილ მატჩებში მეტის მიღწევა არ შეგეძლოთ?**

— თავისუფლად შეიძლებოდა, რამდენიმე ქულით მეტი გვქონოდა.

**— რამ შეგიშალათ ხელი?**

— რამდენიმე ფაქტორმა, ყველაზე მეტად კი მსაჯობამ. თუნდაც გასულ ტურში თბილისის „დინამოსთან" მატჩი გაიხსენეთ.

**— რეალურად რომ ვიმსჯელოთ, რომელი ადგილი შეეფერება წლევანდელ ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიას"?**

— ზონის ოთხეულში რომ უნდა გავიდეთ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. საერთოდ კი სამეულს არ უნდა ავცდეთ. ევროტურნირებზე აუცილებლად უნდა ვითამაშოთ. ვფიქრობ, გუნდს ამის ძალა შესწევს და მზად არის მიზნის მისაღწევად. ბიჭები თავს არ დავზოგავთ.

**— წლეულს საკუთარი თავის თამაშით თუ ხარ კმაყოფილი?**

— კი, მგონი, ურიგოდ არ გამოვიყურები. თანაგუნდელებს ძალიან იოლად შევეწყვე, საერთო ენის გამონახვა არ გაგვჭირვებია და ეს ძალიან დამეხმარა.

**— ყველაზე მეტად რა ამპლუაში გრძნობ თავს კარგად?**

— დაცვის ცენტრში ან მარჯვენა ფლანგზე. ისე, თუ გუნდის ინტერესები მოითხოვს, უკანა ხაზში ნებისმიერ ადგილას შემიძლია თამაში.

**— უცხოურ კლუბში გადასვლის სურვილი, ალბათ, შენც გექნება.**

— რა თქმა უნდა. ოღონდ მანამდე აქ უნდა ვითამაშო, როგორც ფეხბურთელი, ცოტა გავიზარდო, მოვმწიფდე და მერე წავალ კიდეც.

**— შენ იმ ნაკრების წევრი იყავი, რომელმაც ქართველ ქომაგებს ყველაზე დიდი სიხარული მიანიჭა. 18-წლამდელთა ნაკრებს ვგულისხმობ, მოდი, ის გუნდი დაახასიათე და შვედეთში გამართული ევროპის ჩემპიონატიც გაიხსენე.**

— მართლაც კარგი, შეკრული გუნდი ვიყავით. ფინალურ ეტაპზეც დამსახურებულად გავედით. სამწუხაროდ, ევროპის ჩემპიონატზე ველარ გამოვიჩინეთ თავი. რაც გამოუცდელობის ბრალი იყო. ორი მატჩი წავაგეთ და ორივე ელემენტარული შეცდომების გამო. ზუსტად ვერც გეტყვით, რამ გამოიწვია ის შეცდომები. მე მაინც გამოუცდელობას ვაბრალებ. ჩემპიონატის წინ საერთაშორისო მატჩები პრაქტიკულად არ გვითამაშია. აქვე დავამატებ, რომ ვახტანგ კოპალეიშვილს იმ გუნდის შექმნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

ჩემზეც დიდი ამაგი აქვს. მე თუ დღეს ფეხბურთელი ვარ, სწორედ მისი დამსახურებაა. ვიდრე ნაკრებში ამიყვანდა, მის გუნდში ვთამაშობდი. ერთი სიტყვით, კოპალეიშვილის ძალიან მადლიერი ვარ და დიდ მადლობასაც ვუხდი.

**— ცოტა ხნის წინ 18-წლამდელთა ნაკრებმა ძველი შედეგი ვეღარ გაიმეორა. უელსში ჩატარებულ შესარჩევ ეტაპზე ყველა მატჩი წააგეთ, რამ გამოიწვია ასეთი უსუსური გამოსვლა?**

— უელსში სულ სხვა გუნდით წავედით. იმ შემადგენლობიდან, ვინც წინა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დაძლია და მერე შვედეთშიც ითამაშა, მხოლოდ ოთხი კაცილა შემოვრჩით. დანარჩენები ახლები იყვნენ. შესარჩევი მატჩების გასამართად ისე წავედით, ერთი შეკრებაც კი არ გაგვივლია, წასვლამდე თბილისში ოთხი დღე ერთად ყოფნას თუ არ ჩავთვლით. ამის შედეგიც იმ შეხვედრებში გამოჩნდა. შეუთამაშებლები ვიყავით, თანაც ახალი ბიჭები გამოუცდელები იყვნენ. ამიტომ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა.

ისე, რომ იცოდეთ, იტალიის 18 წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ორი წელი ამზადებდა თავის გუნდს უელსში გამართული შესარჩევი ეტაპისთვის.

**— უელსში გამართულ ბოლო მატჩში შვეიცარიასთან, როგორც ვიცით, ცხვირგატეხილი გახვედი მინდორზე...**

— მართალია, ჯგუფიდან გასვლის შანსი აღარ გვქონდა, მაგრამ მაინც ვითამაშე. გუნდს იმ მდგომარეობაში, როგორშიც მაშინ იყო, ვერ მივატოვებდი. ასეთ დროს ბიჭების ღალატი არ შეიძლება.

**— ახლა უკვე ახალგაზრდული ნაკრების წევრი ხარ. წინ ნელნელა მიიწევ. ჯერ 18-წლამდელები, ახლა ახალგაზრდული, ამის მერე რაც მოდის, თავადაც გეცოდინება.**

— ვიცი, რასაც გულისხმობ. ყველაფერს გავაკეთებ საიმისოდ, რომ ადრე თუ გვიან ეროვნული ნაკრები მაისურა მოვირგო. საქართველოს ნაკრებში თამაში ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა.

**ვანო ოქროპირიძე**

# ფოთის კოლხეთმა შემოდგომა [illegible] გაზაფხულზე ფიქრობს

*ერთ-ერთი იმათგანი, რომელთაც XI ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპისთვის ოთხეული გაინაღდეს, ფოთის „კოლხეთიცაა", თუმც ზღვისპირელებს ბოლო სამ ტურში მაინც მთელი ძალებით თამაში მოუწევთ, რადგან ერთობ პრინციპული მატჩები ელით. თუ თბილისურ კლუბებთან — „მერანთან" და თსუ-სთან „კოლხეთს" გამარჯვების მეტი შანსი აქვს, ბოლო ტურში იგი ქუთაისის „ტორპედოს" „ფაზისზე" უმასპინძლებს და... ამ გუნდებს შორის ბრძოლა ყოველთვის უკომპრომისოა, მით უმეტეს, პირველ წრეში კოლხებმა 1:4 წააგეს.*

*ახალც, მე-12 ტურში, ფოთელებიშინ თბილისის „მერანს" უნდა დაუხვდნენ. სწორედ ამის თაობაზე გავესაუბრეთ ტელეფონით კლუბის ვიცე-პრეზიდენტს თენგიზ ქოიავას:*

**— ბატონო თენგიზ, რამდენადაც ვიცით, „მერანთან" დანაკლისი გექნებათ. ალბათ მიმიხვდით, გიორგი დავითანიძეზე მაქვს საუბარი...**

— დიახ, ასეა. დავითანიძე მართლაც ვერ ითამაშებს. მან სამტრედიის „იბერიასთან" მატჩში მესამე გაფრთხილება მიიღო და „მერანთან" შეხვედრას გამოტოვებს. შესაძლებელია, თამაზ კიკლიაშვილიც გამოგვაკლდეს.

**— კიკლიაშვილი რატომ?**

— თავს შეუძლოდ გრძნობს, გაცივდა. თუ მატჩამდე ვერ გამოჯანმრთელდა, „მერანთან" ვერც ის ითამაშებს. სხვა მხრივ ყველანი ჯანზე არიან.

**— რამდენადაც ვიცით, გელა ფანჩულიძეს ტრავმა ისევ აწუხებს...**

— სამწუხაროდ, ასეა, გელა ისევ ტრავმირებულია.

**— ბატონო თენგიზ მიზანს მიღწიეთ, ოთხეულში მოხვდით, ახლა როგორ იქნება. სანამ მეორე ეტაპი დაიწყება, შესვენებისას შეკრება ხომ არ დაგიგეგმავთ?**

— ოთხეულში კი მოვხვდით, მაგრამ დარჩენილ სამ შეხვედრასაც ჩვეულად ჩავატარებთ, მერე კი ფეხბურთელებს 20-25 დღით შვებულებაში გავუშვებთ, შემდეგ მზადებასაც შევუდგებით. ჯერ ჯერობით არაფერი გადაგვიწყვეტია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ერთი-ორ შეკრებას ფოთის გარეთ აუცილებლად მოვაწყობთ.

**გიორგი ვაშაკიძე**



კოლხი გიორგი დავითნიძე „მერანთან" შინაურ მატჩს გამოტოვებს, ტორპედოელი გიორგი მეგრელაძე (მარჯვნივ) კი თსუ-ს დაუხვდება

# გიორგი მეგრელაძე კვლავ ფორმაშია

ქუთაისის „ტორპედოს" თავდამსხმელი გიორგი მეგრელაძე მიმდინარე სეზონს მართლაც ჩინებული ფორმით შეეგება. ამხანაგურ მატჩებსა თუ უეფას საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრებში გიორგიმ საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა. ევროსარბიელზე „ტორპედოს" მიერ გატანილი 10 გოლიდან მეგრელაძემ 5 თავის ანგარიშზე ჩაიწერა.

მეთერთმეტე ეროვნულში გიორგიმ საუკეთესო ბომბარდირობაზე თავიდანვე განაცხადა პრეტენზია. თითქმის არც ერთ ტურში მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა.

ისე, როცა ყველაზე ძლიერ მოინდომა კარის აღება, მაშინ არ გაუმართლა. გიორგის [illegible] შვილი რომ შეეძინა, იმ დროს დაემთხვა ქუთაისში სამტრედიის „იბერიის [illegible] ემრობა. ბევრს ეცადნენ თანაგუნდელები, ახალგაზრდა მამას გოლის გატანით აღენიშნა ძეობა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. დავით ყიფიანიც იძულებული გახდა, თავდამსხმელი პირველი ტაიმის შემდეგ შეეცვალა. თუმცა ამას სხვა საბაბიც ჰქონდა. მეგრელაძე კუდუსუნის ძვლის ტკივილს უჩიოდა და მკურნალობას საჭიროებდა. ამის გამო ფეხბურთელმა ვარჯიში შეწყვიტა. იგი გუნდს მომდევნო ტურის შეხვედრაში თბილისში არ წამოჰყოლია და „სინათლეზე" ქუთაისელებმა მეგრელაძის გარეშე ითამაშეს.

როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ტორპედოელმა კვლავ განაახლა ვარჯიში. გიორგი თავს კარგად გრძნობს და შაბათს თსუ-სთან საშინაო მატჩს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ეს გზა ოთხეულში მოგვახვედრებს?

ეს კითხვა ახლა ცხრა ქართული კლუბის პრეზიდენტ-მწვრთნელობას, ფეხბურთელ-გულშემატკივრობას დაახლოებით თანაბრად აწუხებს. მათგან უმრავლესობა ლეიბორისტული პარტიასავით უიმედო მდგომარეობაში ნამდვილად არაა და გიორგობის თვეს შენატრის, მრეწველთა წყალი გადმოასხას და რვა საუკეთესო გუნდიან საფეხბურთო პარლამენტში დაიბევოს ადგილი.

არადა როგორ ჰგვანან ერთმანეთს. ეროვნულ ჩემპიონატსა და საპარლამენტო არჩევნებს ვგულისხმობ. აქაც და იქაც სამმა იურიდიულმა ერთეულმა გაინაღდა თავისი. „ტორპედომ", „დინამომ" და „კოლხეთმა" თავიანთი მხარდამჭერების წინაშე პირნათლად მოიხადეს მოქალაქეობრივი ვალი და ფეხბურთის აღორძინებისთვის მრეწველებივით უზარმაზარი სამუშაო ჩაატარეს...

მართალია, ქუთაისელების პროცენტული მაჩვენებელი გაცილებით მეტია იმასთან შედარებით, რისი მოპოვებაც შეძლო მზიური აჭარის პოლიტიკურმა ბლოკმა, მაგრამ თუ შედარებებზე მიდგა საქმე, „ტორპედოს" მაინც „საქართველოს აღორძინებასთან" უფრო აქვს საერთო, ვიდრე დმანისის საარჩევნო ოლქში სუფთად გამარჯვებულ სმკ-თან. რატომ? ჯერ ერთი, ქუთაისელები, პირველად ჩემპიონატების ისტორიაში, სერიოზულად დაუპირისპირდნენ მმართველ ძალას მარადი ჩემპიონის „დინამოს" სახით და, ბათუმური კოალიციის მსგავსად, ერთხელისუფლებიანობის მოშლას ლამობენ. მეორეც — რადგან „დინამოს" უფრო მეტად მიმსგავსებაა უპრიანი მოქალაქეთა კავშირთან (ხელისუფლება მათია, ევროპაში იცნობენ, ავტორიტეტი აქვთ, ხელფასებს და პენსიებს აგვიანებენ, ვალებში, იცოცხლეთ, არიან და სხვა), ამიტომაც ლიდერ „ტორპედოს" პოლიტიკურ ლიდერ, ჩვენი ოჯახების კეთილდღეობისთვის მზრუნველ სმკ-ს ვერანაირად დავუკავშირებ.

რაც შეეხება ფოთის „კოლხეთსა" და ბლოკს — „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", ამათ საუკეთესოთა შორის მოხვედრის გამო თუ გავაერთიანებთ, თორემ პორტის გამართული მუშაობა რომ ორივეს ხელს აძლევს, დღესავით ნათელია. თუ მრეწველებმა საზღვაო ტრანსპორტით ნედლეული ვერ ჩამოიტანეს და პროდუქტი ევროპაში ვერ გაიტანეს, მაშინ ძალიან გაუჭირდებათ საქართველოს გადარჩენა.

უმჯობესია, შევეშვათ ეროვნული ჩემპიონატისა და საპარლამენტო არჩევნების მსგავსებას და ახლა განსხვავებაზე ვილაპარაკოთ, ანუ იმაზე, თუ რითი სჯობს ქართული გუნდების ბურთაობა პოლიტიკური პარტიების ქიშპობას. რითი და ინტრიგით. თუ დემოკრატიულ არჩევნებში ძნელი არ იყო ხელისუფლებაში მომსვლელი გამარჯვებული ბლოკის წინასწარ გამოცნობა, სულ სხვა სურათი გვაქვს მეთერთმეტე ეროვნულ გათამაშებაში. უაღრესად დაძაბულ სიტუაციაში ძნელია, იწინასწარმეტყველო იმათი ვინაობა, ვინც გაზაფხულზე ტორპედო-დინამოურ ეშელონში ჩასკუპდება. სამი ტურია დარჩენილი საშემოდგომო სეზონის დასრულებამდე და დროა, კონკურენტი გუნდების სამშეხვედრიან გასასვლელ გზას გავხედოთ, გზას, რომელმაც თითოეულს ოთხეულში მოსახვედრი შანსი უნდა აგვაწონინოს.

„ა" ზონას, იგივე „თვრამეტიანთა ზონას", დიდი საბრძოლო ბატალიების გადახდა ელის. ოთხეულში მოხვედრის ყველაზე კარგი შანსი მეოთხეადგილოსან „ბათუმს" აქვს.

მართალია, სინიორ კარნევალეს შეგირდებს დარჩენილ შეხვედრებში ორი გასვლითი და ერთი შინაური მატჩის გამართვა უწევთ, მაგრამ ბათუმელები ფაქტობრივად ბედშეგუებულ „სამგურალსა" და „არსენალს" სტუმრობენ და წესით არ უნდა გაუჭირდეს მინიმუმ 4 ქულის მოპოვება. შინაურ კედლებში უშუალო კონკურენტის, „სიონის" მასპინძლობაც აჭარელთა წისქვილზე ასხამს წყალს და „ბათუმის" ოთხეულში მოსახვედრი შანსი უფერული ნაღდად არაა.

„ვიტ ჯორჯიას", ზღვისპირელთა მსგავსად, ნორმალური კალენდარი აქვს, მაგრამ რადგან მღევართაგან „ლოკომოტივს" სტუმრობს, ამიტომაც მოვიხსენიეთ „ბათუმის" შემდგომ. ზედიზედ ორი შინაური მოგება მართებთ ვიტელებს და 24 ქულით ტურით ადრე აისრულებენ საწადელს. 24 ქულა რომ გამსვლელია, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება, რადგან რკინიგზელები სამივე მატჩში გამარჯვების შედეგადაც ვერ აგროვებენ 23 ქულაზე მეტს.

რა გამოდის? ან „სიონი" უნდა ჩაიძიროს, ან „ლოკომოტივი".

ახლა რომ ბოლნისში ამბები ხდება, მსგავსი არასდროს ყოფილა. „სიონზე" მლოცველი „ალა და ფანობა" ასე ახლოს არიან მიზანთან და ქალაქის გამგეობა „კვარციტთან" ერთად ენერგიას არ იშურებს საფეხბურთო გაზაფხულის მოსაახლოვებლად. მეცამეტე ტურის „არსენალი" — „სიონის" მატჩი გადამწყვეტ სიტყვას იტყვის შემოდგომის ბოლნისისთვის. მოიგებენ სტუმრები და... 28 ნოემბერს დაინგრევა „თემურ სტეფანიას" სტადიონი. ამ დღეს ხომ თავად მარადი ჩემპიონი ეახლება ქვემო ქართლს და იქ ამბავი დატრიალდება, დედა შვილს ვერ აიყვანს. „სიონის" ბათუმურ შეხვედრაზე ზემოთაც გითხარით. ზღვისპირელებმა თვით ბოლნისში აჯობეს თამაშით მასპინძლებს და არა გვგონია, ჯანი კარნევალეს იტალიური სალოცავი გაუწყრეს და აჭარაში ნასტუმრევ ქვემო ქართლელებს გასაქანი მისცეს. ასე რომ, „სიონის" ოთხეულში მოსახვედრი ეკლიანი გზა ბათუმზე ნამდვილად არ გადის.

რკინიგზის დეპარტამენტის პირმშო გვიან გამოფხიზლდა. საკმაოდ ფანტა ქულები „ლოკომოტივმა" და საქმის გართულებაში სხვას ვერ დაადანაშაულებს. თემურ მახარაძე იხტიბარს არ იტეხს. ეროვნული ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძეც დაიყაბულა დასახმარებლად და პატარა სასწაულის მოხდენით იმუქრება. „დინამო" უნდა გაგუდონ რკინიგზელებმა — მეცამეტე ტურში დღე დაუბნელონ მარად ჩემპიონს და მერე ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები სხვაგან. რკინიგზელები მარტო თავის იმედად ვერ იქნებიან. „არსენალზე" და „სამგურალზეც" უნდა ილოცონ მახარაძის შეგირდებმა. არმიელებისა და წყალტუბოელების ვაჟკაცობაზეცაა დამოკიდებული „ლოკომოტივის" მომავალი და კონკრეტულად რა მოხდება, ძნელი სავარაუდოა...

„ა" ზონაში სიტუაციის ამგვარად დაძაბვის მთავარი შემოქმედნი ბოლნისელები და [illegible] ლისში [illegible] ბი. „სიონმა" [illegible] „ვიტ ჯორჯიამ" [illegible] სამ ტურში 7 ქულა დაკარგა და სხვების წისქვილზე ასხა წყალი.

„ბ" ზონაში მთავარი „დამნაშავის" ამოცნობას არც ფოტორობოტი სჭირდება და არც კრიმინალისტიკის, როგორც მეცნიერების, საუკუნეზე მეტხნიანი გამოცდილების მოხმობა. გორის „დილა" საკუთარი თავის მტერივით მოიქცა. ბოლო სამ შეხვედრაში ნული ქულა — ასეთია ქართლელთა მონაგარი. ამით ისარგებლეს ისეთმა გუნდებმა, რომელთაც პირველი ოთხეული მხოლოდ ესიზმრებოდათ. თსუ-ს, „იბერიას", „მერანს" და „გორდას" თითქმის თანაბარი შანსები აქვთ მიზნის მისაღწევად. ამ გუნდებთან შედარებით გორელებს მეტი ქულა კი აქვთ, მაგრამ კალენდარს თუ გადავხედავთ, „დილას" დასაარხეინებელი არაფერი აქვს. ძველებურად ჯიგრიანი თამაში მართებთ ქართლელებს, თორემ საკუთარი ქომაგების მხრიდან დიდი უსიამოვნებები ელით.

13 ქულით ჯერჯერობით თსუ მეოთხეა. თუმცა დარჩენილ შეხვედრებში უნივერსიტეტელებს თავს ზემოთ ახტომა მოუწევთ. აბა, ქუთაისიდან ვინ რას გამოატანს სტუდენტებს, მაგრამ შინ „კოლხეთთან" თუ გამოიღეს ხელი, ბოლო ტურში „ფოლადზე" ძალების სრულად მობილიზება მართებთ.

„ბ" ზონის ოთხეულში მოსახვედრად ალბათ 18 ქულა იკმარებს, მაგრამ მხოლოდ ორი ადგილია დარჩენილი, მსურველი კი — ხუთი.

„იბერიამ" შინ თსუ-სთან დამარცხების შედეგად გაირთულა საქმე. ახლა სამტრედიაში მხოლოდ ერთი მატჩის გამართვა უწევს და ისიც უშუალო კონკურენტ „დილასთან".

მსგავს მდგომარეობაშია „მერანიც". ტრანსპორტელების ბედი სხვა გუნდების შედეგიანობაზე ცალსახადაა დამოკიდებული და ვინ რამდენს დაკარგავს, იმის მიხედვით შეიძლება მსჯელობა ავჭალელთა შანსის თაობაზე.

მხოლოდ 10 ქულა აქვს „გორდას", მაგრამ თამაშგარე მდგომარეობაში ნამდვილად ვერ მოვიხსენიებთ. „ფოლადზე" უშუალო კონკურენტებთან გასამართი 2 მატჩი უმაგრებთ ზურგს რუსთაველებს. თუმცა „სინათლეზე" წაგება ეკრძალებათ და ამის იოლად მიღწევა გაუჭირდებათ.

ერთი სიტყვით, ეროვნული ჩემპიონატის ახალმა სისტემამ დაგვანახვა, რომ წინამორბედ გათამაშებებს აშკარად სჯობს.

შემოდგომაზე ასეთი ამბები ხდება და ხომ წარმოგიდგენიათ, გაზაფხულზე რა მოგველის... ისევ არჩევნებთან დაკავშირებით ვიტყვით — ჩვენ მხარს ვუჭერთ ქართული ფეხბურთის აღორძინებას! კარგი იქნება, თუ პარტიებიც შემოგვიერთდებიან და მარტო იმაზე არ იმსჯელებენ, რელიგიური მისიით ეწვია საქართველოს რომი პაპი თუ პოლიტიკურით...

**ხვიჩა სანიკიძე**



ბადრი კვირიკაშვილის ფოტო

„ლოკომოტივი" — „სიონი" 0:1. ეს წამია ბოლნისელებმა გამარჯვების გოლი გაიტანეს

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 11 | 8 | 1 | 2 | 26:9 | 17 | 25 | 6 | 5 | 1 | 0 | 17:5 | 12 | 16 | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 5 | 9 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 11 | 5 | 3 | 3 | 14:10 | 4 | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 8 |
| 3 | სიონი | 11 | 5 | 3 | 3 | 11:12 | -1 | 18 | 6 | 3 | 3 | 0 | 6:2 | 4 | 12 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:10 | -5 | 6 |
| 4 | ბათუმი | 11 | 4 | 6 | 1 | 10:4 | 6 | 18 | 6 | 4 | 2 | 0 | 8:1 | 7 | 14 | 5 | 0 | 4 | 1 | 2:3 | -1 | 4 |
| 5 | ლოკომოტივი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:16 | -1 | 14 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 | 6 | 2 | 0 | 4 | 9:12 | -3 | 6 |
| 6 | თბილისი | 11 | 3 | 3 | 5 | 20:25 | -5 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 14:15 | -1 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 2 |
| 7 | არსენალი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:17 | -7 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 7 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:9 | -5 | 2 |
| 8 | სამგურალი | 11 | 2 | 1 | 8 | 7:20 | -13 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:6 | -3 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:14 | -10 | 1 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 11 | 10 | 1 | 0 | 30:5 | 25 | 31 | 5 | 4 | 1 | 0 | 15:4 | 11 | 13 | 6 | 6 | 0 | 0 | 15:1 | 14 | 18 |
| 2 | კოლხეთი | 11 | 7 | 0 | 4 | 16:12 | 4 | 21 | 5 | 4 | 0 | 1 | 9:3 | 6 | 12 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:9 | -2 | 9 |
| 3 | დილა | 11 | 4 | 2 | 5 | 12:18 | -6 | 14 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 0 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 4 |
| 4 | თსუ | 11 | 3 | 4 | 4 | 9:10 | -1 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:7 | -1 | 7 | 5 | 1 | 3 | 1 | 3:3 | 0 | 6 |
| 5 | იბერია | 11 | 3 | 3 | 5 | 6:15 | -9 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 1:9 | -8 | 2 |
| 6 | მერანი | 11 | 2 | 6 | 3 | 10:10 | 0 | 12 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:5 | 0 | 6 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 6 |
| 7 | გორდა | 11 | 3 | 1 | 7 | 9:15 | -6 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:4 | 2 | 7 | 6 | 1 | 0 | 5 | 3:11 | -8 | 3 |
| 8 | ხობი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:20 | -7 | 9 | 5 | 1 | 2 | 2 | 7:7 | 0 | 5 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:13 | -7 | 4 |

## მეთორმეტე ტური

13.11
სამგურალი : ბათუმი
არსენალი : სიონი
ლოკომოტივი : დინამო
14.11
ვიტ ჯორჯია : თბილისი

13.11
ხობი : დილა
გორდა : იბერია
კოლხეთი : მერანი
ტორპედო : თსუ

## მეცამეტე ტური

19.11
დინამო : სამგურალი
20.11
თბილისი : ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია : არსენალი
ბათუმი : სიონი

19.11
თსუ : კოლხეთი
20.11
ტორპედო : ხობი
მერანი : გორდა
იბერია : დილა

## მეთოთხმეტე ტური

28.11
სამგურალი : თბილისი
სიონი : დინამო
არსენალი : ბათუმი
ლოკომოტივი : ვიტ ჯორჯია

28.11
ხობი : იბერია
დილა : მერანი
გორდა : თსუ
კოლხეთი : ტორპედო

## საფრანგეთი

XV ტური

**სედანი 2:1 სტრასბური**

1:0 მიონე (15), 2:0 დიროკო (33), 2:1 გარაი (75)

**ნანსი 1:2 მონაკო**

1:0 კორეა (69), 1:1 სიმონე (73), 1:2 და კოსტა (88)

**ლე ავრი 3:0 ბორდო**

1:0 დებევე (34), 2:0 დიალო (43), 3:0 პუჟე (88პ)

**სენტ ეტიენი 1:1 ლიონი**

0:1 სონი ანდერსონი (7), 1:1 პედრონი (9)

**ლანსი 3:2 პსჟ**

0:1 მადარი (21), 1:1 ჟობი (52), 2:1 ნუმა (59), 3:1 ჟობი (71), 3:2 კრისტიანი (75პ)

**ბასტია 0:0 მეცი**

**მონპელიე 1:2 რენი**

0:1 ნონდა (14), 1:1 დელაი (74), 1:2 გრეგუა (76)

**მარსელი 1:1 ნანტი**

1:0 მორისი (17), 1:1 სიბიერსკი (37)

**ოსერი 0:1 ტრუა**

0:1 ბუტალი (40)



REUTERS სენტ ეტიენიდან

სენტ ეტიენი — ლიონი 1:1. ლიონელმა სერჟ ბლანმა (№10) და მისმა მეტოქემ პაპ სარმა ახალი ბურთი დააჭაშნიკეს

დამდეგი უქმეები ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში სანაკრებო მატჩებს დაეთმობა. სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ საფრანგეთის ჩემპიონატის მორიგი, XV ტურის შეხვედრები უჩვეულო დროს გაიმართა. გათამაშების ლიდერი „ლიონი" ცხრილის შუა პოზიციებზე მყოფ „სენტ ეტიენს" სტუმრობდა და მეტად საჭირო ორი ქულა დაკარგა. მატჩის დებიუტი საკმაოდ საინტერესო გამოდგა. თავად განსაჯეთ, ბურთები მე-7 და მე-9 წუთებზე გავიდა. პირველად თავი „ლიონში" მოასპარეზე ბრაზილიელმა სონი ანდერსონმა გამოიჩინა, ხოლო ორი წუთის შემდეგ სენტეტიენელმა სტეფან პედრონმა გაათანაბრა ანგარიში, მომდევნო 81 წუთში ანგარიში უკვე აღარ შეცვლილა — 1:1.

ლიდერის მდევარი „მონაკო" „ნანსის" სტუმრობდა. მატჩი საკმაოდ დრამატულად წარიმართა. თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ. გოლის გატანა 69-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა ურუგვაელმა პაბლო კორეამ მოახერხა, თუმც „ნანსის" 15 ათასი გულშემატკივარი, რომელიც ამ მატჩს უშუალოდ ადევნებდა თვალყურს, მხოლოდ 4 წუთი ხარობდა. 73-ე წუთზე „მონაკოში" მოთამაშე იტალიელმა მარკო სიმონემ გაიბრწყინა, რომელმაც ლამაზი გოლის გატანა მოახერხა, ანგარიში გაათანაბრა და პირად აქტივს მე-10 გოლი შემატა. მატჩის ბედი თითქოს გადაწყვეტილი იყო, რომ 88-ე წუთზე კუთხურის ალამთან ისევ სიმონე არ მისულიყო. მის ჩაწოდებულ ბურთს პორტუგალიელმა ნახევარმცველმა ფრანჩესკო და კოსტამ თავურით „ნანსის" კარში მიუჩინა ადგილი. თუმც მასპინძელთათვის ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. მსაჯმა დამატებულ დროში მათ ორი ყვითელი ბარათის გამო გოლის ავტორი კორეა გაუძევა და ათი კაცით დატოვა მინდორზე, თუმც ამას საბოლოო ანგარიშზე აღარ უმოქმედია 1:2. მონაკოელებმა ამ მატჩში საკმაო დანაკლისი განიცადეს. მათი ფორვარდი დავიდ ტრეზეგე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

ჩემპიონობის ერთ-ერთმა პრეტენდენტმა პსჟ-მაც დაკარგა სამი ქულა მას შემდეგ, რაც სტუმრად „ლანსთან" დამარცხდა. თუმც ანგარიში სტუმრებმა გახსნეს 21-ე წუთზე გატანა მიკაელ მადარმა შეძლო. ტაიმი 0:1 დასრულდა. ამის შემდეგ სტადიონზე შეკრებილი 39 000 გულშემატკივარი ლამაზი სანახაობის მომსწრე გახდა.

52-ე წუთზე „ლანსში" მოასპარეზე კამერუნელმა ფორვარდმა ჯო ჟობმა გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 7 წუთში პასკალ ნუმამ საერთოდ დააწინაურა მასპინძლები. პსჟ იმ საღამოს თავის თავს არ ჰგავდა. 71-ე წუთზე კამერუნელმა დუბლის შესრულება შეძლო და „ლანსს" ორბურთიანი უპირატესობა მოუპოვა. პარიზელებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ 75-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით კრისტიანმა ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდე შეამცირა. საბოლოოდ მატჩი 3:2 დასრულდა.

ტურში გამოსაყოფია მესამეადგილოსანი „ოსერის" საშინაო მარცხი ცხრილის მეორე ნახევარში მყოფ „ტრუასთან" — 0:1, მარსელის „ოლიმპიკის" ფრედ (1:1) დამთავრებული შეხვედრა შინ „ნანტთან" და აგრეთვე აუტსაიდერი „ლე ავრის" გამანადგურებელი მოგება „ბორდოსთან" 3:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 15 | 8 | 4 | 3 | 19:11 | 28 |
| მონაკო | 14 | 8 | 3 | 3 | 30:14 | 27 |
| ოსერი | 14 | 8 | 2 | 4 | 22:18 | 26 |
| პსჟ | 15 | 7 | 3 | 5 | 23:20 | 24 |
| ბორდო | 15 | 6 | 5 | 4 | 24:22 | 23 |
| სედანი | 15 | 7 | 2 | 6 | 23:25 | 23 |
| მარსელი | 15 | 5 | 7 | 3 | 21:15 | 22 |
| რენი | 15 | 6 | 4 | 5 | 22:20 | 22 |
| მეცი | 15 | 4 | 8 | 3 | 16:11 | 20 |
| სენტ ეტიენი | 15 | 5 | 5 | 5 | 22:24 | 20 |
| ბასტია | 15 | 4 | 7 | 4 | 20:18 | 19 |
| ლანსი | 15 | 5 | 4 | 6 | 12:17 | 19 |
| ტრუა | 15 | 6 | 0 | 9 | 13:23 | 18 |
| ნანსი | 15 | 4 | 4 | 7 | 22:22 | 16 |
| ნანტი | 15 | 5 | 1 | 9 | 17:21 | 16 |
| ლე ავრი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:24 | 16 |
| სტრასბური | 15 | 4 | 4 | 7 | 15:25 | 16 |
| მონპელიე | 15 | 3 | 3 | 9 | 17:25 | 12 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანდერსონი (ლიონი) | 11 |
| ტრეზეგე (მონაკო) | 10 |
| სიმონე (მონაკო) | 10 |
| ლასლანდი (ბორდო) | 9 |
| გივარში (ოსერი) | 9 |

## ბელგია

XIII ტური

**ბრიუგე 1:2 მუსკრონი**

0:1 ჟევლიაკოვი (48), 0:2 ვანდორენი (58), 1:2 დე კოკი (83)

**სენტ ტრუიდენი 2:2 შარლერუა**

0:1 ალასანი (51), 0:2 ჩილინსეკი (63), 1:2, 2:2 ვან გეელი (80, 90)

**ლოკერენი 5:3 სტანდარდი**

1:0, 2:0 იანსენსი (32, 34), 3:0 დაგო (52), 3:1 ბლაი (74), 3:2 ლიკუნკუ (79), 4:2, 5:2 ნიკჩევიჩი (81, 84), 5:3 ლიკუნკუ (90)

**გენკი 4:0 ბეერსხოტი**

1:0 შტრუპარი (36), 2:0 გუდიონსონი (72), 3:0 შტრუპარი (75), 4:0 ბანი (89)

**გეელი 2:1 ლიერსი**

0:1 კავენსი (29), 1:1 დაელემანსი (68), 2:1 ბენედიქტსონი (82)

**აალსტი 4:2 გენტი**

0:1 აარსტი (12 პ), 1:1 მაისენი (37), 2:1 ტიბო (42), 3:1 ვან ჰიდენი (52), 4:1 გრომენი (80), 4:2 აარსტი (89)

**ანდერლეხტი 3:0 ვესტერლო**

1:0, 2:0 ზეტერბერგი (37, 82), 3:0 ეკაკია (88)

**ჰარელბეკე 5:2 მეხელენი**

ჰარელბეკედან გაიტანეს: პაასი, კლომპი, ჰამეგი, კაკუ-2

მეხელენიდან გაიტანეს: ვანდენბროეკი, ვან სტინბერგი

**ლომელი 0:0 ბევერენი**

ბელგიის ჩემპიონატში მორიგი, XIII ტურის მატჩები გაიმართა. ლიდერმა „ანდერლეხტმა" ცხრილის შუაში მყოფ „ვესტერლოს" უმასპინძლა და მორიგი 3 ქულის მოპოვება არ გასჭირვებია. მატჩის გმირი გუნდის შვედი კაპიტანი პერ ზეტერბერგი გახდა, რომელმაც 37-ე და 82-ე წუთებზე გატანილი გოლების წყალობით დუბლი შეასრულა. ერთი ბურთი მიითვალა ელიოს ეკაკიამაც. სწორედ მან დააფიქსირა 88-ე წუთზე საბოლოო ანგარიში 3:0. ამ მოგებით „ანდერლეხტმა" კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა. იგი უახლოეს მდევარ „ლიერსს" უკვე 5 ქულით უსწრებს, თანაც მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. თავად „ლიერსმა" კი აუტსაიდერ „გეელთან" მართლაც რომ დაუგეგმავი 3 ქულა დაკარგა, თუმც მატჩის დებიუტი ცუდს არაფერს უქადდა. 29-ე წუთზე ლიერსელმა იურგენ კავენსმა საკუთარი გუნდი დააწინაურა. 68-ე წუთამდე ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „გეელის" მოთამაშე ბიორნ დაელემანსის გოლს 82-ეზე ბენედიქტსონმა მეორეც მიაყოლა, ფავორიტმა ველარაფერი მოახერხა და მატჩიც 2:1 დასრულდა.

ლიდერობის კიდევ ერთი პრეტენდენტი — „გენკი" „ბეერსხოტს" მასპინძლობდა და ანგარიშიდანაც ჩანს, რომ იოლად იმარჯვა. დუბლი შეასრულა ბრანკო შტრუპარმა (36-ე და 75-ე წუთები). თავი ტორდურ გუდიონსონმა (72-ეზე) და ზორან ბანმაც (89-ე) გამოიჩინეს. საბოლოო შედეგი — 4:0.

კიდევ ერთმა ამბიციურმა გუნდმა — „ბრიუგემ" შინ მერვეადგილოსან „მუსკრონთან" წააგო. ჟევლიაკოვის 48-ე და ვანდორენის 58-ე წუთებზე გატანილ გოლებს, ბრიუგელებმა მხოლოდ ოლივერ დე კოკის ერთი ბურთით უპასუხეს. მან ეს 83-ე წუთზე მოახერხა. 1:2 ასე დასრულდა შეხვედრა.

გამოსარჩევია სამი უხვგოლიანი მატჩიც: „ლოკერენმა" 5:3 სძლია „სტანდარდს", „ჰერელბეკემ" 5:2 დაამარცხა „მეხელენი", ხოლო „აალსტისა" და „გენტის" პაექრობაში მასპინძლებმა, „აალსტის" ფეხბურთელებმა 4:2 მოიგეს.

ტურში ოთხმა გუნდმა გაიყო ქულა. 90-მა წუთმა „ლომელსა" და „ბევერენს" შორის გამარჯვებული ვერ გამოავლინა, ის კი არა, გუნდებმა საერთოდ ბურთებიც ვერ გაუტანეს ერთმანეთს. რაც შეეხებათ „სენტ ტრუიდენსა" და „შარლერუას", ისინი 2:2 დაზავდნენ.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ჩემპიონატს 12 თამაშიდან 32 ქულით „ანდერლეხტი" ლიდერობს. მატჩით მეტი აქვთ ჩატარებული და შესაბამისად, ლიდერს კუდში მისდევენ 27-ქულიანი „ლიერსი" და 26-იანი „გენკი".

აუტსაიდერთა ზონაში კი ბოლოდან მეორე და მესამე ადგილებს 13 შეხვედრიდან 9 ქულით შესაბამისად „გეელი" და „ლომელი" იყოფენ. უკანასკნელ პოზიციაზე 5 ქულით „ბევერენი" იმყოფება, თუმცა მას სხვებთან შედარებით მატჩით ნაკლები აქვს გამართული.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 12 | 10 | 2 | 0 | 38:16 | 32 |
| ლიერსი | 13 | 8 | 3 | 2 | 25:14 | 27 |
| გენკი | 13 | 7 | 5 | 1 | 34:15 | 26 |
| გენტი | 13 | 8 | 0 | 5 | 38:25 | 24 |
| ბეერსხოტი | 13 | 7 | 2 | 4 | 24:22 | 23 |
| ბრიუგე | 12 | 7 | 1 | 4 | 29:12 | 22 |
| აალსტი | 13 | 6 | 2 | 5 | 27:21 | 20 |
| მუსკრონი | 13 | 5 | 3 | 5 | 23:20 | 18 |
| ვესტერლო | 12 | 5 | 3 | 4 | 25:25 | 18 |
| შარლერუა | 13 | 4 | 5 | 4 | 18:18 | 17 |
| სტანდარდი | 13 | 5 | 1 | 7 | 21:27 | 16 |
| მეხელენი | 13 | 5 | 1 | 7 | 18:31 | 16 |
| ჰარელბეკე | 13 | 3 | 4 | 6 | 18:20 | 13 |
| ლოკერენი | 13 | 2 | 5 | 6 | 18:27 | 11 |
| სტ. ტრუიდენი | 13 | 2 | 4 | 7 | 16:32 | 10 |
| ლომელი | 13 | 1 | 6 | 6 | 14:26 | 9 |
| გეელი | 13 | 1 | 6 | 6 | 8:25 | 9 |
| ბევერენი | 12 | 0 | 5 | 7 | 11:29 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბრონო (ვესტერლო) | 13 |
| მარტინ აარსტი (გენტი) | 12 |
| რადზინსკი (ანდერლეხტი) | 9 |
| შტრუპარი (გენკი) | 9 |

## ფეხბურთის რუკასთან



**იტალიის** ნაკრებისა და რომის „ლაციოს" მცველ ალესანდრო ნესტას ტრავმის გამო შაბათს ბელგიის ნაკრებთან შეხვედრის გამოტოვება მოუწევს. ნესტამ მარცხენა მუხლი სერია A-ს უკანასკნელ ტურში, კვირას „ვერონას" წინააღმდეგ გამართულ მატჩში დაიზიანა. იტალიელთა მთავარ მწვრთნელ დინო ძოფს კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი აკლია. მან ასევე დაშავებული ალესანდრო კოსტაკურტა და პაოლო მალდინი ვერ გამოიძახა. იმავე მიზეზით ვერ მიიწვია „ინტერის" ფორვარდი კრისტიან ვიერიც. წინასწარი ცნობით, ცენტრალურ მცველებად იუვენტუსელი ჩირო ფერარა და პარმელი ფაბიო კანავარო გამწესდებიან.

**დანიელი ფორვარდი მიქაელ ბეკი პრემიერლიგელმა „დერბი ქაუნთიმ" ინგლისის პირველი დივიზიონის კლუბ „ნოტინგემ ფორესტში" გაანათხოვრა. ბეკი, რომელიც „დერბის" მიმდინარე წლის მარტში „მიდლსბროდან" შეუერთდა, ბოლო დროს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა. თავად განსაჯეთ — მხოლოდ 19 შეხვედრა ჩაატარა და 3 ბურთის გატანა შეძლო. „დერბის", ალბათ, კიდევ ერთ ფეხბურთელი, იტალიელი ნახევარმცველი ფრანჩესკო ბაიანო დატოვებს, რომელიც ინგლისში 1997 წელს „ფიორენტინადან" ჩავიდა. იგი ახალ კლუბს იტალიაშივე მოძებნის.**

**ფრანგი** ფორვარდი დავიდ ტრეზეგე, რომელიც „მონაკოში" თამაშობს, ოთხშაბათს საფრანგეთის პირველი დივიზიონის მორიგი ტურის მატჩში „ნანსის" წინააღმდეგ დაშავდა და თავისი ქვეყნის 21-წლამდელთა ნაკრებს, ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის პლეი ოფში, იტალიელ თანატოლებთან შეხვედრაში ველარ დაეხმარება. გაცნობებთ, რომ ფრანგები კვირას იტალიელებს უმასპინძლებენ, ხოლო ოთხშაბათს უკვე თავად ესტუმრებიან მათ.

**იუგოსლავიის ნაკრების მცველ ზორან მირკოვიჩს უეფამ 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ოქტომბერში იგი ხორვატების წინააღმდეგ ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მოედნიდან გააძევეს, მას შემდეგ, რაც რობერტ იარნის ეუხეშა. უეფამ კიდევ რამდენიმე გუნდი დასაჯა. ასე მაგალითად, ბუდაპეშტის მტკ-ს ფეხბურთელი გაბორ ჰალმაი, რომელიც 2 ნოემბერს, უეფას თასის გათამაშების შეხვედრაში ათენის აეკ-თან მოედნიდან გააძევეს, 4 თამაშს გამოტოვებს. თავად აეკ-ი საკუთარი მაყურებლის უმსგავსო საქციელის გამო 50 ათასი შვეიცარიული ფრანკით (32 400 დოლარი) დაჯარიმდა. ამავე მიზეზით შეუთხელდა ჯიბე მარსელის „ოლიმპიკს"— 19 440 დოლარით. მისმა გულშემატკივრებმა 19 ოქტომბერს, ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ გამართულ მატჩში იხულიგნეს.**

**ბერძნული** „ოლიმპიაკოსის" მთავარი მწვრთნელი დუშან ბაევიჩი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ეს განცხადება კლუბის პრეზიდენტმა სოკრატის კოკალისმა გააკეთა. ახალ თავკაცს უახლოეს მომავალში დანიშნავენ. მისი მოხსნის მიზეზი ჩემპიონთა ლიგაში წარუმატებელი ასპარეზობაა. ბერძნული კლუბი 16 უძლიერეს ევროპულ გუნდს შორის ვერ მოხვდა და ამის შემდეგ უეფას თასზე გააგრძელა ასპარეზობა, სადაც კენჭისყრამ იტალიური გრანდი, ტურინის „იუვენტუსი" შეახვედრა.

**გერმანული დორტმუნდის „ბორუსიას" ხელმძღვანელობამ, თავის მთავარ მწვრთნელ მიხაელ სკიბეს 2002 წლამდე გაუგრძელა კონტრაქტი, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ადრეულ ეტაპზევე გამოვარდა. „გვჯერა, სკიბე „ბორუსიას" დიდი გუნდის სახელს დაუბრუნებს" — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა გერდ ნიბაუმმა. 34 წლის სკიბე დორტმუნდულ გუნდში 18 თვის წინ მივიდა. ახლა მისი გუნდი ბუნდესლიგაში მეორე ადგილზეა და ლიდერს, მიუნხენის „ბაიერნს", 2 ქულით ჩამორჩება.**

**ინგლისური** „ჩელსის" მთავარი მწვრთნელის — ჯანლუკა ვიალის ასისტენტი რეი უილკინსი ახალი წლიდან თანამდებობის დატოვებას და ახალი სამუშაოს ძებნას აპირებს. უილკინსი, რომელიც წარსულში ინგლისის ნაკრების წევრი და ერთხანს კაპიტანიც იყო, აცხადებს, რომ „ჩელსიში" მშვენიერი დრო გაატარა, ახლა კი ბედს სხვა საქმეში სცდის. მისი თქმით, იგი, ალბათ, მენეჯმენტს მიჰყოფს ხელს.

**ინგლისურმა „ნიუკასლ იუნაიტედმა" დაასრულა მოლაპარაკება ესპანურ „დეპორტივოსთან" პორტუგალიელი მცველის, როდრიგეს ჰელდერის გადაბირების თაობაზე. ფეხბურთელი სეზონის ბოლომდე იასპარეზებს ალბიონზე. ამჟამად ჰელდერს მცირე ტრავმა აწუხებს და ესპანეთში იმყოფება, თუმცა უახლოეს მომავალში ნიუკასლს ეწვევა. ბობი რობსონი კმაყოფილი დარჩა გუნდის შენაძენით და აღნიშნა, ფეხბურთელის ყიდვა დიდი ხანია, გვსურდა, მაგრამ თავად „დეპორტივო" არ გვთანხმდებოდაო.**

**გერმანული** მიუნხენის „ბაიერნის" ნახევარმცველ იენს იერემისს, უეფამ ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. იგი ოქტომბერში, ჩემპიონთა ლიგის მატჩში, ჰოლანდიურ პსვ-სთან, დამატებით დროში გააძევეს არნოლდ ბრუგინკთან უხეშობისთვის. იერემისს 10 ათასი მარკის გადახდაც მოუწევს. მან ერთი მატჩი უკვე გამოტოვა „რეინჯერსის" წინააღმდეგ, ასევე ვერ ჩაატარებს შეხვედრებს ჯგუფში „რუსენბორგთან", კიევის „დინამოსთან", მადრიდის „რეალთან" შინ და სტუმრად. უეფამ პსვ-ც დააჯარიმა. გულშემატკივართა უმსგავსო საქციელისთვის გუნდი 34 ათას ჰოლანდიურ გულდენს (16 080 დოლარს) გადაიხდის, ხოლო პსვ-ს თავკაცი ერიკ გერეტსი ბაიერნელი ლოთარ მათეუსის შეურაცხყოფისთვის 14 ათასი გულდენით დაისაჯა.

## წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი

ახალ ზელანდიაში 17 წლამდელ ჭაბუკთა მსოფლიოს პირველობამ აიღო სტარტი. ოთხშაბათს, გახსნით მატჩში, მასპინძელი, ახალი ზელანდიელი და ამერიკელი თანატოლები შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრა ამერიკელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:1. მათ რიგებში თავი აბე ტომსონმა და ლანდონ დონოვამ გამოიჩინეს. ახალზელანდიელთა მხრიდან ერთადერთი გოლის ავტორი დევიდ მულიგანი გახლავთ.

ხუთშაბათს კი ერთმანეთს იმავე ჯგუფის მონაწილეები — ურუგვაელი და პოლონელი ყმაწვილები დაუპირისპირდნენ. მათი შეხვედრა ფრედ 1:1 დასრულდა. სამხრეთამერიკელები 46-ე წუთზე სებასტიან ალვარესმა დააწინაურა, ხოლო პოლონელთა მხრიდან ანგარიში 62-ე წუთზე ლუდაიას ნავეიმ გაქვითა.

# ძალიან ძველი ამბავი ვინ არის მთავარი ინგლისელი ნაბიჭვარი?

ბრიტანეთი ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ოთხი ეროვნული ნაკრები ჰყავს: ინგლისის, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილო ირლანდიის.

საფეხბურთო თვალსაზრისით, ეს ნამდვილი ანომალიაა. ნებისმიერი სხვა სახელმწიფო, რაგინდ განსხვავებული ეთნოსებისა თუ ქვეყნებისგანაც უნდა შედგებოდეს, ერთი ნაკრებით ბურთაობს, მაგრამ ბრიტანეთი, როგორც სამეფო, სადაც დაახლოებით 1870-იან წლებში თანამედროვე ფეხბურთის საფუძველი ჩაეყარა, გამონაკლისია.

ამ გამონაკლისის დაკანონებას ერთობ პრაგმატულმა მოსაზრებებმაც შეუწყო ხელი. კერძოდ, ამ საუკუნის 40-იან წლებში ანუ უფრო ზუსტად მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გაკოტრებულ ფიფას ხელი სწორედ ბრიტანეთმა გაუმართა.

აქა-იქ, ბუნებრივია, იყო მოწოდებები ერთიანი ბრიტანული გუნდის შექმნის თაობაზე, მაგრამ ეს შეუძლებელი გახლდათ და, როგორც ჩანს, მომავალშიც ასე იქნება. მეტიც, რაც დრო გავა, უფრო და უფრო გამოირიცხება, ვინაიდან ფეხბურთში კი არა, შოტლანდია პოლიტიკაშიც კი განდგომას ცდილობს. ამ წელიწადს სქოთებმა დამოუკიდებელი პარლამენტიც კი შექმნეს, ოღონდ შეზღუდული უფლებებით.

შოტლანდიელებს, ზოგადა, საფეხბურთო გულშემატკივრობა ინგლისელთა ზიზღზე აქვთ აგებული. ზიზღის ხარისხი, რასაკვირველია, ძალიან მაღალი არ გახლავთ, მაგრამ შოტლანდიის ნაკრები ვისთანაც გინდა თამაშობდეს მის ქომაგებს ლოზუნგი აქვთ გამოკრული: „ალსდექით, ერთად შევიძულოთ ინგლისი“.

კიდევ, ძალიან პოპულარული სქოთური მოწოდება გახლავთ: „გახსოვდეთ ბენოკბერნი“. ბენოკბერნი გახლავთ ადგილი, სადაც ოდესღაც შოტლანდიელმა მეომრებმა ინგლისელები გაანადგურეს.

თუკი სქოთები ლოზუნგებში ყოჩაღობენ, ინგლისელები პრაქტიკულ ხულიგნობაში გახლავან სწორუპოვარნი. რაც შეეხება ფეხბურთს, მოედანზე ყველაფერი გაცილებით ალალადაა. ინგლის-შოტლანდიის 108 დაპირისპირებიდან (ინგლისმა მოიგო 44, შოტლანდიამ 40) ერთხელაც არ გაუძევებიათ ერთი ან მეორე გუნდის მოთამაშე.

სქოთებს ინგლისელებთან 1985 წლის მერე არ მოუგიათ, ამიტომაც ახლანდელ შეხვედრას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებენ. სპორტული მიმომხილველი, „აბერდინ ივნინგ ექსპრესის“ ჟურნალისტი ჩარლი ალენი კი წერს: „შოტლანდიელი ფანები ინგლისელებზე ათჯერ მეტ ლუდს დალევენ, მაგრამ ფეხბურთში, ვეჭვობ უპირატესობა ჩვენ მოვიპოვოთ“.

დიახ, შეახვედრა თუ არა კენჭისყრამ ინგლისი და შოტლანდია, სქოთური გაზეთები ყოველდღე პირველ გვერდზე ეხმაურებიან თემას. ზოგი მათგანი აშკარად ანტიინგლისურადაა განწყობილი. მაგალითად, ერთმა ტაბლოიდმა, რომელსაც ბედის ირონიით ინგლისელი რედაქტორი ჰყავს, დაწერა: „მთავარი ინგლისელი ნაბიჭვარი“ და როგორ გგონიათ ვისზე? არც მეტი, არც ნაკლები ბრიტანეთის პრემიერ მინისტრზე, რომელიც შოტლანდიაში გახლავთ დაბადებული და ამდენად მოღალატის სტატუსიც მიეკრა.

კენჭისყრის დღიდან მოყოლებული გლაზგოს პოლიცია საგანგებოდ ემზადება ინგლისელ ხულიგანთა დასახვედრად, ხოლო ინტერნეტში ინტელექტუალური უზრდელობების ნიაღვარმა იფეთქა.

პლეი-ოფმა, ბუნებრივია, საგანგებოდ იმოქმედა ბრიტანული ტაბლოიდების ისედაც ენამწარე ჟურნალისტებზე. მათ ავ ფანტაზიას საზღვარი აღარ აქვს. ინგლისელები ამბობენ, რომ ეს არის მატჩი, სადაც ძმა ძმას უნდა დაუპირისპირდეს, ბიძაშვილი ბიძაშვილს და ქმარი ცოლს. აქ ისინი ქმრად, ცხადია, საკუთარ თავს მიიჩნევენ.

„როგორც ჩვენთან, ასევე ინგლისში დამარცხება ძალიან ძნელი გადასატანი იქნება. გაცილებით ჯობს, ვთქვათ, დანიასთან წავაგო, ვიდრე ინგლისთან“ — ამბობს სქოთთა ეროვნული გუნდის მწვრთნელი, კრეიგ ბრაუნი.

„აღმოვჩნდები თუ არა საყასბო კუნძზე წაგების შემთხვევაში? მგონი, ამის ძალიან კარგი შანსი მაქვს“ — დასძენს მისი ინგლისელი კოლეგა კევინ კიგანი.

**მიხეილ სურგულაძე**



სქოთები ბარი ფერგიუსონი (მარცხნივ) და მარკ ბურჩილი ინგლისელებთან მატჩს ჩინებული განწყობით ხვდებიან

პლეი ოფის მატჩი
**შოტლანდია — ინგლისი**
მსაჯი: მანუელ დიას ვეგა (ესპანეთი)

შოტლანდიისა და ინგლისის ხვალინდელი თამაში საყოველთაო დისკუსიის საგნადაა ქცეული და რა საკვირველია, რომ მის გამო აზრი ინგლისელთა ყოფილმა მწვრთნელმა, გრემ ტეილორმაც გამოთქვა. მისი აზრით, თუ „ჰემპდენ პარკზე“ სქოთები პირველ გოლს გაიტანენ, მის თანამემამულეებს ერთობ გაუჭირდებათ მატჩის ბედის თავიანთ სასარგებლოდ შემობრუნება. შემდეგ კი ტეილორმა მეტოქეთა მწვრთნელებზე ილაპარაკა:

„კიგანისა და ბრაუნისადმი ჩემი სიმპათიის მიუხედავად, მინდა ვთქვა, რომ არც ერთია დაზღვეული დამარცხებისგან, რაც იმას ნიშნავს, რომ რომელიმე მათგანი დიდი პრობლემის წინაშე დადგება. მე თანამდებობიდან მოხსნასა ან საკუთარი ნებით წასვლაზე არ ვსაუბრობ, უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ ამ დუელში დამარცხება მთელი ცხოვრების მანძილზე ექნებათ სატარებელი“.

კიგანი და ბრაუნი კი, ამასობაში, მოთამაშეთა წვრთნით არიან დაკავებული. ინგლისელს მეკარის არჩევის პრობლემა უდგას — ვინ უნდა დააყენოს კარში, დევიდ სიმენი თუ ნაიჯელ მარტინი?

„მათ შორის არჩევა ძალიან ძნელია, მაგრამ თავს ბედნიერად ვთვლი, ასეთი პრობლემის წინაშე რომ ვდგავარ. დევიდი გამოცდილია, ნაიჯელი კი კარიერის საუკეთესო სეზონებს ატარებს. ჯერ არაფერი გადამიწყვეტია, თამაშის დღეს ვიტყვი, ვინ დაიცავს ინგლისის ნაკრების კარს“ — ბრძანა კიგანმა.

კრეიგ ბრაუნს კი „გლაზგო რეინჯერსმა“ მიწერა ერთობ დამაფიქრებელი წერილი, თუ ჩვენი გუნდის 21 წლის თავდამსხმელი, ბარი ფერგიუსონი ინგლისის ნაკრებთან შეხვედრაში დაშავდება, ჯარიმას დაგაკისრებთო.

ბრაუნის რაზმის პასუხი ის გახლავთ, რომ ყველაფერი ფეხბურთის ასოციაციის გადასაწყვეტი იქნება. სანაკრებო თამაშის მერე „რეინჯერსმა“ ფერგიუსონი რომ ვერ ათამაშოს, მაინცდამაინც ეროვნული გუნდის ბრალი იქნება?



უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ. დევიდ ბექემი ჩაფიქრებულა

## შოტლანდიის არავის სწამს

გლაზგოში, ცნობილი საბუქმეიქერო ფირმის, „უილიამ ჰილის“ ოფისში მავანი შესულა და 10 ათასი გირვანქა ნაღდი ფული მიუტანია. მან ინგლისის მოგებაზე დადო.

„ეს კაცი ჩემზე მამაცია. იგი გლაზგოში ინგლისელთა გამარჯვებაზე 10 ათასს ჩამოვიდა“ — განაცხადა „უილიამ ჰილის“ პრეს-ატაშემ გრემ შარპმა — „წარმოგიდგენიათ, ის ჩინელი იყო. სრულიად შესაძლებელია, რომ არც კი იცის შოტლანდიელთა და ინგლისელთა დაპირისპირების ისტორია.“

„უილიამ ჰილის“ მიხედვით ფავორიტი (5/4) ინგლისია. შოტლანდიის მოგების კოეფიციენტი 15/8 გახლავთ, ხოლო ფრისა — 2/1.

ცნობილი გახდა, რომ ფირმამ საზღვარგარეთიდან 60 ათასის ფსონი მიიღო.

ორი თამაშის ჯამში ინგლისელთა გამარჯვების კოეფიციენტი 11/4 გახლავთ.

შარპმა დასძინა: „ნიშანდობლივია, რომ შოტლანდიის მოგებაზე ფულს არავინ ჩამოდის, ერთი 50 გირვანქიანი ფსონიც კი არ ყოფილა.“

## საერთო საქმისთვის

ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ალან შირერმა ევრო 2000-ის პლეი ოფისადმი მიძღვნილ საგანგებო პრესკონფერენციაზე შეაქო „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდი ენდი კოული. შირერმა განაცხადა, რომ იგი კოულის ახლო მეგობარი არასდროს ყოფილა, თუმცა მასთან მუშაობის პერიოდში პრობლემებიც არ შექმნია. მოკლედ, კაპიტანი აშკარად მოხარულია, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კევინ კიგანმა კოულის გუნდში მიწვევა რომ გადაწყვიტა. „ახლა ორივენი კარგ ფორმაში ვიმყოფებით და თავს საუკეთესოდ ვგრძნობთ, ამიტომ, ჩემი აზრით, შეცდომა იქნებოდა, ენდი ნაკრებში არ გამოეძახათ“ — განაცხადა შირერმა.

კოულმა თავის აღრინდელ ავტობიოგრაფიაში უკმაყოფილებით აღნიშნა, რომ შირერი ინგლისის ნაკრების „ოქროს ბიჭუნად“ ითვლება და მისი ადგილის დაკავება საკმაოდ ძნელაო.

ალანმა ამის შესახებ თქვა: „ჩვენ ერთმანეთს შევხვდით და ხელიც კი ჩამოვართვით. რა თქმა უნდა, საუბარი მის ამ ნათქვამზეც ჩამოვარდა. კოულმა ბოდიში მომიხადა, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ფეხბურთელი გუნდში იმისდა მიხედვით უნდა ფასობდეს, რასაც იგი მინდორზე აკეთებს. ენდი ახლა მშვენიერ ფორმაშია, ეს არის მთავარი. იგი ბრწყინვალე მოთამაშეა და ბევრი გოლები გააქვს, ნაკრებისთვის კი ალბათ ეს არის მთავარი.

მოკლედ, იმ საღამოს კოულს და შირერს შორის დიდი ზავი ჩამოვარდა. შესაძლოა, მათ მართლაც არ ეხატებათ ერთმანეთი გულზე, მაგრამ როცა საერთო საქმემ მოითხოვა, წყენა გვერდზე გადადეს და გაერთიანებული ძალებით ცდილობენ პრობლემასთან ჭიდილს. პრობლემა და საფიქრალი კი კიგანსა და მის შეგირდებს მართლაც რომ სერიოზული აქვთ. მათ შოტლანდიელები უნდა დაამარცხონ, რათა ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლება მოიპოვონ. ეს კი ადვილი საქმე ნამდვილად არ გახლავთ...

პლეი ოფის მატჩი
## სლოვენია — უკრაინა
მსაჯი: პერ მაიერი (შვეიცარია)

**სლოვენიელ** გულშემატკივართა ყურადღება უკრაინასთან მატჩის წინ ნაკრების ექიმის, ბოგდან კოროსეჩისკენ იყო მიპყრობილი. ამ უკანასკნელმაც თავისიანებს გული არ დასწყვიტა. „ნაკრების ძირითადი მეკარე მარკო სიმეუნოვიჩი, რომელსაც მარჯვენა ფეხის კუნთი აწუხებდა, მომჯობინდა. ის ახლა სრული დატვირთვით ვარჯიშობს. ამჟამად ყველა ჩვენი ფეხბურთელი ჯანმრთელადაა" — თქვა ექიმმა.

ქართველთათვის კარგად ცნობილმა სლოვენიელთა მწვრთნელმა კატანეცმა კონკრეტული პროგნოზისგან თავი შეიკავა, თუმცა თქვა: „ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. რატომღაც ფიქრობენ, რომ ფავორიტი უკრაინაა. მათ ეს ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცონ".

სლოვენიის ნაკრები ლიუბლიანადან 25 კილომეტრით დაშორებულ კურორტ ბრდო პრი კრანჯიუში დაბანაკდა. როგორც იუწყებიან, წინასამატჩო განწყობა შესანიშნავია. გუნდს შეუერთდა ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" მოთამაშე ზლატკო ზაჰოვიჩი, რომელიც სლოვენიელთა ყველაზე სახიფათო ფეხბურთელად ითვლება. მას ეროვნული გუნდის რიგებში 40 შეხვედრა ჩაუტარებია და 19 გოლი გაუტანია.

ზაჰოვიჩი თანაგუნდელთა საერთო სულისკვეთებას ასე გამოხატავს: „ყველას კარგად გვაქვს გააზრებული, რისთვის ვიბრძვით. ეს ორი თამაში ჩვენს კარიერაში, შესაძლოა, უმნიშვნელოვანესი იყოს. საეჭვოა, სლოვენიელ ფეხბურთელთა ამ თაობას კიდევ მოგვეცეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის ასეთი შანსი".

პლეი ოფის მატჩი
## ისრაელი — დანია
მსაჯი: დევიდ ელერი (ინგლისი)

**ისრაელის** ნაკრები სანუკვარ მიზანთან ასე ახლოს დიდი ხანია, არ ყოფილა. მათ შესარჩევი ჯგუფიდან გასვლა უკანასკნელად და ჯერჯერობით ერთადერთხელ 29 წლის წინ მოახერხეს. მაშინ ისრაელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის პატივი ხვდა წილად.

მწვრთნელმა შლომო შარფმა გუნდში რონენ ხარაზი დააბრუნა. თელ ავივის „ჰაპოელის" მოთამაშე ხარაზი ისრაელში ყველაზე შედეგიან თავდამსხმელად ითვლება. ნაკრების შემადგენლობაში ჩატარებული 53 მატჩში ხარაზის 23 გოლი გაუტანია. ბოლო დროს ის ფორმაში არ იყო და ნაკრებშიც აღარ იწვევდნენ. ამჟამად, როგორც ჩანს, ხარაზი სრულ მზადყოფნაშია და მწვრთნელმაც ამიტომ დააბრუნა.

დაშავებულია ეროვნული გუნდის ძირითადი მეკარე ნირ დავიდოვიჩი. მას ჰაიფას „ჰაპოელის" კარის დარაჯი დუდუ ავატი შეცვლის. ამ უკანასკნელს ნაკრებში დებიუტი გასულ თვეში ჰქონდა. მაშინ ესპანელებმა ავატს სამი გოლი გაუტანეს, მაგრამ შარფმა კარის დაცვა მაინც მას მიანდო.

შარფი პრესასთან თავისი ცუდი დამოკიდებულებითაა ცნობილი. ეს უკვე ერთი წელიწადია გრძელდება. გასულ დეკემბერში ისრაელი კვიპროსთან დამარცხდა და ჟურნალისტებმა მწვრთნელი გააკრიტიკეს, მათ შორის შავმა კატამაც სწორედ მაშინ გაირბინა. რუმინელ პიცურკას მსგავსად, შარფიც პრესასთან მწყრალადაა და ფეხბურთელებსაც უკრძალავს ინტერვიუების მიცემას.


ჟურნალისტებზე განაწყენებული შლომო შარფი

დანიასთან მატჩის წინ გამოძახებულ მოთამაშეებს მრისხანე მწვრთნელმა უბრძანა: „თუ რომელიმე თქვენგანი ჟურნალისტებისკენ გახედვას გაბედავს, ციდან ვარსკვლავებსაც რომ წყვეტდეს, გუნდს მაინც დატოვებს."

ისრაელი — დანიის წყვილში უდავო ფავორიტებად დანიელები ითვლებიან. ებრაელებმაც თავიანთი შანსის თუნდაც მცირედით გასაზრდელად ეშმაკობას მიმართეს. როგორც წესია, მასპინძლები სტუმართა გუნდს სავარჯიშოდ რომელიმე საფეხბურთო მინდორს უთმობენ. საქართველოს სტადიონები გინახავთ? ყველაზე ცუდი მათგანი „უებლია" იმასთან შედარებით, რაც დანიელებისთვის გაიმეტეს. ეგრეთ წოდებულ მინდორზე იმდენი ორმოებია, ზამთარში ფრისტაილისთვის უფრო ივარგებს. ზემოთ სიტყვა „მინდორი" პირობითად ვთქვით, თორემ იქ ბალახზე მეტი ქვებია. შმაიხელს კარის სიახლოვეს ლეიბებს თუ არ დაუგებენ, ვერ გადახტება. „ასეთ სტადიონზე ვარჯიში როგორ გავრისკოთ" — გაოცებულები კითხულობენ დანიელები. მასპინძლებმა კი, ისაო ესაო, მაგრამ სხვა სტადიონი არ გვაქვსო.

მიუხედავად ყველაფრისა, დანიელები დანებებას არ აპირებენ. ლისაბონის „სპორტინგის" სახელოვანი მეკარე პიტერ შმაიხელი და „დუისბურგის" ნახევარმცველი სტიგ ტოფტინგი სრულ მზადყოფნაში არიან. ტოტენჰემელი ალან ნილსენის შანსებს კი ორმოცდაათი-ორმოცდაათზე აფასებენ.

ამ გუნდების საპასუხო შეხვედრა 17 ნოემბერს კოპენჰაგენში ჩატარდება. დანიელები ისრაელის ნაკრებს ცუდი მოედნის დათმობით სამაგიეროს ვერ გადაუხდიან. იქ ასეთი მინდვრები უბრალოდ არ არის.

პლეი ოფის მატჩი
## ირლანდია — თურქეთი
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

**შაბათს** ევროპის ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად პლეი ოფში ერთმანეთს ირლანდია და თურქეთი დაუპირისპირდებიან. თამაში დუბლინში ჩატარდება.

ალბათ, უკვე შეამჩნიეთ, ირლანდიელთა შემადგენლობა დასახელებული არ არის. საამისოდ ორი მიზეზი არსებობს. რომელიც უფრო სარწმუნოდ მოგეჩვენებათ, ის დაიჯერეთ. პირველი ვერსია ირლანდიელთა მენეჯერ მიკ მაკარტის ეკუთვნის: „უმჯობესია, შემადგენლობის დასახელებისგან თავი შევიკავო. ტრავმებთან დაკავშირებული უამრავი პრობლემა გვაქვს. დღემდე არ ვიცი, რომელი ფეხბურთელები იქნებიან ფორმაში. ამიტომ, შემადგენლობას მატჩის წინ გამოვაცხადებ".

მეორე ვერსიის ავტორი მაკარტის თურქი კოლეგა მუსტაფა დენიზლია. თურქი ეჭვებს შეუპყრია: „ვფიქრობ, ხმები ფეხბურთელთა ტრავმების შესახებ გაზვიადებულია. დაველოდოთ შეხვედრას და ვნახოთ. უბრალოდ, ირლანდიელები ცდილობენ, ინფორმაციის გარეშე დაგვტოვონ. მათ ჰგონიათ, ამგვარი ხრიკებით წარმატებას მიაღწევენ. მე კი ვიტყვი — ცდებიან".

დენიზლის განცხადებით, მის გუნდში დაშავებული არავინაა. ირლანდიის წინააღმდეგ ნაკრები იმავე შემადგენლობით ითამაშებს, როგორითაც გერმანიას შეერკინა. შეგახსენებთ, ოქტომბერში მიუნხენში გამართული შეხვედრა 0:0 დამთავრდა.

ისევ ირლანდიელებს მივუბრუნდეთ. ზუსტადაა ცნობილი — ლივერპულელი მცველი სტივ სტონტონი და იფსვიჩელი ნახევარმცველი მეტ ჰოლანდი ნაკრებს ვერ დაეხმარებიან. უიმბლდონელი მცველის, კენი კანინგემის საკითხი კი გაურკვეველია.

ნაკრების წარმომადგენელმა განაცხადა: „ჯერ კიდევ არის იმედი, რომ კანინგემი ითამაშებს. ისე, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მწვრთნელი საბოლოო გადაწყვეტილებას მატჩამდე ერთი საათით ადრე მიიღებს". უეფას რეგლამენტის თანახმად, თამაშის დაწყებამდე ერთი საათი უკანასკნელი ვადაა — შემადგენლობა ამ დროისთვის ცნობილი უნდა იყოს.

ზემოთ ნახსენები სტინტონი „დერბისთან" შეხვედრის შემდეგ მუხლს იტკივებს. ჰოლანდს მყესი აქვს დაზიანებული. ტრავმირებულები სხვებიც არიან. ნახევარმცველი გარი კელი და „სანდერლენდის" მცველი პოლ ბატლერი კუნთის ტრავმებს შეუწუხებია. ჯეისონ მაკეიტირი, ჯეფ კენა და დენის ირვინი, როგორც ჩანს, გამოკეთდნენ და სათამაშოდ გავლენ.

REUTERS დუბლინიდან


თურქები დუბლინში ემზადებიან და ირლანდიელებთან მარცხს არ აპირებენ

## სამხრეთ ამერიკა
### ბრაზილია

**ჩემპიონატის** პირველი ეტაპი დასრულდა. რვა საუკეთესო გუნდი ჩემპიონობის მოსაპოვებლად აგრძელებს ბრძოლას, მაგრამ ამაზე მოგვიანებით. ახლა იმაზე ვთქვათ, ჩვენ კი არა; მთელი ბრაზილია რომ დააბნია. ერთი და იმავე დანაშაულისთვის ერთხელ რომ სხვა გადაწყვეტილებას მიიღებ და მეორედ სხვას — აღშფოთებას გამოიწვევს. ბრაზილიაში სპორტულ დანაშაულებს საგანგებო კომისია იკვლევს, რომელსაც რატომღაც მრისხანე სახელი — ტრიბუნალი ჰქვია. ჰოდა, ამ ტრიბუნალმა ზემოთ მოყვანილი აქსიომა არ იცოდა. აი, რა მოხდა: ერთი თვის წინ „სან პაულუმ" „ბოტაფოგოს" 6:1 მოუგო. შემდეგ გაირკვა, რომ „სან პაულუს" რიგებში ერთი ისეთი ფეხბურთელი თამაშობდა, რომელსაც მინდორზე გასვლის უფლება არ ჰქონდა. ტრიბუნალმა ვერდიქტი გამოიტანა: მოგება „ბოტაფოგოს" ჩაეთვალა და სამი ქულაც მიიღო. შესაბამისად „სან პაულუს" სამი ქულა ჩამოერთვა.

ერთი კვირის წინ იგივე დარღვევა მოხდა. დამნაშავე ამჯერადაც „სან პაულუ" იყო. კლუბის თავდამსხმელ სანდრო ჟიროშის, წესების მიხედვით, არ უნდა ეთამაშა. გუნდის მეტოქე ამჯერად „ინტერნასიონალი" იყო. შეხვედრა 2:2 დასრულდა. ისევ შეიკრიბა ტრიბუნალი და დაადგინა: „სან პაულუს" ერთი ქულა ჩამოერთვას, „ინტერნასიონალს" კი მიემატოსო. გაურკვევლობა და შესაბამისად აღშფოთება სწორედ ამ გადაწყვეტილებამ გამოიწვია. „ინტერნასიონალის" პრეზიდენტმა პაულუ ამორეტომ თქვა, ეს აბსურდია. ჩვენ ფრედ ვითამაშეთ და ერთი ქულა მივიღეთ. „ბოტაფოგომ" წააგო და სამი ქულა ერგოო.

ამ ისტორიას გაგრძელებაც აქვს, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. იქამდე კი ბრაზილიაში ბოლო ტურის მატჩები გაიმართა. „ინტერნასიონალი" „პალმეირასს" ხვდებოდა. მასპინძელმა ხერხი იხმარა. ფეხბურთელები გასახდელიდან 10 წუთის დაგვიანებით გამოვიდნენ. ლოდინით გადაღლილმა მსაჯმა თამაშის დაწყება მოითხოვა. „ინტერნასიონალი" კვლავ არ ჩქარობდა. გუნდმა ამით დრო მოიგო, მისი კონკურენტები შეხვედრებს უფრო ადრე დაამთავრებდნენ და მათი შედეგების ცოდნა „ინტერნასიონალს" გარკვეულ უპირატესობას მისცემდა. თამაში 1:0 დამთავრდა. მასპინძლებს დუნგას მიერ 84-ე წუთზე გატანილმა გოლმა მოაგებინა. მატჩი კი კარგი სასეირო რამ გამოდგა: „ინტერნასიონალის" მწვრთნელმა ემერსონ ლეაომ სათადარიგო ბურთი აიღო და მინდორზე შეაგდო.

ოხუნჯი მენეჯერი, ცხადია, სათადარიგოთა სკამიდან სასწრაფოდ მიაბრძანეს. ბურთებმა [illegible] ამის შემდეგ ახალი ძალებით, გაგრძელდა [illegible] მიმდევრობით [illegible] დებელი ბიჭები გახდნენ. ისეთი ამბავი დატრიალდა, მსაჯს თავბრუ დაეხვა — საწყალმა აღარ იცოდა, რომელი ბურთისთვის მიეხედა. შეხვედრის მიწურულს შუქიც ჩაქრა, შემდეგ ისევ მოვიდა. ალბათ დაიღალეთ. ერთი სიტყვით, თამაში როგორღაც ჩაამთავრეს.

ისევ ტრიბუნალს დავუბრუნდეთ. საქმის განმეორებით განხილვაზე მან დაადგინა, „ინტერნასიონალს" სამ ქულას სრულად მივცემთო. გუნდისთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონია. „ინტერნასიონალი" საბოლოოდ მე-14 ადგილზე გავიდა. აი, მის ქვემოთ მყოფი რვა გუნდიდან 4 მეორე დივიზიონში გადაბარგდება. აქაც გაანგარიშების უცნაური წესი აქვთ. ბოლო ორი სეზონის მანძილზე გუნდების მიერ დაგროვილ ქულებს შეკრებენ, თამაშების რაოდენობაზე გაყოფენ და კოეფიციენტებს გამოიყვანენ. გამოთვლები გვიჩვენებს, ტრიბუნალს გადაწყვეტილება რომ არ შეეცვალა, „ინტერნასიონალი" ერთ-ერთი გავარდნილი იქნებოდა. აურზაური მაშინ უნდა გენახათ...

ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ: „კორინთიანსი", „კრუზეირო", „ვასკუ", „პონტე პრეტა", „სან პაულუ", „ვიტორია", „მინეირო" და „გუარანი".

21-ე ტური: ინტერნასიონალი — პალმეირასი 1:0; ჟუვენტუდე — ფლამენგო 3:1; ვიტორია — სან პაულუ 0:3; ვასკუ და გამა — ბოტაფოგო რიბეირაო 1:1; ატლეტიკო მინეირო — გრემიო 2:0; ბოტაფოგო — გუარანი 1:0; პონტე პრეტა — გამა 0:0; კორინთიანსი — კურიტიბა 3:2; ატლეტიკო პარანანსე — სპორტ რესიფე 3:1; პორტუგეზა — პარანა 2:2; სანტოსი — კრუზეირო 3:3

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კორინთიანსი | 21 | 14 | 2 | 5 | 49:31 | 44 |
| კრუზეირო | 21 | 12 | 6 | 3 | 46:32 | 42 |
| ვასკუ და გამა | 21 | 10 | 6 | 5 | 33:23 | 36 |
| პონტე პრეტა | 21 | 10 | 5 | 6 | 23:16 | 35 |
| სან პაულუ | 21 | 11 | 1 | 9 | 35:24 | 34 |
| ვიტორია | 21 | 10 | 4 | 7 | 31:33 | 34 |
| მინეირო | 21 | 10 | 3 | 8 | 39:30 | 33 |
| გუარანი | 21 | 10 | 3 | 8 | 31:22 | 33 |
| პარანანსე | 21 | 9 | 4 | 8 | 36:31 | 31 |
| პალმეირასი | 21 | 8 | 7 | 6 | 36:23 | 31 |
| სანტოსი | 21 | 8 | 6 | 7 | 25:26 | 30 |
| ფლამენგო | 21 | 9 | 2 | 10 | 30:33 | 29 |
| კურიტიბა | 21 | 7 | 8 | 6 | 31:29 | 29 |
| ინტერნასიონ.* | 21 | 7 | 3 | 11 | 18:26 | 26 |
| ბოტაფოგო | 21 | 8 | 2 | 11 | 23:37 | 26 |
| გამა | 21 | 7 | 5 | 9 | 24:29 | 26 |
| პარანა | 21 | 6 | 6 | 9 | 23:29 | 24 |
| გრემიო | 21 | 6 | 4 | 11 | 24:43 | 24 |
| ჟუვენტუდე | 21 | 5 | 7 | 9 | 18:32 | 22 |
| რიბეირაო | 21 | 5 | 6 | 10 | 27:38 | 21 |
| პორტუგეზა | 21 | 4 | 6 | 11 | 27:31 | 18 |
| სპორტ რესიფე | 21 | 3 | 8 | 10 | 14:25 | 17 |

* — ინტერნასიონალს დამატებული აქვს 2 ქულა.

# ჰუსაინოვიც გაუშვეს

**გუშინ** რუსეთის საფეხბურთო კავშირმა თანამდებობიდან გაათავისუფლა რუსეთის მსაჯთა ასოციაციის თავმჯდომარე, საბჭოურ წლებში ერთ-ერთი ცნობილი არბიტრი სერგეი ჰუსაინოვი.

„რუსეთის საფეხბურთო კავშირმა აღმასკომის სხდომაზე მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება ჰუსაინოვის გადაყენების შესახებ" — განაცხადა პრესკონფერენციაზე რუსული ფეხბურთის თავკაცმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა.

მაინც, რატომ გაათავისუფლეს ჰუსაინოვი? მიზეზი მარტივია. იგი და კიდევ სამი არბიტრი ებრაულმა მხარემ ლოთობაში ამხილა. რატომ მაინცდამაინც ებრაელებმა და არა თავად რუსებმა? საქმე ის გახლავთ, რომ ჰუსაინოვსა და მის კოლეგებს დავალებული ჰქონდათ უეფას თასის მატჩის, ჰაიფას „ჰაპოელისა" და ბელგიის „ბრიუგეს" შეხვედრის მომსახურება, ამის სანაცვლოდ კი მთვრალებმა დებოში ატეხეს და ქალებისადმი უპატივცემულობა გამოამჟღავნეს. დებოშიცაა და დებოშიც — ისინი თელ ავივის აეროპორტში პოლიციის თანამშრომლებს წაეკიდნენ, ხოლო ქალაქის ერთ-ერთ რესტორანში ოფიციანტ ქალებს უხამსი საქციელი შეჰკადრეს.

უეფას მსაჯთა კომიტეტმაც დაუყოვნებლივ აცნობა ამის შესახებ რუსეთის საფეხბურთო კავშირს და მოსთხოვა, მათთვის ფიფასა და უეფას ეგიდით გასამართ მატჩ[illegible]ჯობის უფლება ჩამოერთმია, ხოლო თავად ევროპულმა საფეხბურთო ო[illegible]კიამ თავისი სიიდან უკვე ამოშალა ჰუსაინოვის გვარი.

თუმცა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, გადაწყვეტილება მხოლოდ სექტემბერში მომხდარი ამბის გამო არ მიგვიღია, ჰუსაინოვი იმიტომ გათავისუფლდა, რომ უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობასო. თავად ჰუსაინოვს ამ ფაქტის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია, ხოლო ისრაელურ „თავგადასავალს" სიცრუე და პროვოკაცია უწოდა.

კოლოსკოვმა კი თავის მხრივ ბოდიში მოუხადა აღმასკომის წევრებს, რადგან მათ თავად ურჩია ჰუსაინოვის კანდიდატურა.

ვინ შეცვლის ჰუსაინოვს? ამას რუსეთის საფეხბურთო კავშირის აღმასკომი 2 დეკემბერს გადაწყვეტს. ერთი რამ კი უეჭველია — ეს პიროვნება დღეისათვის მოქმედი არბიტრებიდან შეირჩევა.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ᲡᲐᲠᲩᲘᲔᲚᲘ

## ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲐ "CROCO"

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. I ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ნოემბერი | | | |
| 053 გრიმსბი — ჩარლტონი | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| 054 იფსვიჩი — ტრანმერი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 055 სვინდონი — ნორვიჩი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 056 უოლსოლი — პორტ ვეილი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 13 ნოემბერი | | | |
| 057 ფულემი — ბარნსლი ($16^{00}$) | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 058 ნოტინგემი — ჰადერსფილდი ($17^{00}$) | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 059 შეფილდი — ბოლტონი ($17^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 060 კრისტალ პალასი — ქუინზ პარკი | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 061 ვესტ ბრომვიჩი — პორტსმუთი | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ნოემბერი | | | |
| 062 ბრენტფორდი — სკანთორპი | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 063 კემბრიჯი — ლუტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 064 კარდიფი — ჩესტერფილდი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 065 ჯილინგემი — ბორნმუთი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 066 მილუოლი — რექსემი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 067 პრესტონი — ნოტსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 068 უიგანი — უიკომბი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 13 ნოემბერი | | | |
| 069 ოქსფორდი — ბერი ($17^{00}$) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 070 ბარნლი — ბლეკპული ($17^{00}$) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 071 ოლდემი — კოლჩესტერი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 072 სტოკი — ბრისტოლი | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. III ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ნოემბერი | | | |
| 073 დარლინგტონი — ტორკი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 074 კარლაილი — პიტერბრო | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| 075 ჰალიფაქსი — ექსეტერი | 1,9 | 29 | 3,6 |
| 076 ლინკოლნი — იორკი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 077 ნორთჰემპტონი — ჩელტენემი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 078 როტერჰემი — ლეიტონი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 079 შრიუსბერი — სუონსი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 080 საუთენდი — ჰალი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| 13 ნოემბერი | | | |
| 081 ჰარტლპული — ჩესტერი ($16^{00}$) | 1,6 | 3,4 | 5,6 |
| 165 როვერსი — რედინგი | 1,5 | 3,2 | 6,2 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 162 მაკლსფილდი — ბრაიტონი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 163 პლიმუთი — ბარნეტი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 164 როჩდეილი — მენსფილდი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

### ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ. II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ნოემბერი | | | |
| 082 ლე მანი — ტულუზი | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 083 ნიორი — ვასკედალი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 084 კაენი — დუანი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 085 კანი — შატორუ | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 086 ვალანსი — აიაჩო | 2,2 | 2,7 | 3,2 |
| 087 ლორიანი — ნიცა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| 088 გენიონი — ნიმი | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 089 სოშო — ლავალი | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| 090 ლილი — გენგამი | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 091 კრეტეი — ამიენი | 2,0 | 2,7 | 3,6 |

### ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ B. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ნოემბერი | | | |
| 092 ატალანტა — სალერნიტანა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 093 კიევო — მონცა | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 094 კოზენცა — ტერნანა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| 095 ემპოლი — ტრევიზო | 2,1 | 2,6 | 3,5 |
| 096 ფერმანა — ალძანო | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| 097 პისტოიეზე — ჯენოა | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 098 რავენა — ბრეშა | 2,7 | 2,6 | 2,6 |
| 099 სამპდორია — ჩეზენა | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| 100 სავოია — ნაპოლი | 2,8 | 2,6 | 2,5 |
| 15 ნოემბერი | | | |
| 101 პესკარა — ვიჩენცა | 2,3 | 2,7 | 3,0 |

### ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ C1/A. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| 102 ლეკო — კომო ($17^{30}$) | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 103 ლუკეზე — მოდენა ($17^{30}$) | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 104 ლუმეცანე — ლივორნო ($17^{30}$) | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 105 პიზა — კარარეზე ($17^{30}$) | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 106 რეჯანა — კრემონეზე ($17^{30}$) | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 107 სანდონა — ალბინოლეფე ($17^{30}$) | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 108 სიენა — ბრეშელო ($17^{30}$) | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| 109 სპალ — მონტევარკი ($17^{30}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 110 ვარეზე — ჩიტადელა ($17^{30}$) | 2,3 | 2,6 | 3,1 |

### ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ C1/B. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ნოემბერი | | | |
| 118 ლოდიჯანი — ასკოლი ($17^{30}$) | 2,4 | 2,6 | 2,9 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 111 არეცო — პალერმო ($17^{30}$) | 2,6 | 2,6 | 2,7 |
| 112 ატლეტიკო — ანკონა ($17^{30}$) | 2,8 | 2,6 | 2,5 |
| 114 დი სანგრო — ვიტერბეზე ($17^{30}$) | 1,7 | 2,7 | 5,6 |
| 115 კროტონე — კატანია ($17^{30}$) | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 116 გუალდო — ბენევენტო ($17^{30}$) | 1,9 | 2,6 | 4,2 |
| 117 სტაბია — ფ. ანდრია ($17^{30}$) | 1,8 | 2,6 | 5,0 |
| 119 მარსალა — ჯულიანოვა ($17^{30}$) | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| 15 ნოემბერი | | | |
| 113 აველინო — ნოჩერინა | 2,3 | 2,6 | 3,1 |

### ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ. II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ნოემბერი | | | |
| 121 უელვა — ტენერიფე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 125 ლეგანესი — ეიბარი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 130 ლოგრონიესი — ლეიდა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 120 სპორტინგი — ესტრემადურა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| 122 ტოლედო — ლევანტე | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 123 მერიდა — ვილიარეალი | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 124 ატლეტიკო B — ელჩე ($15^{00}$) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 126 ოსასუნა — ხეტაფე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 127 კომპოსტელა — ბადახოსი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 128 კორდობა — ალბასეტე | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 129 ლას პალმასი — სალამანკა ($15^{00}$) | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ. VIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| 131 ირაკლისი — კალამატა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 132 პროდეფტიკი — პანიონიოსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 133 ეთნიკოსი — პანილიაკოსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| 134 პანაჰაიკი — აპოლონი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| 135 პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| 136 ქსანთი — კავალა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 137 პაოკ — იონიკოსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 138 ოფი — ტრიკალა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 139 აეკ — არისი | 1,8 | 2,9 | 4,2 |

### ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ. XX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ნოემბერი | | | |
| 140 ტიროლი — ლინცერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 13 ნოემბერი | | | |
| 141 ლუსტენაუ — გრაცერი | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 142 რიდი — რაპიდი | 2,7 | 2,8 | 2,5 |
| 143 შტურმი — ბრეგენცი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 144 აუსტრია — ზალცბურგი | 1,8 | 2,8 | 4,4 |

### ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ. თასის IV ეტაპი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| 151 ალვერკა — ბოავიშტა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 152 ფარენსე — ბელენენსეში | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| 153 ბრაგა — მარიტიმუ | 3,4 | 2,9 | 2,0 |

### ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. თასის მერვედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ნოემბერი | | | |
| 154 ლიბერეცი — ბრნო ($17^{00}$) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 155 სიგმა — ოპავა | 1,8 | 3,0 | 4,0 |

### ᲠᲣᲡᲔᲗᲘ. თასის მერვედფინალი

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ნოემბერი | | | |
| 156 სოკოლი — სარატაკი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| 157 ცსკა — სპარტაკ ჩუკოტკა | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 159 როტორი — სატურნი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 160 ურალანი — ფაკელი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 161 ლოკომოტივი — ბალტიკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 158 დინამო — ნალჩიკი | 1,15 | 5,6 | 10,0 |

### ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ. პლეი ოფი. I წრე

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 13 ნოემბერი | | | | |
| 502 შოტლანდია — ინგლისი | (4,0-1,15) | 2,7 | 2,8 | 2,4 |
| 503 ისრაელი — დანია | (2,8-1,3) | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 504 სლოვენია — უკრაინა | (5,0-1,1) | 4,2 | 2,9 | 1,9 |
| 505 ირლანდია — თურქეთი | (1,7-1,7) | 2,0 | 2,9 | 3,4 |

### ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ.

პლეი ოფი. I წრე

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 ნოემბერი | | | |
| 506 პოლონეთი — თურქეთი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 13 ნოემბერი | | | |
| 507 პორტუგალია — ხორვატია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 508 ჩეხეთი — საბერძნეთი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 509 ჰოლანდია — ბელგია | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 510 რუსეთი — სლოვაკეთი ($17^{00}$) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 511 ნორვეგია — ესპანეთი ($16^{00}$) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| 512 საფრანგეთი — იტალია | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 513 იუგოსლავია — ინგლისი | 3,0 | 2,9 | 2,2 |

(ერთი მატჩი ლუქსემბურგში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ამხანაგური მატჩები

13 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 514 ესპანეთი — ბრაზილია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 515 ჰოლანდია — ჩეხეთი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| 516 იტალია — ბელგია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 517 საფრანგეთი — ხორვატია | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 518 ნორვეგია — გერმანია | 2,4 | 2,8 | 2,7 |

## კალათბურთი. NBA

12 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 853 ბოსტონი — ნიუ იორკი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 854 ფილადელფია — ჩიკაგო | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 855 ვაშინგტონი — მაიამი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 856 შარლოტი — ნიუ ჯერსი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 857 მილუოკი — ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 858 დენვერი — პორტლენდი | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| 859 ლეიკერსი — ჰიუსტონი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 860 საკრამენტო — იუტა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 861 ვანკუვერი — გოლდენ სტეიტი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 13 ნოემბერი | | | |
| 862 კლივლენდი — მილუოკი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 863 დეტროიტი — სიეტლი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 864 ინდიანა — ვაშინგტონი | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 865 ჩიკაგო — ბოსტონი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 866 მინესოტა — ფინიქსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 867 დალასი — ორლანდო | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 868 სან ანტონიო — შარლოტი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| 869 გოლდენ სტეიტი — ჰიუსტონი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 870 პორტლენდი — ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 871 ნიუ იორკი — მაიამი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 872 ტორონტო — ფილადელფია | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 873 ლეიკერსი — ატლანტა | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 874 საკრამენტო — დენვერი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 875 ვანკუვერი — კლიპერსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 15 ნოემბერი | | | |
| 876 ნიუ ჯერსი — სიეტლი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 877 ჰიუსტონი — ინდიანა | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 878 იუტა — სან ანტონიო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 879 ფინიქსი — ლეიკერსი | 1,7 | 12,0 | 1,7 |

## ჰოკეი. NHL

12 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 880 ნიუ ჯერსი — ატლანტა | 1,3 | 4,0 | 4,0 |
| 881 ტამპაბეი — ბუფალო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 882 დეტროიტი — პიტსბურგი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 883 სენტ ლუისი — ედმონტონი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 884 ჩიკაგო — აილენდერსი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 885 ფინიქსი — ვანკუვერი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 13 ნოემბერი | | | |
| 886 ფილადელფია — სან ხოსე | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 887 ტორონტო — დეტროიტი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 888 მონრეალი — ატლანტა | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 889 ოტავა — ანაჰაიმი | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 890 აილენდერსი — სენტ ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 891 ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,0 | 1,8 |
| 892 რეინჯერსი — ბოსტონი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 893 პიტსბურგი — ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 894 კაროლინა — ტამპა ბეი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 895 ფლორიდა — ბუფალო | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 896 კალგარი — კოლორადო | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 14 ნოემბერი | | | |
| 897 ჩიკაგო — ედმონტონი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 898 ფინიქსი — ლოს ანჯელესი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 15 ნოემბერი | | | |
| 899 ტორონტო — სან ხოსე | 1,4 | 4,0 | 3,4 |
| 900 ვანკუვერი — კოლორადო | 1,9 | 4,0 | 2,1 |

## კრივი

13 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 901 ლუისი — ჰოლიფილდი | 1,55 | 12,0 | 1,9 |

## ჩემპიონთა თასის მოგება

| | თასის მოგება | ჯგ. I ადგ. | ჯგ. გასვლა |
|---|---|---|---|
| ბარსელონა | 2,5 | 1,05 | 1,02 |
| ლაციო | 2,5 | 1,4 | 1,15 |
| მანჩესტერი | 2,5 | 1,4 | 1,1 |
| ჩელსი | 3,5 | 1,9 | 1,25 |
| ბაიერნი | 6,0 | 1,8 | 1,3 |
| ფიორენტინა | 6,0 | 2,0 | 1,5 |
| რეალი | 6,0 | 1,8 | 1,3 |
| ვალენსია | 10,0 | 4,0 | 2,5 |
| მარსელი | 10,0 | 4,0 | 2,8 |
| ბორდო | 15,0 | 7,0 | 3,5 |
| ჰერტა | 15,0 | 4,5 | 2,2 |
| პორტუ | 20,0 | 4,5 | 2,3 |
| დინამო | 20,0 | 3,5 | 2,2 |
| ფეიენოორდი | 20,0 | 8,0 | 5,0 |
| სპარტა | 30,0 | 7,0 | 3,2 |
| რუსენბორგი | 30,0 | 8,0 | 4,0 |

### რომელი ქვეყნის გუნდი მოიგებს

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,0 |
| იტალია | 2,0 |
| ესპანეთი | 2,0 |
| გერმანია | 5,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| პორტუგალია | 20,0 |
| უკრაინა | 20,0 |
| ჰოლანდია | 20,0 |
| ჩეხეთი | 30,0 |
| ნორვეგია | 30,0 |

## უეფას თასის მოგება

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 | კაიზერსლაუტერნი | 15,0 |
| არსენალი | 2,5 | მალიორკა | 15,0 |
| რომა | 3,0 | ლიონი | 15,0 |
| პარმა | 4,0 | რეინჯერსი | 20,0 |
| ლიდსი | 4,0 | ვოლფსბურგი | 20,0 |
| დორტმუნდი | 7,0 | ნანტი | 30,0 |
| ბოლონია | 7,0 | ლანსი | 30,0 |
| უდინეზე | 8,0 | ბენფიკა | 30,0 |
| დეპორტივო | 8,0 | სპარტაკი | 50,0 |
| სელტა | 8,0 | გალათასარაი | 50,0 |
| აიაქსი | 10,0 | სლავია | 50,0 |
| ნიუკასლი | 10,0 | ოლიმპიაკოსი | 50,0 |
| ლევერკუზენი | 10,0 | პანათინაიკოსი | 50,0 |
| მონაკო | 10,0 | აეკ | 50,0 |
| ატლეტიკო | 10,0 | სტიაუა | 50,0 |
| ვერდერი | 15,0 | შტურმი | 50,0 |

### რომელი ქვეყნის გუნდი მოიგებს

| | |
|---|---|
| იტალია | 1,5 |
| ინგლისი | 2,0 |
| გერმანია | 6,0 |
| ესპანეთი | 6,0 |
| საფრანგეთი | 8,0 |
| ჰოლანდია | 10,0 |
| შოტლანდია | 20,0 |
| პორტუგალია | 30,0 |
| საბერძნეთი | 40,0 |
| რუსეთი | 50,0 |
| თურქეთი | 50,0 |
| ჩეხეთი | 50,0 |
| რუმინეთი | 50,0 |
| ავსტრია | 50,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი. სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნამდვილი ცხოვრება ზაგრებსა და იმოტსკშია

*ზვონიმირ ბობანი ნაკრებში თამაშს თავს ანებებს. იგი არც მარადონაა და არც რონალდო, თუმცა ხორვატთათვის ვინ იცის, ევებ მათზე მეტიც იყოს. თავად განსაჯეთ, ქვეყანამ დამოუკიდებლობა ომითა და სისხლისღვრით მოიპოვა, დაიტანჯა, ლამის გაპარტახდა და ამ დროს სცენაზე გამოდის 20-30 წლის ახალგაზრდათა ჯგუფი, რომელსაც ერისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ადგილი მოაქვს.*

*სწორედ ამ ჯგუფის კაპიტანზე გვაქვს ლაპარაკი.*

*იგი მილანში თამაშობს. ცხოვრობს „სან სიროს" ახლოს, ჩინებულ, ელიტარულ სახლში. ჩვეულებრივ მოკვდავთ ამ სახლის ახლომახლო გავლა-გამოვლა შეუძლიათ, მაგრამ შიგ არავინ შეუშვებს. ცხადია დაპატიჟებულებზე არ არის ლაპარაკი. ბობანის მეზობელი რონალდოა, თუმცა მარტო ის კი არა. ამ სახლში „მილანის" უცხოელ მოთამაშეთა დიდ ნაწილს მისცეს ბინა. იქ, ყოველ ფეხის ნაბიჯზე მცველი დგას.*

*საცარჯიშოდ ბობანი და მისი მეზობლები შორს დადიან. საწვრთნელი ცენტრი მილანელოში აქვთ, ეს კი 45 კილომეტრითაა მოშორებული, შვეიცარიულ ქალაქ ლუგანოსთან უფრო ახლოსაა, ვიდრე საკუთრივ მილანთან.*

**— ერთიდა იმავე გზის გავლა-გამოვლა არ გაგიჟებთ?**

— ეჩვევა ადამიანი.

**— რვა წელიწადია იტალიაში ცხოვრობთ. აქედან შვიდი მილანში გაატარეთ. სამუდამოდ ხომ არ აპირებთ აქ დასახლებას?**

— არა, სამუდამოდ არ დავრჩები.

**— მილანს რამდენიმე უპირატესობა აქვს სხვა ქალაქებთან შედარებით. მაგალითად, ეს მოდების ქალაქია. მოდა თუ არის თქვენთვის მნიშვნელოვანი?**

— არა, მორთვა-მოკაზმვა არ მაინტერესებს. 20 დღე შემიძლია ერთსა და იმავე მაისურაში გავატარო, მითუფრო თუ შვებულებაში ვარ. ყველაფერი მომენტზეა დამოკიდებული. ვიცი, მოდასთან დაკავშირებით მილანში ცხოვრება დიდი უპირატესობაა, მაგრამ ჩემთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს. ხორვატი ვარ და ჩემი ქვეყანა ყველაფერზე მაღლა დგას. ზაგრები და იმოტსკი, ქალაქი სადაც დავიბადე, აი, ყველაზე კარგი ადგილები. სხვაგან ცხოვრება წარმოუდგენელია. ჩემს ხალხთან მინდა ყოფნა, ნამდვილი ემოცია, ნამდვილი ცხოვრება იქაა. მილანი კი ქალისთვის შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს, ვინაიდან აქ მოდის ცენტრია.

**— ძაკერონის მოსვლის შემდეგ „მილანში" ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად 32 წლის ვეას ცენტრ ფორვარდობის დათმობა და გარემარბობა მოთხოვეს. სტილის შეცვლა ახალმა მწვრთნელმა თქვენგანაც მოითხოვა, მაგრამ თქვენ უპასუხეთ, რომ წლობით შეძენილ თვისებებს ასე იოლად ვერ დათმობდით.**

— სტილის შეცვლისთვის მზად არ ვიყავი. მეორე მხრივ, ცხადია, ვალდებული ვარ ნებისმიერ დაკისრებულ ამოცანას თავი გავართვა. ახალი სქემის თანახმად, შეტევის მეტი საშუალება მეძლევა, მაგრამ უკან ჩასვლაც მმართებს. მოკლედ, გაცილებით მეტ სირბილს მთხოვენ, რაც სიახლის ერთადერთი უარყოფითი თვისებაა.

**— მაგრამ ბოლო დროს გოლები ნაკლებად გაგაქვთ. გენატრებათ, ბურთის კარში გატანა?**

— არა, არ მენატრება. მე ყოველთვის უფრო საგოლე პასების ჩამწოდებელი ვიყავი, ვიდრე გამტანი, მიზანს, როგორც წესი, შორეული დარტყმებით, ან საჯარიმოებით ვაღწევ ხოლმე. შეტევა რომ დავიწყო ბურთს დავკარგავ. არა, ამის ნიჭი არ მაკლდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გადავწყვიტე, რომ ნახევარდაცვაში უნდა მეთამაშა და მას მერე ასე მოდის. 90 წუთს ვერ დავიცდი, რათა მომენტი ვიხელთო და გოლი გავიტანო. ასეთი ფეხბურთისთვის არ ვარ გაჩენილი. არადა, თავიდან არავის ეგონა, ნახევარმცველობას თუ შევძლებდი.

**— თანამედროვე ფეხბურთში მოთამაშეები ხშირად იცვლიან გუნდებს, თუმცა „მილანში" ეს ნაკლებად ხდება. მაგალითად, ფრანკო ბარეზიმ კარიერა აქ დაასრულა...**

— იცით, ჩვენ აქ არავინ გვტოვებს, თავად უნდა მოინადირო ადგილი გუნდში, თანაც ღირსეული კაცი უნდა იყო. მაგალითად დესაი გაყიდეს მაშინ, როცა ის მსოფლიოს ჩემპიონი გახდა და ძალიან კარგ ფორმაში იყო. მიზეზი ის გახლდათ, რომ დესაის რალაცეები შეეშალა. „მილანის" წევრი რომ იყო, შესაბამისად უნდა იქცეოდე.

**— რაც თქვენ „მილანში" თამაშობთ, რომელი იყო საუკეთესო თაობა?**

— პირველი. ყველა ახალგაზრდა იყო — კოსტაკურტა, მალდინი, ბარეზი, ტასოტი და სამი ჰოლანდიელი. მაშინ ნახევარდაცვის ოთხ ადგილს რვანი ვეცილებოდით ერთმანეთს. დონადონი, ევანი, ლენტინი, სტროპა, სავიჩევიჩი, გულიტი, რაიკარდი და ბობანი. ბოდიში დღევანდელ „მილანთან" და იტალიის სხვა გუნდებთან, მაგრამ ისეთი მსოფლიოში აღარავინაა. თავდასხმაში მასარო, სიმონე, ვან ბასტენი, პაპენი და მოგვიანებით რობერტო ბაჯო გვყავდნენ. უძლიერესნი ვიყავით მაშინაც, რვა იტალიელი და დესაი, სავიჩევიჩი და მე რომ ვთამაშობდით. ის „მილანი" მეტი იყო, ვიდრე გულიტი და ვან ბასტენი. მაშინ, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონას" 4:0 მოვუგეთ. იმავე წელიწადს იტალიის ჩემპიონებიც გავხდით. ასეთი რამ სხვა კლუბს არ უქნია.

**— „მილანის" დიდი გუნდი ჰოლანდიურ ტრიოსთან, გულიტთან — ვან ბასტენთან და რაიკარდთან არის გაიგივებული. დღეს „ინტერს" რონალდო ჰყავს. ამ ვარსკვლავებს ხომ არ შეადარებდით?**

— გულიტის და რაიკარდის შედარება ძნელია, ისინი სხვადასხვა პოზიციაზე თამაშობდნენ. დღეს ხალხს მარტო ანგარიში და გოლის ავტორი აინტერესებს, სხვა ამბები კი ბეზრდება. ხალხისთვის საინტერესო ვან ბასტენისა და რონალდოს შედარება იქნება, ამიტომ გეტყვით, ვან ბასტენი სჯობდა. მომავალში, შესაძლოა, რონალდომ აჯობოს, ვნახოთ. აი, მარადონა კი სხვა ამბავია, ის ყველას სჯობდა.

**— დროში დაბრუნების საშუალება რომ მოგეცეთ, რას გამოცვლიდით?**

— არაფერს. ყველაფერი პატიოსნად გავაკეთე, გული ჩავდე. შეცდომები მხოლოდ სიჭაბუკეში მქონდა, ერთიორი წითელი ბარათი მაქვს მხედველობაში.

**— მერე მწვრთნელი გახდებით?**

— არა. ჯერ დავისვენებ, ნორმალურ ცხოვრებას შევუდგები, თქვენგან, ჟურნალისტებისგან გადავიკარგები ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. ერთი ოცნება მაქვს, ჩოგბურთის ცენტრი მინდა გავხსნა და ვნახოთ, მერე იქნებ ამ საქმეს მოვკიდო ხელი.

**— ჩოგბურთის გარდა მგონი კალათბურთიც გიყვართ.**

— კი, მაგრამ დრაჟენ პეტროვიჩის სიკვდილის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.

**— სპორტის გარდა არაფერს დაუკავშირდებით?**

— ინსტიტუტში მინდა დაბრუნება.

**— ბობანი სტუდენტი?**

— დიახ, ისტორიის ფაკულტეტზე, თუმცა ვნახოთ...

**ესაუბრა მილორად დიდიგორიჩი**

**თარგმნა პაპუნა ძიძიამ**



1999 წლის მაისი. პაოლო მალდინი (მარცხნივ) და ზვონიმირ ბობანი იტალიის მორიგ ჩემპიონობას ზეიმობენ



1998 წლის ივლისი. ხორვატული ფეხბურთის ყველაზე დიდი დღე, ეს-ესაა მათ ჰოლანდია დაამარცხეს და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორები გახდნენ. გუნდის კაპიტანი ზვონიმირ ბობანი (№10), მთავარი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი და ალიოშა ასანოვიჩი (№22)

# მანდელა, აპარტეიდი და ფეხბურთი

სამხრეთაფრიკელებს უდიდესი სპორტული შეჯიბრებების მოწყობის სურვილი არ ასვენებთ. მათ 1995 წელს რაგბის მსოფლიოს თასის გათამაშებას უმასპინძლეს. როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო და აფრიკელებმა უფრო დიდი სიმაღლეების დალაშქვრა განიზრახეს. ჯერ სამარნჩს გაუგზავნეს განაცხადი, 2004 წელს ოლიმპიური თამაშების გამართვა გვინდაო. იმედები გაუცრუვდათ. ოლიმპიელებმა ათენი ამჯობინეს. სამხრეთელებს თავი არ მოუკლავთ, თუმცა ამბიციებიც არ განელებიათ. ფიფას შეუთვალეს: ევროპას და სამხრეთ ამერიკას ვინლა ჩივის, მსოფლიოს ჩემპიონატებს უკვე აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაშიც მართავთ. თუ სამართალია, 2006 წელს ჩემპიონატი სწორედ შავ კონტინენტზე უნდა ჩატარდესო. თან მორცხვად დაამატეს, აფრიკაში უამრავი ქვეყანაა, ჩვენზე უკეთესი კი არც ერთიო.

სამხრეთაფრიკელებმა აპარტეიდის მძიმე უღლის გადაგდების შემდეგ პრეზიდენტად ნელსონ მანდელა აირჩიეს. ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის კამპანიას სწორედ ის ხელმძღვანელობდა. მანდელამაც ჭრელი მაისურა ჩაიცვა, კეპი დაიხურა და ხალხის თავშეყრის ადგილებში სიარულს მოუხშირა. თან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ჩინოვნიკთა გასაგონად აფრიკელთა მძიმე ყოფაზეც ბევრი ილაპარაკა და დაამატა, მოდით, ოლიმპიადა ჩვენთან ჩავატაროთ, ხალხი გულს გადააყოლებსო. გულის გადაყოლებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სამარანჩს და კომპანიას გული გვარიანად აუჩუყდათ და მასპინძლობის პატივი... ათენს უბოძეს. მანდელასაც არ გაემტყუნება, ეს კაცი 25 წელი ციხეში იჯდა და საიდან ეცოდინებოდა, წილისყრის მოსაგებად მხოლოდ ლამაზი სიტყვები რომ არ კმარა.

დღეს სამხრეთ აფრიკას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. მანდელას კი მეზობელი ქვეყნის გარდაცვლილი პრეზიდენტის ქვრივი შერთეს და პატივით გააცილეს. ახალმა პრეზიდენტმა, მე მანდელასთან სად მოვალო და ახალი კომიტეტის ხელმძღვანელობა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს გადაულოცა. სწორედ ისინი წარმართავენ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებელ კამპანიას.

კომიტეტის ხელმძღვანელმა დენი ჯორდანმა თქვა: „წინა კამპანიისგან განსხვავებით, რომელიც ძირითადად ემოციებზე იყო აგებული, სხვა გზა ავირჩიეთ. ახლა ძირითად ყურადღებას ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას ვუთმობთ. ტურისტული ბიზნესი და სატელეკომუნიკაციო სისტემა საუკეთესოდ არის მოწყობილი. რაგბის მსოფლიოს თასის გათამაშების ორგანიზებით დიდი გამოცდილება მივიღეთ, თანაც, ოლიმპიური თამაშებისგან განსხვავებით, სადაც შეჯიბრი სპორტის ასზე მეტ სახეობაში ტარდება, საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარება უფრო ადვილია".

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა ახალ ზელანდიაში, შეერთებულ შტატებში, პარაგვაიში და არგენტინაში იმოგზაურეს. დაპირებებიც ჩამოიტანეს — ჩვენი იმედი გქონდეთო.

ახალი ზელანდიის ქალაქ ოქლენდში 17 წლამდელ ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიხსნა, სადაც აფრიკელები პრეზენტაციის მოწყობას აპირებენ.

მათი ბედი კი გაისად, ივლისში გაირკვევა. სამხრეთ აფრიკის გარდა ჩემპიონატის მასპინძლობა ინგლისს, გერმანიას, ბრაზილიას და მაროკოს სურს.

აფრიკელებს გამარჯვების დიდი იმედი აქვთ.

**გიორგი დარჯანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკის

## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვის მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*



**გიორგი კანდელაკი**

**კრივი**

დაიბადა 1974 წლის 10 აპრილს გორის რაიონის სოფელ ვარიანში. მსოფლიოს ჩემპიონი (1997) და ვიცე-ჩემპიონი (1993), ევროპის ჩემპიონი (1993), მსოფლიოს თასის ბრინჯაოს პრიზიორი (1994). 1998 წელს გადავიდა პროფესიონალებში, ჩაატარა 13 შეხვედრა და ყველა მოიგო, აქედან 12 — ნოკაუტით. 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადის მონაწილე

1. 1992 წელს ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი. ეს პირველობა კანადის ქალაქ მონრეალში გაიმართა. იქ მარტო წავედი. ეს იყო ჩემი პირველი უცხოური ტურნირი და ძალიან გამიხარდა, უძლიერესის ტიტული რომ მოვიპოვე.

ყველაზე გულდასაწყვეტი 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე მომხდარი ამბავია. თავდაპირველი წილისყრისას ძალიან გამიმართლა — კუბელ სავონს ფინალამდე არ ვხვდებოდი. ჩემს წონაში ერთი ამერიკელიც გამოდიოდა, რომელსაც კუბელთან ადრეულ ეტაპზე უნდა ეჩხუბა. ამიტომ მასპინძლებმა კენჭისყრა თავიდან ჩაატარეს და ისე მოაწყვეს, რომ სავონი მათ მოკრივეს ასცდენოდა. მე კი მას მესამე წრეში შევხვდი და წავაგე.

2. დღეს, როცა ქვეყანას ეკონომიკურად უჭირს, მასშტაბურად სპორტის დაფინანსება მართებულად არ მიმაჩნია. ჩემი აზრით, სახელმწიფო ძირითადად იმ სახეობებს უნდა დაეხმაროს, რომლებშიც მედლების მოპოვების ყველაზე მეტი შანსი გვაქვს. ასეთი დაახლოებით ხუთი-ექვსია, მათ შორის კრივი, ჭიდაობის სახეობები... იქნებ სხვა სახეობებშიც შეუძლიათ ჩვენს სპორტსმენებს წარმატებების მიღწევა, მაგრამ იქ ყველაფერი თავიდან, ბავშვთა სპორტიდანვეა დასაწყები, რაც ჩამოვთვალე, მათ ტრადიცია ამყარებს. სპორტული კრიზისის დაძლევის საკითხი სახელმწიფომ უმაღლეს დონეზე უნდა დააყენოს. სპორტს მეტი რეკლამა სჭირდება. საზღვარგარეთ ცნობილი სპორტსმენი ბავშვისთვის მისაბაძია. თუ ჩვენთანაც ასე იქნება, მაშინ კრიმინოგენური ვითარებაც გამოსწორდება და აღარც ამდენი ნარკომანი გვეყოლება. მომავალი თაობის ფიზიკური წრთობა სახელმწიფოს აღმშენებლობაში პრიორიტეტად უნდა იქცეს, რადგან ეს ერის გენოფონდის გაჯანსაღების წინაპირობაა.

3. ვიქტორ სანეევი, ლევან თედიაშვილი, გივი კარტოზია
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო სალუქვაძე, ნინო დუმბაძე






REUTERS

გუშინ დონ კინგმა (შუაში) ხვალინდელი მეტოქეები ლენოქს ლუისი (მარცხნივ) და ევანდერ ჰოლიფილდი ამერიკულ მედიას წარუდგინა

# ჰოლიფილდი კვლავ ღმერთზე ლაპარაკობს

## წარსული წარსულია, შაბათს გვნახეთ!

„დიდება და პატივი შენა, იესო..." ზანგურ გალობათა ფონზე ევანდერ ჰოლიფილდი რინგზე ავიდა და წესად ქცეული საჩვენებელი ვარჯიში დაიწყო ლოცვით: „შენი სიყვარულით, შენდამი თაყვანისცემით, ღმერთო ჩემო, გავდივარ საბრძოლველად". ეს ლოცვა თავად ჰოლიფილდის მოგონილი ყოფილა და ლას ვეგასში თავმოყრილმა მსოფლიო საკრივო მედიის რჩეულმა წარმომადგენლებმაც სასწრაფოდ უელექტროფონსტეს თავიანთ გაზეთებს: „ჰოლიფილდი კვლავ ღმერთზე ლაპარაკობს".

ჰოლიფილდის საჩვენებელი ვარჯიში გვარიანად განსხვავდებოდა წინა დღით გამართულ ლენოქს ლუისის მსგავსი ვარჯიშისგან. ლუისისეულ თავისუფალ ბაზარსა და პრინციპში ერთგვარ სიფრთხილეს, ჰოლიფილდმა კვლავ ღვთის მხარდაჭერა დაუპირისპირა და სავარჯიშო შოუც ილეთებით უფრო მდიდარი გამოუვიდა: ჯერ ჩრდილებთან ბრძოლა გასწია, შემდეგ თვალდახუჭულმა იწყო სარინგო გადაადგილებათა ჩვენება, სულ ბოლოს კი ერთი აყლაყუდა სპარინგ-პარტნიორი გაასილაქა. ეს პარტნიორი ტანით ლუისის მოყვანილობისა იყო და ევანდერმა ხალხს განუმარტა, რინგზე რომ გავალ, ამ ბიჭზე ხელგაჩვეულს ლუისის ნიკაპის ძებნა აღარ გამიჭირდებაო.

„მუცელში ამოვცხებ და რომ მოიკაკვება, თავ-პირში მივაყოლებ", — გაამხილა ერთი „საიდუმლო" ასოციაციისა და ფედერაციის ქამრების მფლობელმა.

მედიამ ჰოლიფილდს შეახსენა, თქვენი მარტის ბრძოლის წინ განაცხადეთ, რომ ღმერთმა გიჩურჩულათ უეჭველად ნოკაუტით მოიგებო და მერე ამის გამო გვარიანი კრიტიკა შეგხვდათო.

„ჩემი შეცდომა ის იყო, რომ თავიდანვე ნოკაუტისთვის განვეწყვე და მესამე რაუნდის შემდეგ ნალდი წაგებული ვიყავი. მაგრამ ღვთისავე ნებით, ხელები არ ჩამომიშვია და შედეგიც იხილეთ. რასაც ჩემი ღმერთი მაძლევს, უნდა შევითვისო. ნოკაუტის ამბავში ეს ვერ მოვახერხე, მერე კი განუზომელი ძალა მომეცა და შეხვედრაც ფრემდე მოვიტანე" — მიუგო ევანდერმა.

ცხადია, ჰოლიფილდს არ მიაჩნია, რომ ფრე დამთვლელთა წყალობით მოიპოვა. „უბრალოდ, ცუდად ვიჩხუბე. ფრეც ამიტომ იყო. ლუისს არაფერი აქვს სათქმელი. წარსული წარსულია, შაბათს გვნახეთ" — აცხადებს ის. ჰოლიფილდის ბანაკი ამტკიცებს, რომ ლუისს ერთხელ ჰქონდა შანსი, ამა წლის მარტში და ის შანსი ხელიდან გაუშვა. ახლა კი ღვთისშვილობადაბრალებული კაცი იშტაზეა და წინ ვერავინ დაუდგება.

„შეხედეთ ლუისს. ძალიან უბრალო მოკრივეა" — ამ სიტყვებზე ჰოლიფილდმა სახტუნელა მოიმარჯვა და კვლავ გაისმა ზანგური საგალობლები.

ასე რომ, ახალი არაფერია. 37 წლის ევანდერი კვლავ აწუხებს ღმერთს. ამასთან დაკავშირებით კი არ იქნება არ გაგვახსენდეს ახლო წარსულის ერთი საკრივო ეპიზოდი, როდესაც ჯორჯ ფორმენმა ბიბლიის ქადაგებას თავი დაანება და რინგს დაუბრუნდა, თავი ასე იმართლა, ღვთის სახლი უნდა ავაშენო და ჩხუბებიდან ამონაგები ფული სწორედ რომ ამ საქმისთვის მჭირდებაო. ამის გამო მაიკ ტაისონს ჩასცინებია, გაუფრენია ბებერ ძია ჯორჯს, სად გაგონილა ხალხის ცემაში მიღებული ფულით ეკლესიის შენებაო.

ჩვენი აზრით, ჰოლიფილდმა ტვინი წაიღო.

ამჟამად ლუისის, ერთ დროს კი ჰოლიფილდის მწვრთნელმა ემანუელ სტიუარდმა ევანდერი საჯაროდ გააფრთხილა, იკმარე და წადი, არ შეიძლება კაცი დროს ებრძოდეს. ვშიშობ, ჯანმრთელობისთვის მეტად საზიანოდ დაგირჩება შენი სიჯიუტე და სიხარბეო. ეს ოთხი წლის წინათ იყო, მაგრამ ხვალ ჩხუბია — ჰოლიფილდი კარიერაში უდიდეს ტიტულს უმიზნებს.

**ადალბერტ შამისო**

# ფრთხილად, თეოფილო!

## ამერიკული მართლმსაჯულება სტივენსონს ოცწლიანი პატიმრობით ემუქრება

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი თეოფილო სტივენსონი, გუშინ რომ მშობლიურ კუბაზე იყო და ამერიკულ იმპერიალიზმს აგინებდა, დღეს ფლორიდის სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს.

შეგახსენებთ, რომ 23 ოქტომბერს, მაიამის აეროპორტში, სტივენსონმა ერთი მოხდენილი თავურით კბილები ჩაუმტვრია იქაურ თანამშრომელს. 48 წლის მოკრივის თქმით, ის კაცი არ იყო აეროპორტის მუშაკი, არამედ პროვოკატორი გახლდათ და რევოლუციას და ფილედ კასტროს აგინებდა. სტივენსონი შემთხვევის დღესვე დააკავეს, მაგრამ სამ საათში გაათავისუფლეს, რახან მისმა მეგობრებმა სათავდებო თანხა გადაიხადეს. პოლიციის პატაკის მიხედვით კი, სტივენსონი ჩასხდომის გამოცხადებამდე მიიწევდა თვითმფრინავისკენ და წინ გადაღობილ მუშაკს ამის ნიადაგზე ეჩხუბა. მის დასაკავებლად კი ოთხი ზორბა ფარაონი გარჯილა.



თეოფილო სტივენსონი

სასამართლოს განცხადებით, სტივენსონს ჯერ კიდევ არა ჰყავს ადვოკატი და თუ დღესაც არ წარდგება სასამართლოს წინაშე (როგორ გამოცხადდება, როცა თავი სამშვიდობოს დაიგულა), მაშინ ძებნილად ჩაითვლება და ოცწლიანი პატიმრობა ელის. კუბის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი კვლავ გახარჯა მელანი ლეგენდა-კაცის გულისთვის. კომუნიკეში ნათქვამია: „სტივენსონი სიტყვის კაცია. თუ ამერიკის ხელისუფლება გარანტიას მოგვცემს, რომ საქმის გარჩევა სამართლიანი იქნება, მოკრივე მაიამიში ჩაფრინდება და სასამართლოს წინაშე წარდგება".

მგონი, არ ჩაფრინდება. თქვენ რას იტყვით?

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**

# პანტანი დაკითხეს მეკობრე მხოლოდ მოწმეა

ოთხშაბათ საღამოს იტალიურმა გუნდმა „მერკატონე უნომ" გაავრცელა ცნობა იმის შესახებ, რომ მისი წევრი მარკო პანტანი ტურინის პროკურატურამ დასაკითხად გამოიძახა. 1998 წელს „ჯირო დიტალიასა" და „ტურ დე ფრანსის" მომგებმა ველომრბოლმა გუშინ მთავარი პროკურორის მოადგილის, რაფაელე გარინიელოს კითხვებს უპასუხა. ბატონი გარინიელი უკვე წელიწადზე მეტია, იტალიურ სპორტში დოპინგის არსებობის საქმეს იძიებს. იგი განსაკუთრებით ფეხბურთით ყოფილა დაინტერესებული, მაგრამ დროდადრო თურმე სპორტის სხვა სახეობებისთვისაც იცლის.

„მარკო პანტანი პროკურატურამ გამოიძახა არა როგორც ერთ-ერთი ეჭვმიტანილი და დამნაშავე, არამედ როგორც უბრალო მოწმე. ახლა ზუსტად არ ვიცი, რაზე იყო საუბარი, ამიტომ ხვალამდე კომენტარისაგან თავს შევიკავებ" — განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს „მერკატონე უნოს" სპორტულმა დირექტორმა ჯუზეპე მარტინელიმ, რომელიც თვითონაც დაჰკითხეს პროკურატურაში ოციოდ დღის წინ.

„მეკობრეს", რომელსაც აღნაგობა (172 სმ, 57 კგ) ერთობ უწყობს ხელს მთებში გამარჯვებებში, თავის ქვეყანაში ძალიან აფასებენ და უყვართ. მან პროფესიული კარიერა 1992-ში 22 წლისამ დაიწყო. წარმატებებსაც მალე მიაღწია („ჯიროში" მე-2, „ტურში" კი მე-3 ადგილები დაიკავა), მაგრამ 1995 წლის გაზაფხულზე ლამის სამუდამოდ გამოეთხოვა სპორტს — მოძრაობის საწინააღმდეგოდ მავალი მანქანა დაეჯახა და ფეხის უმძიმესი მოტეხილობით რამდენიმე თვე საწოლში გაატარა.

ტრავმამოშუშებულმა კვლავ განაგრძო ვარჯიში და შარშან მეტად იშვიათი დუბლიც გააზერხა, რაც მხოლოდ უდიდეს მრბოლთა ხვედრია — „ჯირო" და „ტური" ერთ სეზონში მოიგო. ამ გაზაფხულზეც ყველაფერი კარგად დაიწყო მისთვის. „ჯირო დიტალიის" გზა იმდენად მთიანი იყო, თითქოს საგანგებოდ პანტანისთვის დაუგეგმავთ ორგანიზატორებსაც. მოვლენები ლოგიკურად განვითარდა: [illegible] „მეკობრე" ლიდერის ვარდისფერი მაისურით მივიდა. საერთო ჩათვლაში მისი გასწრების შანსიც აღარავის ჰქონდა. თუმცა დოპინგ-კონტროლისას მას სისხლში მომატებული ჰემატოკრიტები დაუდგინეს, აკრძალული ნივთიერებების მიღება დააბრალეს და დისკვალიფიკაციაც მისცეს. პანტანი ნიადაგ უარყოფდა დოპინგის გამოყენებას და ამაში მალე ოფიციალური ორგანიზაციებიც დაარწმუნა, მაგრამ „ჯირო" ივან გოტიმ „მოიგო".

ამის მერე „მერკატონე უნოს" ლიდერი თავის ვილაში, პატარა დაბა სეზენატიკაში განმარტოვდა და დეპრესიაში მყოფმა ერთი პირობა ველოსპორტიდან წასვლა გადაწყვიტა. თუმცა აზრი გადაწყვეტილება შეცვალა და 2000 წლიდან კვლავ შეუყვება მომქანცველ აღმართებს ახალი მწვერვალების დასაპყრობად.



REUTERS ტურინიდან

მარკო პანტანი პროკურატურამდე კარაბინერებმა მიაცილეს

**გაგი გურული**



# კვიცი გვარზე ახტა

ფილადელფია. აშშ. „ადვანტას ჩემპიონატი".
დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 520 ათასი $

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფილადელფიის ტურნირი ნამდვილი გენერალური რეპეტიციის ჩატარების შესაძლებლობას იძლევა და აქ თითქმის ყველა უძლიერესმა ჩოგბურთელმაც მოიყარა თავი.

პირველ წრეში ყველაზე დიდ მოულოდნელობად ანა კურნიკოვას მარცხი იქცა. 18 წლის რუსი ფეხის მძიმე ტრავმით გამოწვეული სამთვიანი შესვენების შემდეგ მხოლოდ ორი კვირის წინ დაუბრუნდა ასპარეზობას და ჯერჯერობით საუკეთესო ფორმაში არ გახლავთ.

კურნიკოვას მეტოქე მასზე უმცროსი და ასევე სავარსკვლავოდ გამზადებული ჟუსტინ ენენი იყო. 17 წლის ბელგიელმა საჩოგბურთო წრეები ამ ზაფხულს აალაპარაკა, როდესაც ჯერ სადებიუტო ტურნირზევე ჩემპიონი გახდა, მერე კი „როლან გაროსზე" ერთი გეიმი დააკლდა მსოფლიოს მეორე ჩოგნის, ლინდსი დევენპორტის დამარცხებამდე.

„არ მეგონა, რომ მოგება შემეძლო. ვიფიქრე, ღირსეულად ვითამაშებ-მეთქი, მე ხომ ძალიან გამოუცდელი ვარ" — განაცხადა ენენმა მატჩის შემდეგ, რომელიც 7:6 (8:6), 6:4 დასრულდა მის სასარგებლოდ.

თავის მხრივ კურნიკოვამ ძალ-ღონე არ დაიშურა, რომ ქალთა ჩოგბურთისთვის იშვიათი, ცალხელა ბექჰენდის პატრონი მეტოქისთვის მოგება გაეიოლებინა: პირველ ხელში ორი სეტ-პოინტი გაუშვა ხელიდან, მეორეში მნიშვნელოვან მომენტებში ორმაგი შეცდომები გააკეთა და მსაჯების რამდენიმე გადაწყვეტილებით უკმაყოფილომ კარგი ხანი იკამათა.

კურნიკოვას თავის გასამართლებელი მიზეზები ბევრი ჰქონდა: „ჩემთვის ძალიან ძნელი იყო აქ თამაში, რადგან წინა კვირაში ევროპაში ვიასპარეზე, სადაც ახლა დღის 4 ან 5 საათია. სხეულს ვერ ვგრძნობდი, ფეხები თითქოს დაბმული მქონდა. ძნელია, როდესაც 3 თვეა, არ გითამაშია".

„ადვანტას ჩემპიონატზე" კიდევ ერთმა თინეიჯერმა, 18 წლის ალექსანდრა სტივენსონმაც გამოიჩინა თავი. 18 წლის მულატი ამერიკელი წლევანდელ უიმბლდონზე ისტორიაში პირველი კვალიფიკაციაგავლილი ჩოგბურთელი შეიქნა, ვინც ნახევარფინალს მიაღწია, თუმცა მას აქეთ WTA ტურზე ერთადერთი მატჩი მოიგო.

„უიმბლდონის მერე ძნელი იყო ბალახიდან ჰარდის კორტებზე გადასვლა. მე ძალიან ბევრ კარგ ჩოგბურთელთან დავმარცხდი. ეს სწავლის პროცესი იყო, ყველა დიდი ჩემპიონი კარიერის დასაწყისში ხშირად აგებს" — თავდაჯერება სტივენსონს ნამდვილად არ აკლია.

უიმბლდონზე გაირკვა ისიც, რომ ახალგაზრდა ჩოგბურთელის მამა ლეგენდარული კალათბურთელი ჯულიუს „დოქტორ ჯეი" ირვინი იყო, რომელიც სწორედ „ფილადელფია 76"-ის რიგებში ასპარეზობდა თავის დროზე, ცენტრალური კორტიდან რამდენიმე წუთის სავალზე.

ალექსანდრას მეტოქე პირველ წრეში გამოცდილი გერმანელი ანკე ჰუბერი იყო. ორი დაძაბული სეტის შემდეგ ამჟამად კლასიფიკაციით 52-ე ამერიკელმა ჰუბერს შანსი აღარ დაუტოვა და მესამე ხელი მისი სრული უპირატესობით წარიმართა 7:5, 4:6, 6:1.

თავისი წარმატება სტივენსონმა ბოლო ხანებში სახელგანთქმულ მწვრთნელ ნიკ ბოლეტიერისთან ვარჯიშით ახსნა: „ადრე დღეში 8 საათი სასკოლო ოთახში ვიჯექი, ახლა კი ჩოგბურთი ჩემს სამუშაოდ იქცა და ბევრს ვვარჯიშობ, რასაც არასოდეს ვაკეთებდი წარსულში. ამიტომ სულ ვუმატებ და ვუმატებ".

როგორც იქნა, იმარჯვა ფილადელფიაში ყოფილმა ვუნდერკინდმა ჯენიფერ კაპრიატიმაც. 23 წლის ექსნარკომანი და ქურდბაცაცა ამერიკელი თავის დროზე ტურნირის ჩემპიონიც იყო, მაგრამ აქ 1992-ს მერე მატჩიც კი არ მოუგია.

ჯენიმ პირველი წრის შეხვედრაში 16 წლის ნიჭიერი ბელგიელი კიმ კლაისტერსი დაამარცხა 7:5, 6:3 და თუ სასწაული მოხდა და კვირას სეზონის მესამე ტიტულიც მიითვალა, იქნებ მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურიც კი გაინაღდოს.



ალექსანდრა სტივენსონი



ტომას ენკვისტი

**პირველი წრე:** **ლაიზა რეიმონდი** (აშშ) — ამანდა კუტცერი (6, სამხრეთ აფრიკა) 4:6, 7:5, 6:3; **ჟული ალარი** (8, საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 7:5, 6:2; **დომინიკ ვან რუსტი** (7, ბელგია) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:1, 6:2; **სანდრინ ტესტიუ** (საფრანგეთი) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 7:6 (7:4), 6:2; **მარია ვენტო** (ვენესუელა) — ირინა სპირლეა (რუმინეთი) 3:6, 7:6 (7:5), 6:2; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:4, 6:4.

სტოკჰოლმის ღია პირველობა. შვედეთი.
დარბაზი, ხალიჩა
საპრიზო 800 ათასი $

ქალების ჩოგბურთისგან განსხვავებით, კაცებში კონკურენცია და თამაშის დონე გაცილებით თანაბარია, ამიტომ თუ ქალებთან ანგარიში 6:0, 6:0 არავის გააოცებს, APT ტურზე ასეთი რამ იშვიათად ხდება.

სტოკჰოლმში პირველად განთესილ მასპინძელს, შესანიშნავ ფორმაში მყოფ ტომას ენკვისტს პირველ წრეში მეტოქის, ესპანელი ფერნანდო ვისენტეს შერცხვენის იდეალური შესაძლებლობა ჰქონდა. 25 წლის შვედი 6:0, 5:0-ს იგებდა, როდესაც მეტოქე თავის მოჭრას გადაარჩინა, დაინდო და ერთი გეიმი მოაგებინა.

„რაც პროფესიონალი გავხდი, მშრალად არავინ დამიმარცხებია, თუმცა იუნიორობის დროს რამდენჯერმე გამინადგურებია მეტოქეები. არა მგონია, ასე სწრაფად როდესმე მომეგოს" — განაცხადა მოგვიანებით ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტმა, რომელმაც კორტზე სულ 47 წუთი დაჰყო.

სეზონის შესანიშნავად დაწყების შემდეგ ენკვისტმა ოქტომბრის ბოლომდე მიიძინა და მხოლოდ შტუტგარტის მერსედეს სუპერ 9-ის სერიის ტურნირის მოგებით გაინაღდა ადგილი ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ახლა მშობლიური ტურნირის 1995-96 წლებში მომგებ შვედს თანამემამულეების თვალწინ ერთხელაც სურს თავის გამოჩენა: „ეს ჩემი საყვარელი ტურნირია და ერთი სული მქონდა, როდის ვითამაშებდი. ადრე აქ პირველ მატჩებში ყოველთვის ზედმეტად ვნერვიულობდი, რადგან ტრიბუნებზე უამრავი ახლობელ-მეგობარი იჯდა, ამჯერად კი ყველაფერი კარგად აეწყო. მე მხოლოდ მორიგ ტიტულზე ვფიქრობ".

გაახარა თავისიანები ამომავალმა ვარსკვლავმა ანდრეას ვინსიგერამაც. 18 წლის შვედმა როლან გაროსის ნახევარფინალისტ დომინიკ ჰრბატის აკვრევინა გუდა-ნაბადი 6:4, 3:6, 6:3 და სეზონს, რომელიც კლასიფიკაციაში 620-ემ დაიწყო, როგორც ეტყობა, საუკეთესოთა ასეულში დაასრულებს.

„ძალიან მძიმე მატჩი იყო. ჰრბატის, ფაქტობრივად, ერთი სისუსტეც არ გააჩნია, ამიტომ მუდმივად მთელი შესაძლებლობების მობილიზებით უნდა მეთამაშა. მაყურებლების უდიდესი მხარდაჭერა რომ არა, ალბათ, ვერაფერს გავხდებოდი" — აღნიშნა ვინსიგერამ, რომელიც ზაფხულში შვედეთის თიხნარის ღია პირველობაზე ფინალში ასპარეზობდა.

**პირველი წრე:** **ნიკოლას ლაპენტი** (2, ეკვადორი) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:4, 7:6 (7:5); **ტომი ჰაასი** (4, გერმანია) — ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) 7:5, 3:6, 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — სედრიკ პიოლინი (5, საფრანგეთი) 1:6, 6:2, 6:3; **მაგნუს ნორმანი** (6, შვედეთი) — მიქაელ ტილსტრომი (შვედეთი) 7:5, 6:4; **მარკ ფილიპუსისი** (7, ავსტრალია) — მაიკლ ჩანგი (აშშ) 7:6 (7:3), 4:6, 6:1; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი) — ლორენს ტილმანი (იტალია) 6:1, 6:1

მოსკოვი. რუსეთი. კრემლის თასი. დარბაზი,
ხალიჩა
საპრიზო 1,05 მილიონი $

**პირველი წრე:** **ევგენი კაფელნიკოვი** (1, რუსეთი) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:2, 6:3; **ჯეფ ტარანგო** (აშშ) — ვინსენტ სპედეა (2, აშშ) 7:6 (7:5), 6:2; **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) — სებასტიან გროსჟანი (3, საფრანგეთი) 6:4, 7:5; **ნიკოლას ესკუდე** (საფრანგეთი) — იუნეს ელ აინაუი (4, მაროკო) 7:6 (7:3), 7:6 (7:5); **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — მარატ საფინი (5, რუსეთი) 7:6 (7:3), 7:5; **ანდრეი მედვედევი** (6, უკრაინა) — მაქს მირნი (ბელარუსი) 6:2, 6:4.

**ავთანდილ სვანიძე**

# „მეგობრული ურთიერთობანი“ ქართულ რაგბიში



ლოკომოტივი 1 — დათვები. დათვების თავკაცი რამაზ სვანიძე (მარცხნივ) და ლოკომოტიველებისა თემურ ბენდიაშვილი. სვანიძე ამასთან თანამსაჯიცაა

რაგბი ხულიგნური სპორტი კია, მაგრამ მას რომ ჯენტლმენები თამაშობენ, თითქმის მთელმა მსოფლიომ იცის, ყოველ შემთხვევაში, იმ ნაწილმა მაინც, რომელიც ამ სახეობას მისდევს.

ნებისმიერი სარაგბო შეხვედრა რომ დაძაბულ და ნერვიულ ატმოსფეროში მიმდინარეობს, ესეც არავისთვისაა საიდუმლო, რადგან რაგბის კაცები თამაშობენ და არც თავად სახეობაა ნაზი და ნარნარი. ჩხუბი და აყალმაყალიც არაა უცხო ამ თამაშისთვის, მაგრამ თითქმის ყოველ შეხვედრაში მსაჯი იყოს დამნაშავე, ეს ნამდვილად არსად ხდება, საქართველოს გარდა.

უყურებდით მსოფლიო თასის შეხვედრებს? აი, სად იყო ვნებათაღელვა, ძალისმიერი და აგრესიული თამაში. მეტოქეები მატჩის დებიუტშივე ისე ესალმებიან ერთმანეთს, რომ ხანდახან მსაჯის ჩარევაც კი აუცილებელია, რათა მეგობრული მოკითხვა უმალ ჩხუბში არ გადაიზარდოს. ჩარევა კი როგორია: ჩადგება არბიტრი შუაში და მბრძანებლურად აღმართავს ხელს. ბიჭია ვინმე და არ დაემორჩილოს! ვინ შეელაპარაკება ზედმეტად, ვის აქვს ორი თავი. სულ მცირე ურჩობაც და მორაგბე სარბიელს დატოვებს.

ჩვენთან კი რა ხდება? ზოგჯერ მოედანზე ისეთი სიტუაციაა, თითქოს მსაჯი მხოლოდ დეკორატიული გაფორმება იყოს. მის ყურისგდებას ვინ ჩივის, თუ მორაგბეს რამე არ მოეწონა, მივარდება მსაჯს და იწყება „საქმის გარჩევა“. არცთუ იშვიათად მწვრთნელები და გულშემატკივრებიც ერევიან საქმეში.

არა, ჩვენი ჩემპიონატის მატჩების მსაჯობა ნამდვილად არაა ადვილი. თავად განსაჯეთ. თამაშის სანახავად ვინც მიდის, როგორც წესი, ყველა გათვითცნობიერებულია სპორტის ამ სახობაში. მეტიც, უმეტესობას თავი ექსპერტად მიაჩნია და მოედანზე რომ შეუშვა, მსაჯზე ნაკლებად არ გაირჯება. მით უმეტეს, თუ არბიტრი სუსტი გამოდგა და შეცდომები დაუშვა, ატყდება ტრიბუნიდან (თუ სტადიონს გააჩნია) — „იყო ჯარიმა“, „არ იყო თამაშგარე“, „იყო წინთამაში“ და „არ იყო ლელო“. არცთუ იშვიათად ამას არ სჯერდებიან და ქართულ, მამაპაპურ „ლოცვა-კურთხევასაც“ მიაყოლებენ ხოლმე.

საქართველოს რაგბის კავშირს უმაღლესი ლიგისთვის სულ 6 მსაჯი ჰყავს. აქედან უმეტესად გოჩა აბაშიძე და ნოდარ რობიტაშვილი იტვირთებიან. ორივე საკმაოდ დაფასებული და პატივდებულია ქართულ სარაგბო თემში. მაგრამ ზოგჯერ არც მათი მსაჯობა აძლევს ხელს ზოგიერთ გუნდს და მის გულშემატკივარს. „დათვები“ — „ლოკომოტივი 1“-ის შეხვედრისას ერთმა მაყურებელმა მთელი მატჩის განმავლობაში არ მოასვენა გოჩა აბაშიძე, სულ ლანძღა და აგინა. ბოლოს მსაჯსაც აევსო მოთმინების ფიალა და თვითონაც გაიწია მისკენ, თუმცა მაინც მოერია თავს და მატჩი ჩაამთავრა. ისე კი, სულ ადვილი შესაძლებელი იყო, თამაში ჩაეშალა.

ჩვენი მსაჯები რომ IRB-ს კატეგორიის არბიტრები არ არიან, არავისთვისაა ახალი ამბავი. ის უცნობი კაცი სულაც არ იყო მსაჯი, მაგრამ „ასკ“ — „თსუ“-ს შეხვედრა თითქოს ნომალურად ჩაატარა. მერე თქვეს, ბიჭებმა პატივი სცეს და არაფერი უთხრეს, თორემ შეცდომა ბევრი ჰქონდაო. ქართული სტუმართმოყვარეობა მართლაც საქებარია, მაგრამ კაცი რომ ქართველია და ჩვენია, იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც უნდა ეჩხუბო და აგინო. მსოფლიო თასის შეხვედრებზეც შემცდარან მსაჯები, მაგრამ მოედანზე არავინ გადმოვარდნია და დედ-მამის სული არავის უტრიალებია, რადგან ყველა ფიქრობს, რომ უმეტესად არბიტრის შეცდომები კი არ იგებს თამაშს, არამედ გუნდის ოსტატობა და მონდომება. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს რაგბის კავშირსაც ჰყავს სადისციპლინო-ტექნიკური კომისია და ვისაც თავისი თავის იმედი აქვს, იქ არკვიოს სიმართლე წესიერად და ცივილიზებულად.

ჩვენი ქართული რაგბი პატარა სახლია, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს და მეგობრობსო, ასე ამბობენ რაგბის კავშირში. თუ ასეა, მაშინ ნამდვილად გასაკვირია ის ამბავი, რომ ეს „ნაცნობ-მეგობრები“ ასე უდიერად იხსენიებენ ერთმანეთის ნათესავებს და ურთიერთობისას მუშტებს იშველიებენ. თუ იცნობ და მეგობრობ, შე კაი კაცო, პატივისცემაც იქონიე. კი, ბატონო, ხულიგნური სახეობაა რაგბი, მაგრამ მას ხომ ჯენტლმენები თამაშობდნენ.

მართალია, რაგბის კავშირმა მსაჯის შეურაცხყოფისთვის ორი მორაგბე დასაჯა, მაგრამ რა ნუგეშია ამ თამაშის მოყვარულისთვის, რომ კლდიაშვილს და ბერიძეს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიეცათ? თუ ამის შემდეგ მსაჯს ხელით აღარ ეხებიან, სარაგბო მოედნებზე სათამაშო დისციპლინის მხრივ ბევრი არაფერი შეცვლილა.

არავინ იფიქროს, რომ ცალკეული სპორტსმენების დასჯით საქმეს ეშველება. ძაღლის თავი სულ სხვა ადგილასაა დამარხული. არც ისე იშვიათია, როცა გუნდების მწვრთნელები ყოვლად უცერემონიოდ ერევიან თამაშის მსვლელობაში (თუმცა გამონაკლისებიც არსებობს) და ზოგჯერ პირდაპირ მოუწოდებენ თავიანთ მორაგბეებს, ხელი გამოიღონ (პირდაპირი მნიშვნელობით) საკუთარი „ღირსებისა და კაცობის“ დასაცავად. რომ იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. შედეგიც უკვე მივიღეთ. მავანმა მსაჯებმა გარკვეული შეხვედრების გაძღოლაზე უარი განაცხადეს.

თუმცა მივაგოთ კეისარს კეისრისა. ზოგჯერ პირიქით ხდება და თვითონ გუნდების წარმომადგენლები აძლევენ აცილებას მსაჯებს, რა თქმა უნდა, მათი „კარგი საქციელისთვის“. „ყოჩები“ — „ლოკომოტივი-1“-ის ბოლო შეხვედრისას ორივე გუნდის მწვრთნელები ერთობ აღაშფოთა რამაზ სანებლიძის მოქმედებამ. თუ როგორ ჩაატარა ეს თამაში არბიტრმა, ამაზე რაგბის კავშირი იმსჯელებს. სუსტი მსაჯობა ხელს უშლის თამაშის ნორმალურ მსვლელობას, იწვევს ყველანაირ ექსცესს, რაც ასე მრავლად იყო ამ შეხვედრაში.

ისე, ხანდახან რაგბის კავშირიც იძლევა საბაბს ამგვარი უკმაყოფილებებისთვის. დებულების თანახმად, თანამსაჯებად, თუ კავშირი არ ნიშნავს, გუნდები თვითონ ამწესებენ თითო კაცს. ერთხელ უკვე აღვნიშნეთ და ახლაც ვიტყვით: როცა განსაკუთრებით საპასუხისმგებლო შეხვედრებია, სამივე არბიტრი რომ კავშირმა მიავლინოს მატჩზე, ნამდვილად უპრიანი იქნება. „დათვები“ — „ლოკომოტივი-1“-ის შეხვედრაში მთავარი მსაჯი გოჩა აბაშიძე იყო, ერთი თანამსაჯი გია ჯავახიშვილი, მეორე კი ბათუმელთა მწვრთნელი რამაზ სვანიძე. ბევრი იყვირეს რკინიგზელებმა, როგორც მორაგბეებმა, ისე მწვრთნელმაც, მაგრამ უშედეგოდ. პროტესტითაც მიმართეს მატჩის მეთვალყურეს, მაგრამ მას ეს წესების დარღვევად არ მიუჩნევია. მართალია, ბათუმელთა აღმზრდელს აღმაშფოთებელი ნამდვილად არაფერი ჩაუდენია, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო.

საერთოდ, როცა არაობიექტურ მსაჯობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ კი ვართ ობიექტურნი? უმეტეს შემთხვევებში ხომ მხოლოდ იმას ვამჩნევთ, რისი დანახვაც გვინდა. ნათქვამია, თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო. საქმე ის არის, ქვაც დავინახოთ და პატარ-პატარა კენჭებიც, თორემ ასე თუ გაგრძელდა, დაგვრჩებიან ნერვებმოშლილი მორაგბეები, ხმაჩახლეჩილი მწვრთნელები და უმსაჯო ჩემპიონატი.

**ზაზა ბენიძე**

## «ჯილდოები» მოჩხუბრებს

უკვე გაცნობეთ, რომ 7 ნოემბერს, სასოფლო აკადემიის სტადიონზე გამართულ „ყოჩები“ — „ლოკომოტივი 1“-ის შეხვედრაში დიდი ჩხუბი მოხდა. ურუშაძესა და კობახიძეს შორის დაწყებული კინკლაობა გუნდურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა. უფრო მეტიც, ჩხუბი მატჩის დამთავრების შემდეგაც გაგრძელდა, რომელშიც კინაღამ მაყურებელიც ჩაერთო.

10 ნოემბერს საქართველოს რაგბის კავშირის სადისციპლინო-ტექნიკურმა კომისიამ განიხილა ეს ინციდენტი და ასეთი განაჩენი გამოიტანა: „ყოჩების“ წევრ ურუშაძესა და ლოკომოტიველ თოფურიძეს 8 თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია, ხოლო კვინიხიძე ერთ შეხვედრას გამოტოვებს.

**ზაზა ბენიძე**

ვყიდი

„ფიშერის“ უხმარ თხილამურებს და „იუვექსის“ სათვალეს

☎ 69 19 39



# აი, აიზერმანი!

10 ნოემბერი

**კაროლინა — აილენდერსი 0:2**

0:0 0:0 0:2

0:1 ჯ. გრინი 54'18 (1); 0:2 ჩერკავსკი 59'10 (6)

ცუდად დაებედათ ახალი არენა კაროლინელებს — „როლი ენტერთეინმენტზე“ მათ 4 მატჩიდან უკვე 3 წააგეს, თანაც მეტოქეს გოლიც ვერ გაუტანეს. სტუმართა მეკარე ფელიქს პოტვინმა (25 მოგერიება) კი მასპინძელთა სარბიელი ილბლიანად დასცადა — 19 თვის მანძილზე პირველი შათაუტი მიითვალა.

**ფლორიდა — ატლანტა 4:1**

1:1 1:0 2:0

0:1 შტეფანი 7'28 (3); 1:1 შპაჩეკი 19'39 (5); 2:1 ნიდერმაიერი 28'08 (3); 3:1 მელანბი 47'57 (1); 4:1 მელანბი 59'35 (2)

**რეინჯერსი — ოტავა 3:4**

1:1 2:0 0:3

0:1 პროსპალი 2'32 (2); 1:1 იუნსონი 16'34 (1); 2:1 ლაკრუა 24'06 (1); 3:1 იორკი 36'37 (5); 3:2 ზამუნერი 44'56 (3); 3:3 არვედსონი 47'12 (5); 3:4 ფილიპსი 54'25 (1)

ჩემპიონატი გახურდა და რეინჯერსის ვარსკვლავებს ჯერაც ვერ მოუნახავთ ერთმანეთთან საერთო ენა. ეს განსაკუთრებით რიცხვმრავლობისას ვლინდება. „რეინჯერებმა“ 17 მატჩში სულ 4-ჯერ (!) გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, არადა, ამის 72 შესაძლებლობა ჰქონდათ. ასეთ რამეს ვინ გაპატიებს, მით უმეტეს, ოტავა, რომელიც ალექსეი იაშინისა და დანიელ ალფრედსონის გარეშეც ჩინებულად თამაშობს.

**პიტსბურგი — მონრეალი 5:4**

0:2 1:2 4:0

0:1 რუჩინსკი 4'51 (5); 0:2 ზუბრუსი 17'54 (3); 0:3 უეინრიჩი 33'13 (1); 1:3 იაგრი 36'07 (12); 1:4 სავაჟი 39'05 (11); 2:4 დომი 52'39 (1); 3:4 სტრაკა 54'36 (1); 4:4 შლეგრი 56'41 (3); 5:4 იაგრი 59'10 (13)

ნეტავ, რა ეშველებოდა პიტსბურგს უიაგროდ. ჩეხმა სუპერფორვარდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ დღესდღეობით ლიგაში ბადალი არ ჰყავს. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „პინგვინებმა“ თითქმის წაგებული მატჩი გადაარჩინეს. იაგრმა 4(2+2) ქულა დააგროვა და საბოლოო წერტილიც თავად, ჩვეულ, ლამაზ სტილში დასვა. პიტსბურგმა 8-მატჩიანი უიღბლობა (+0+2-6) შეწყვიტა, მონრეალს კი წარუმატებელი სერია 9 თამაშამდე (+0+1-8) გაუგრძელდა.

**ჩიკაგო — ნეშვილი 2:4**

1:4 0:0 1:0

0:1 რობიტაილი 0'25 (3); 0:2 ვალიჩევიჩი 6'17 (2); 0:3 ვალიჩევიჩი 9'44 (3); 1:3 კონტი 15'55 (2); 1:4 ვალიჩევიჩი 17'29 (4); 2:4 ამონტე 55'44 (5)

იაგრიზე მეტი გოლი მხოლოდ ნეშვილელმა რობ ვალიჩევიჩმა, თითქმის უცნობმა ჰოკეისტმა გაიტანა. წარმოშობით იუგოსლაველმა ფორვარდმა, რომელიც ნჰლ-ში მხოლოდ შარშან მოხვდა და ამა ხნის განმავლობაში სულ 5 შაიბა მიითვალა, თავისი და კლუბის პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა.

**კალგარი — სან ხოსე 4:3**

2:1 0:1 1:1 1:0

1:0 რეჟერი 7'31 (1); 1:1 შტურმი 11'36 (3); 2:1 ბურე 13'01 (11); 2:2 მატო 21'51 (4); 2:3 კაიროლიუკი 51'30 (6); 3:3 იგინლა 54'05 (2); 4:3 სტილმანი 64'23 (5)

ოუენ ნოლანს, სან ხოსეს წამყვან ფორვარდს, ალბათ დაავიწყდა, რომ კალგარი ოვერტაიმში ყველაზე უკეთ თამაშობს, თორემ დამატებით დროში წესებს არ დაარღვევდა. მასპინძლებმა, ცხადია, შანსი ხელიდან არ გაუშვეს და მე-5 გამარჯვება მოიპოვეს, თანაც ხუთჯერვე ოვერტაიმში მოიგეს. პირველი გოლი გაიტანა ნჰლ-ში 19 წლის ნიჭიერმა მცველმა რობინ რეჟერმა, რომელმაც ამ ზაფხულს ავტოკატასტროფაში ორივე ფეხი მოიტეხა.

**ფინიქსი — ედმონტონი 5:4**

2:2 1:1 1:1 1:0

0:1 მორო 1'45 (2); 0:2 მორო 9'33 (3); 1:2 ალატალო 11'27 (3); 2:2 ტკაჩუკი 19'37 (4); 3:2 ტკაჩუკი 24'17 (5); 3:3 ბერნეკი 39'13 (3); 4:3 ლეტოვსკი 53'01 (3); 4:4 სელივანოვი 59'01 (10); 5:4 ლუმე 61'51 (4)

ედმონტონს, რომელიც კალგარზე არანაკლებ ხშირად თამაშობს ოვერტაიმს (ეს მეექვსე იყო), ბედი არ სწყალობს. ამჯერად იურკი ლუმეს შემთხვევით შაიბის გამო ქულასაც ვერ გამოჰკრა ხელი.

**ბუფალო — ბოსტონი 6:2**

1:0 3:0 2:2

1:0 რასმუსენი 10'53 (4); 2:0 ვარადა 24'04 (1); 3:0 შატანი 26'18 (8); 4:0 ჟიტნიკი 30'25 (1); 4:1 ტორნტონი 46'43 (3); 4:2 ჰაინცი 48'37 (5); 5:2 აფინოგენოვი 50'29 (1); 6:2 მაკი 54'51 (1)

„ყოველთვის მძულს, როცა მატჩის მსვლელობისას მცვლიან, მაგრამ დღეს ნამდვილად ასე სჯობდა“ — ალალად თქვა ბოსტონის მეკარე ბაირონ დაფომ. შარშან დაფო სეზონის ერთ-ერთ მთავარ აღმოჩენად მიიჩნიეს. 10 შათაუტით იგი ლიგაში საუკეთესო იყო. რაც ყველაზე ნიშანდობლივია, დაფო ერთხელაც არ შეცვლილა მატჩის დროს, მაგრამ ამჯერად, როცა გაფიცვის შემდეგ სულ მეორე მატჩს ატარებდა, მასპინძლებმა იგი უკვე 31-ე წუთზე გაუყენეს სათადარიგოთა სკამისკენ მიმავალ გზას. მატჩის მიწურულს შესანიშნავი გოლი გაიტანა ნჰლ-ში პირველად მოასპარეზე 20 წლის ბუფალოელმა მაქსიმ აფინოგენოვმა (1+1). ამ დროს კარში რობ ტალასი იდგა.

**დეტროიტი — დალასი 4:2**

2:0 0:1 2:1

1:0 დანდენო 1'49 (1); 2:0 აიზერმანი 14'18 (5); 2:1 ლაკოვიჩი 35'14 (1); 3:1 აიზერმანი 44'28 (6); 4:1 ლარიონოვი 52'52 (5); 4:2 ნუინდაიკი 53'10 (2)

დეტროიტის კაპიტანი სტივ აიზერმანი იმითაა გამორჩეული, რომ როცა გუნდს უჭირს, ყოველთვის უკეთ ირჯება. ამჯერადაც, ჩემპიონთან მძიმე მატჩში, მისმა ორმა გოლმა გადაწყვიტა ყველაფერი.

ბოლო ხუთ შეხვედრაში, როცა „წითელფრთიანები“ ერთობ შეფერხდნენ, სტივმა 5 გოლი მიითვალა. ამჟამად სულ ორი გოლი აკლია აიზერმანს, რომ 600-შაიბიანი ზღვარი გადალახოს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ძალიან თავმდაბალია და მოკრძალებით ამბობს: „თუ ეს მომდევნო კვირას, ან უფრო გვიან მოხდება, არა უშავს, მთავარია, ვიცი, რომ ამას შევძლებ“.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

ნეშვილელმა რობ ვალიჩევიჩმა (მარჯვნივ) სამჯერ გაუტანა ჩიკაგოელთა მეკარე ჟოსლენ ტიბოს

# ქველმოქმედი ნებიერიძე მოსკოვით იწყებს



გურამ ცერცვაძის ფოტო

ნანა ნებიერიძე

წყალში მხტომელი ნანა ნებიერიძე ქართველთაგან მეორე (ნინო სალუქვაძის მერე) დაეუფლა სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიას. ეს მიმდინარე წლის მარტში, მოსკოვის ახლოს მდებარე ქალაქ ელექტროსტალში მოხდა. იქ დიდი პრიზის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი გაიმართა სახელწოდებით „გაზაფხულის მერცხლები". ნებიერიძემ მე-14 ადგილი დაიკავა, თუმცა დაგროვილი 225 ქულა ლიცენზიის მოსაპოვებლად საკმარისი აღმოჩნდა. ნანამ 10-მეტრიანი კოშკურიდან ხტომაში ირგუნა სიდნეის საგზური. ამ სახეობაში კი ოლიმპიური ლიცენზიები არა დაკავებული ადგილების, არამედ სავალდებულო ქულების მიხედვით გაიცემა.

ნებიერიძის წარმატება მკითხველს თავის დროზე ვამცნეთ, მაგრამ ნანას მაინც ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდით, ვიდრე ჩვენს სხვა ლიცენზირებულებს. ეს იმიტომ, რომ იგი ძირითადად სარატოვში ცხოვრობს თავის მწვრთნელ იური გუტიაკულოვთან და თბილისში იშვიათად ჩამოდის.

იური გუტიაკულოვს სპორტის ქართველი მოყვარულები კარგად იცნობენ. ის თბილისელი კაცია, მაგრამ 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადის დამთავრებისთანავე სარატოვში წავიდა თავისი სპეციალობით სამუშაოდ და ნანაც, როგორც მოწაფე, თან გაიყოლა. ნებიერიძის თქმით, ის კმაყოფილია იქაური პირობებით — ცხოვრობს გუტიაკულოვის სახლში და ამ მხრივ არანაირი პრობლემა არა აქვს, ადგილობრივ ბაზაზე უფასოდ ვარჯიშობს და რუსეთის მასშტაბით გამართულ ტურნირებშიც რეგულარულად გამოდის. მართალია, საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია მატერიალურად ვერ ეხმარება, მაგრამ აფინანსებენ სპონსორები და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. იქნებ ეს ბევრი არ იყოს (განსაკუთრებით სეოკის დახმარება), მაგრამ ტურნირებზე წასასვლელად საკმარისია. ამ ზაფხულს თბილისში ჩამოსულმა ნანამ თავადაც დაგვამახსოვრა თავი ქველმოქმედებით — აქაური ნორჩი წყალში მხტომელები სპორტული ფორმებით დაასაჩუქრა.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ნებიერიძე არც აქაურ პირობებს ემდუროდა. ის ყოველდღიურად ვარჯიშობდა „ლაგუნა-ვერეზე" და იქვე მდებარე ტანვარჯიშის ფედერაციის დარბაზში, რა თქმა უნდა, ორივეგან უფასოდ და სრულიად შეუფერხებლად. აუზისა და დარბაზის კარიც მუდამ ღია იყო მისთვის. მაშინ ნანას მხრის ტრავმა აწუხებდა, თუმცა ახლა მოირჩინა და ვარჯიშებს ადრინდელი დატვირთვით აგრძელებს. სწორედ ამის ბრალი იყო, აგვისტოში სტამბოლში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე კარგი შედეგი რომ ვერ აჩვენა. შეგახსენებთ, რომ იქ ნანამ მეთხუთმეტე ადგილი დაიკავა, თუმცა თვლის, რომ ეს საქართველოსთვის ურიგო შედეგი არაა.

გასულ სეზონში ნანა ნებიერიძე რამდენიმე ისეთ დიდ ტურნირში გამოვიდა, როგორიც მსოფლიოს უნივერსიადა, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, აგრეთვე დიდი პრიზისა და მსოფლიოს თასის ეტაპებია. საბოლოო შედეგებით ის ყოველთვის ოცეულში ხვდებოდა, თუმცა ქულათა ჯამს შეჯიბრიდან შეჯიბრამდე ზრდიდა.

რაც შეეხება ახალ სეზონს, ნებიერიძე მას მოსკოვში ხვდება. იქ ამ დღეებში საერთაშორისო ტურნირი ტარდება, სადაც ნანაც სცდის ძალას. იანვარში იგი მსოფლიოს თასის გათამაშებაში გამოვა, თებერვალში — რუსეთის ჩემპიონატში. მარტში ისევ მსოფლიოს თასია, ოღონდ ამჯერად გერმანიის ქალაქ როსტოკში. აი, მარტის მერე კი რას გააკეთებს, ჯერ უცნობია. ოლიმპიადისთვის უკეთ მომზადების მიზნით ნებიერიძე და გუტიაკულოვი საგანგებო პროგრამის შემუშავებას აპირებენ.

ირაკლი თავაძე

ოლიმპიზმი

# მოსალოდნელი სიკვდილიანობა

ავსტრალიის ფედერალური ხელისუფლება შეშფოთებულია იმ მაჩვენებლით, რომლის მიხედვითაც სიდნეის ოლიმპიური თამაშების პერიოდში ავტოსაგზაო შემთხვევათა შედეგად 70 ტურისტის დაღუპვას ელიან.

ტრანსპორტის მინისტრის რონ ბოსველის ვარაუდით, ავსტრალიის გზებზე უცხოელი ტურისტების სიკვდილიანობა ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით ორჯერ მეტი იქნება.

შეგახსენებთ, რომ ავსტრალიაში ევროპის სახელმწიფოებისა და კიდევ ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით მარცხნივ მოძრაობენ.

მინისტრის აზრით, ოლიმპიადისას შესაძლოა დაღუპულთა გარდა კიდევ ათასამდე კაცი დაშავდეს.

— ფაქტების გათვალისწინებით, ავსტრალიაში 2000 წელს უცხოელ ტურისტთა რეკორდული რაოდენობის მოზღვავებაა მოსალოდნელი. ამიტომაც ჩვენს გზებზე უბედური შემთხვევებისგან სიკვდილის საფრთხე ძალზედ გაიზრდება — განაცხადა ბოსველმა.

„საგზაო უსაფრთხოების ფედერალური სამმართველოს საგზაო უბედურებათა სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ უცხოელ მძღოლთა და მათივე მგზავრთა დაღუპვის მთავარი გამომწვევი მიზეზი უსაფრთხოების ღვედების გამოუყენებლობაა, რაც 50 პროცენტით ზრდის რისკის ფაქტორს ადგილობრივი მოსახლეობის 38 პროცენტთან შედარებით.

საინტერესოა, რომ 1994 წლის მონაცემებით საგზაო შემთხვევათა მაჩვენებელი 100000 ავსტრალიელზე 10,8 შეადგენს.

ავსტრალიაში საშუალოდ 3 მილიონ სტუმარზე ყოველწლიურად 45 ადამიანი იღუპება საგზაო შემთხვევებით.

ბოსველი ქვეითად მოსიარულეებსაც აფრთხილებს, რადგან ყოველწლიურად 10 ფეხით მოსიარულე უცხოელი სტუმარი იღუპება. მოსალოდნელია ამ რაოდენობის გაზრდა, რასაც მომავალი წლის სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე ქალაქში ფეხით მოსიარულეთა რაოდენობის გაზრდა განაპირობებს.

გიგა გურასკვილი



# ქარაბაკმა ითმინა, ითმინა და... წამოვიდა

## მრავალგზის მოტყუებულ ლევან ქარაბაკს ჰეინო ლილის დანახვაც არ უნდა

*ქართულ კალათბურთში ლევან ქარაბაკის გამოჩენა მოულოდნელი თითქმის არავისთვის ყოფილა. კალათბურთს თამაშობდა მამამისი, ზურაბ ქარაბაკი, 60-70-იან წლებში თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდა და რა გასაკვირია, თუ ლევანიც მის კვალს გაჰყვა.*

*პატარა ქარაბაკს თანატოლებში ყოველთვის გამოარჩევდით. ის იყო, მოიზარდა და ქართული კალათბურთიც დამოუკიდებლობის გზას დაადგა. ჯერ კიდევ „მართვეში" თამაშისას მიიქცია ლევანმა სპეციალისტთა ყურადღება — აშკარა იყო, მისი სახით ეროვნულ ნაკრებს ძლიერი თავდამსხმელი ეზრდებოდა.*

*დღითიდღე ყალიბდებოდა ქარაბაკი, როგორც მოთამაშე. მამისგან თანდაყოლილი ჯანისა და იშვიათი ბრძოლისუნარიანობის წყალობით 18 წლისა თბილისის „ვითას" წამყვანი კალათბურთელი გახდა. ალბათ, დღემდე სწორედ ეს პერიოდია ყველაზე იღბლიანი მის კარიერაში — უნგრულ „კიორმენდთან" ბოლო წამზე მისმა ჩაგდებულმა „ვითას" ქულით გამარჯვება, ლევანს კი დიდი აღიარება მოუტანა.*

*თუმცა მერე უკუღმართად წაუვიდა საქმეები — ფეხმა გააწამა. მუდმივი ტრავმების გამო თითქმის ორი წელი ჩამოშორდა კალათბურთს, თანაც რა დროს...*

*როგორც იქნა, დაუბრუნდა მოედანს ქარაბაკი, თითქოს მის ხელახალ აღზევებასაც წინ არაფერი უნდა დადგომოდა, მაგრამ დრო გადის და ვერსად იკიდებს ფეხს ნიჭიერი ქართველი. ახლაც, ბოლო სამი თვე ესტონეთში გაატარა და ისევ სამშობლოში დაბრუნდა. სარფიანი წინადადებები კი ჯერჯერობით იგვიანებს, არც სასურველი კლუბი ჩანს...*

*მალე, ალბათ, ყველაფერი გაირკვევა, აეწყობა მისი კარიერა და დამშვიდდება ქარაბაკის ერთგული გულშემატკივარიც. მანამდე კი ლევანი „სარბიელს" ესაუბრება.*

**— ლევან, მოსამზადებელი ეტაპი სარატოვის „ავტოდორთან" ერთად გაიარეთ. ვისი მიწვევით იმყოფებოდით რუსეთში?**

— ამ კლუბის ხელმძღვანელობასთან რეკომენდაცია თსუ-ში ჩემმა მწვრთნელმა, ნოდარ ქორქიამ გამიწია. სწორედ მასთან ერთად ჩავედი სარატოვში ივლისის დასაწყისში და ვარჯიშსაც შევუდექი.

**— თქვენ იქ სამი კვირა დაჰყავით, მერე კი ესტონეთში აღმოჩნდი. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ „ავტოდორში" არსებულ კონკურენციას ვერ გაუძელით?**

— სიმართლე გითხრათ, ამ გუნდში მართლაც დიდი კონკურენცია იყო. იქნებ საბოლოოდ ვერც კი მოვხვედრილიყავი „ავტოდორის" შემადგენლობაში, მაგრამ ჩემი რუსეთიდან წამოსვლა უფრო სხვა მოვლენებმა დააჩქარა. საქმე ისაა, რომ როგორც სარატოველებმა ჩასვლისას მითხრეს, გუნდთან ერთად ორი კვირა ფიზიკურად უნდა მოვმზადებულიყავი, მერე დარბაზში უნდა გადაგვენაცვლა, ბურთით გვევარჯიშა და დაახლოებით ერთ კვირაში მწვრთნელს შემადგენლობა უნდა გამოეცხადებინა. ისე მოხდა, რომ „ავტოდორს" უფრო დიდხანს გაუგრძელდა ფიზიკაში მზადება. გამოგვიცხადეს, ეს ეტაპი 17 აგვისტომდე გასტანს და კლუბში დამრჩენთა ვინაობაც ამის მერე გაირკვევაო. ამასობაში კი ესტონური ვარიანტიც გამომიჩნდა, თუ რუსეთში ჩემი ბედი სათუო იყო, ესტონელები ნაღდს მპირდებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეგონა. ფინეთში თამაშისას ჩემმა მწვრთნელმა, ჰიენო ლილიმ დამირეკა და მითხრა, მზად ვართ, ყველა პირობა შეგისრულოთ, შენ ოღონდ ტალინში ჩამოდი, მაგრამ პირველ აგვისტოს არ უნდა გადააცილოო. მეც ბევრი აღარ მიფიქრია, ესეც არ დავკარგო-მეთქი და ესტონეთის გზას დავადექი.

**— თავიდან ისეთი ხმა გავრცელდა, ქარაბაკი „კალევში" გადავიდაო...**

— მეც მეგონა, რომ „კალევში" უნდა მეთამაშა. იქ ჩასულს მითხრეს, მაგას კი არა, „ბც ტალინს" უნდიხარო, საბოლოოდ კი „იური ბასკეტში" აღმოვჩნდი. სწორედ ამ გუნდს წვრთნიდა ჰეინო ლილი, მისი თანაშემწე კი თვით იაკ ლიფსო იყო.

**— რა გუნდია „იური ბასკეტი"?**

— ახალშექმნილი კლუბია, როგორც ჩვენთან „ბასკო". აქამდე ესტონეთის უმაღლეს ლიგაში ექვსი გუნდი თამაშობდა, წლეულს „იური ბასკეტიც" დაამატეს და ჩემპიონობას შვიდი გუნდი ეცილება ერთმანეთს. რომ ვთქვა, ძლიერი გუნდია-მეთქი, მართალი არ ვიქნები, ჩემს იქ ყოფნაში ოთხი მატჩი ვითამაშეთ, მხოლოდ ერთი მოვიგეთ და მეხუთე ადგილზე ვიყავით.

**— ლეგიონერი სხვაც ჰყავდა „იური ბასკეტს"?**

— ჩემს გარდა ერთი ლიტველი იყო, ყველაზე ძლიერი მოთამაშე. ერთ ადგილობრივსაც არა უშავდა, თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და მთელი სიმძიმე ჩვენზე გადადიოდა, დანარჩენები ძალიან სუსტები იყვნენ.

**— რომელ ადგილზე გათამაშებდათ ჰეინო ლილი და რა იყო თქვენი საშუალო შედეგიანობა?**

— მწვრთნელი ჩემს პოზიციაზე, ფრთად მათამაშებდა, 20 ქულაზე ნაკლები არც ერთ შეხვედრაში არ გამიკეთებია.

**— მაშ, თქვენით კმაყოფილებიც იქნებოდნენ...**

— კი, ასე იყო, მაგრამ... ერთი ჩემთვისაც ეკითხათ, მე თუ ვიყავი კმაყოფილი.

**— მაინც რა მოხდა, რატომ დატოვეთ იქაურობა?**

— ტალინში სამ თვეზე მეტი დავყავი. ამ ხნის მანძილზე მხოლოდ კაპიკები ავიღე. თავიდან რომ ჩავედი, ძალიან კარგი პირობები შემომთავაზეს, მერე მითხრეს, ამდენს ვერ გავწვდებით, უნდა გაგვიგოო. ჯანდაბას, ნაკლები იყოს და ნაღდი-მეთქი, ვიფიქრე. ესეც არ მოუციათ, მარტო მე კი არა, კაციშვილს არ უხდიდნენ ფულს. ყოველკვირა გვპირდებოდნენ ხელფასებს, ეგ კი არა, კონტრაქტიც არ მაღირსეს. ბოლოს ისეთი სიტუაცია შეიქმნა, ხუთი-ექვსი კაცილა დავდიოდით ვარჯიშებზე. ვითმინე ვითმინე და სხვა რა გზა მქონდა, წამოვედი.



ბადრი კეთილაძის ფოტო

ლევან ქარაბაკი

**— ლევან, თქვენ მხოლოდ 22 წლისა ხართ და ასაკის კვალობაზე ძალიან ბევრი კლუბი გამოიცვალეთ. თქვენი აზრით, რატომ ხდება ასე, რატომ ვერ შეძელით ერთგან დამკვიდრება?**

— ალბათ, იმიტომ, რომ შემოთავაზებული პირობები არ მაკმაყოფილებს, ან კიდევ სიტყვას ტეხენ. მთავარი მიზეზი კი მაინც ისაა, რომ ჰეინო ლილს გადავეყარე. ნორმალური პიროვნება მეგონა, ვენდობოდი. თურმე ვცდებოდი, მატყუარა ყოფილა და მას მერე მისი დანახვაც არ მინდა. დღესაც მირეკავს, ჩამოდიო, მეუბნება, საერთოდ აღარ ვუსმენ.

**— ახლა რას აპირებთ, როგორ გესახებათ თქვენი შემდგომი კარიერა?**

— თსუ-სთან ერთად დავიწყე ვარჯიში, კარგ ფორმაში უნდა ჩავდგე და სადმე ძლიერი კლუბი მოვძებნო.

**— სადღეისოდ თუ არის რაიმე კონკრეტული წინადადება?**

— ბულგარელი მენეჯერი, ნიკოლაი ტენევი მუშაობს ჩემს ტრანსფერზე. მას დიდი ხანია, ვიცნობ და საკმაოდ კარგადაც. რომ შეიტყო, უკლუბოდ დავრჩი, მაშინვე დამიკავშირდა და დახმარება შემომთავაზა. უარი არც მე მითქვამს და, ალბათ, ყველაფერი ორ კვირაში გადაწყდება.

**— უფრო რეალურად სად გესახებათ წასვლა?**

— ჯერ არაფერი ვიცი, რამდენიმე ვარიანტიაო, მითხრა ტენევმა. ისე, არ გამოვრიცხავ, ბულგარეთში გავაგრძელო თამაში.

**— საქართველოში დარჩენას არც კი ფიქრობთ?**

— დიდი სურვილი მაქვს, რომ სხვაგან, საზღვარგარეთ წავიდე და, ალბათ, ასეც მოხდება. თუ უახლოეს მომავალში კონკრეტული არაფერი გამოჩნდა, იქნებ აქაც ვითამაშო.

**— შარშანაც რომ ჩამოხვედით, პირველად თსუ-ს მიაკითხეთ, ახლაც უნივერსიტეტის გუნდში შეუდექით ვარჯიშს. ყველაზე მეტად ეს გუნდი გესიმპათიურებათ თუ რაიმე სხვა მიზეზია?**

— მე ჯერაც სტუდენტი ვარ. უნივერსიტეტში საბანკო საქმეებს ვსწავლობ, მესამე კურსზე ვარ და თავს ვალდებულად ვთვლი, თსუ-ში ვიყო. კარგი ურთიერთობა მაქვს ნოდარ ქორქიასთანაც, იგი მამაჩემის დიდი მეგობარია. გარდა ამისა, თსუ-ში თავს კარგად ვგრძნობ, ყველასთან ძალიან ახლოს ვარ.

**— უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში დარჩენის შემთხვევაში სწორედ თსუ-ში გააგრძელებთ კარიერას?**

— ეგ ნამდვილად არ ვიცი, იქნებ სხვებმაც მიმიწვიონ.

**— რაც ჩამოხვედით, ნაკრების ახალი ხელმძღვანელობა თუ დაგიკავშირდათ?**

— პირადად ვესაუბრე ზურაბ ტომარაძეს და შევთანხმდით, რომ კვირაში ორჯერ კლუბთა ნაკრებშიც ვივარჯიშებ.

**— ფეხის ტრავმა საბოლოოდ მოიშუშეთ?**

— აღარ იყო დრო? ორი წელი სულ ტყუილუბრალოდ გამიცდა, ძალიან ბევრი დავკარგე... ახლა ნორმალურად ვარ, ვარჯიშებზე თავს არ ვზოგავ და ფეხის ტკივილსაც საერთოდ აღარ ვგრძნობ. ღმერთს ვთხოვ, ასევე გაგრძელდეს.

**— მაშ, ლევან ქარაბაკი სრულიად გამოჯანმრთელდა და ფარ-ხმალის დაყრას ჯერაც არ აპირებს?..**

— რა დროს ეგეთებია, ახლა ვიწყებ ბრძოლას. კალათბურთი ჩემი პირველი საქმეა. მზად ვარ, ძალიან ბევრი ვიშრომო და დასახულ მიზანს მივაღწიო. მიზანი კი, ალბათ, ხვდებით — დიდი კალათბურთის თამაშია.

გიორგი ბიკაშვილი

## კორაჩის თასი. ჯგუფური ეტაპი. M ჯგუფი

**სლოვანი (სლოვენია) — ნიარ ისტი (საბერძნეთი) 91:66 (43:34)**

სლოვანი: ბოისა (7), ჯურკოვიჩი (12), კოვაჩი, ლაკოვიჩი (7), ნოვაკი (21), პავიჩი (4), შინკოვეცი (6), შუშტარშიჩი (16), ცქიტიშვილი (4), ტაკელი (14)

ნიარ ისტი: ფილიუსისი (4), გუიბერტი (9), ჰილი (24), კასმერიდისი (3), კოული, მოლფეტასი (6), პანტაზოპულოსი (2), პავლიდისი (9), სოფოიანისი (2), ცირიგოტაკისი (7)

| სლოვანი | ნთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | დაფ. | ფოლ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 ბოისა | 27 | 1/4 | 1/3 | 2/2 | 3 | 0 | 0 | 1 | 3 | 7 |
| 15 ცქიტიშვილი | 5 | 2/2 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 | 4 |

# ქართველების სლოვანი: პირველი ან მესამე

ლიუბლიანის „სლოვანის“ საევროთასო პერსპექტივაზე ყველას ხელი ჰქონდა ჩაქნეული. გუნდს სასწაული იქნა თუ გაიყვანდა კორაჩის თასის მეთექვსმეტედფინალში. არა, „სლოვანს“ ჯერ არსად გაუღწევია, მაგრამ, პრაქტიკულად შეუსრულებადი ამოცანა უკვე რეალურად აქცია. ახლა ლიუბლიანელებს იზმირში „ქარშიაქას“ ნებისმიერი ანგარიშით ძლევა სჭირდებათ და მეთექვსმეტედფინალშიც მოხვდებიან. ხოლო თუ წააგეს, მაშინ მესამე ადგილი და ჯგუფში ჩარჩენა ელით.

მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი „სლოვანმა“ ათენის „ნიარ ისტის“ საარაკო, 25 ქულით დამარცხებით გაიჩინა. შეგახსენებთ, რომ ბოისას, ცქიტიშვილის და უგრეხელიძის გუნდი სლოვენიის ჩემპიონატის ბოლო ტურში საზარლად გაანადგურა ლიუბლიანის „ოლიმპიამ“. ამ მარცხის შემდეგ „სლოვანის“ მწვრთნელს ტომო მაჰორიჩს სულ ცოფები უყრია და შეგირდები კარგა გვარიანად გამოულანძღავს. თავის მხრივ, „ნიარ ისტიც“ დაარხეინებული გამოვიდა მოედანზე, ლიუბლიანელებს იოლად მოვუგებთო...

თუკი ვლადიმერ ბოისას სიტყვებს ვენდობით, „სლოვანს“ ამ სეზონში ასე კარგად არ უთამაშია. გუნდის ყველა რგოლი უშეცდომოდ მოქმედებდა და ამან განაპირობა კიდეც ლიუბლიანელთა თავიდანვე დაწინაურება. შესვენებისთვის „სლოვანი“ 43:43 იგებდა, მეორე ტაიმის დასაწყისშივე კი გუნდმა ზედიზედ რვა სწრაფი გარღვევა გააჩერხა და მატჩის ბედიც გადაწყვიტა. ქულათა სოლიდური მარაგი კი „სლოვანისთვის“ აუცილებელი იყო, რადგან, თუკი „ქარშიაქის“ მოუგებს, ჯგუფში სამივე გუნდს თანაბარი ქულები დაუგროვდება და ყველაფერს ბურთების სხვაობა გადაწყვეტს.

ბოისა ამჯერადაც კუბელ გუიბერტს მეურვეობდა და თამაშიდან მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდებინა, ისიც პირველ ტაიმში. თავისი თამაშით ბოისა უკმაყოფილო იყო, ბევრი ავაცილეო, წუხდა. ნიკა ცქიტიშვილმა კი ორივე ნასროლი გამოიყენა, მწვრთნელმა იგი ბოლო ხუთი წუთი ათამაშა.

17 ნოემბერს „სლოვანი“ იზმირში ესტუმრება „ქარშიაქას“. ქართველების გუნდს დასაკარგი არაფერი აქვს, საკითხი ხომ ასე დგას: ან მოგება, პირველი და მეთექვსმეტედფინალი, ან წაგება, მესამე და — არაფერი.

## კორაჩის თასი

ჯგუფური ეტაპი. V ტური. 10 ნოემბერი

### A ჯგუფი

ანტიბი (საფრანგეთი) — ხირონა (ესპანეთი) 83:88, ვაკალო (შვეიცარია) — გენტი (ბელგია) 85:65

*სატურნირო მდგომარეობა: ხირონა 10 ქულა, ვაკალო 9, ანტიბი 6, გენტი 5*

### B ჯგუფი

იმოლა (იტალია) — ლოკა კავა (სლოვენია) 78:50, ზრინიევაცი (ხორვატია) — გალათასარაი (თურქეთი) 73:83

*სატურნირო მდგომარეობა: გალათასარაი 10 ქულა, იმოლა 9, ზრინიევაცი 6, ლოკა კავა 5*

### C ჯგუფი

რეჯანა (იტალია) — მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) 70:69

*სატურნირო მდგომარეობა: მაკაბი 6 ქულა, რეჯანა 5, ნიკოლ ფერტი (მაკედონია) 4*

### D ჯგუფი

მონსი (ბელგია) — პეზარო (იტალია) 58:73, ბაიერი (გერმანია) — უნიკახა (ესპანეთი) 72:82

*სატურნირო მდგომარეობა: უნიკახა 8 ქულა, პეზარო 8, მონსი 8, ბაიერი 6*

### E ჯგუფი

ინტერი (სლოვაკეთი) — ჰაპოელი (გალილ ელიონი, ისრაელი) 78:87, ბეშიქთაში (თურქეთი) — აეროპორტი (იტალია) 67:74

*სატურნირო მდგომარეობა: აეროპორტი 10 ქულა, ჰაპოელი 8, ბეშიქთაში 7, ინტერი 5*

### F ჯგუფი

პილოსეტი (ფინეთი) — ლოკომოტივი (რუსეთი) 80:86

*სატურნირო მდგომარეობა: ალიტა (ლიტვა) 8 ქულა, ლოკომოტივი 8, პილოსეტი 7, ბკ კიევი (უკრაინა) 7*

### G ჯგუფი

მარუსი (საბერძნეთი) — სპარტა (ჩეხეთი) 85:82, ზაგრები (ხორვატია) — მაკაბი (რამათ განი, ისრაელი) 75:80

*სატურნირო მდგომარეობა: მარუსი 9 ქულა, მაკაბი 9, ზაგრები 7, სპარტა 5*

### H ჯგუფი

კოუვოტი (ფინეთი) — ნეპტუნასი (ლიტვა) 77:69, პოგონი (პოლონეთი) — ბორასი (შვედეთი) 98:97

*სატურნირო მდგომარეობა: ბორასი 9 ქულა, პოგონი 9, ნეპტუნასი 6, კოუვოტი 6*

### I ჯგუფი

ანტვერპენი (ბელგია) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 59:56, ფუენლაბრადა (ესპანეთი) — ოვარენშე (პორტუგალია) 73:69

*სატურნირო მდგომარეობა: ლიმოჟი 9 ქულა, ანტვერპენი 8, ფუენლაბრადა 8, ოვარენშე 5*

### J ჯგუფი

შიაულიაი (ლიტვა) — უნიქსი (რუსეთი) 74:66, გროდნო (ბელარუსი) — ბიტომი (პოლონეთი) 80:84

*სატურნირო მდგომარეობა: შიაულიაი 9 ქულა, უნიქსი 8, ბიტომი 7, გროდნო 6*

### K ჯგუფი

ჰუიმა (ფინეთი) — ირბ (ისლანდია) 79:100, ლუგანო (შვეიცარია) — ნანსი (საფრანგეთი) 82:89

*სატურნირო მდგომარეობა: ნანსი 10 ქულა, ლუგანო 8, ირბ 7, ჰუიმა 5*

### L ჯგუფი

ნობილესი (პოლონეთი) — ურალ გრეიტი (რუსეთი) 89:75, სემა (ლიტვა) — ცსკა (უკრაინა) 72:82

*სატურნირო მდგომარეობა: ურალ გრეიტი 10 ქულა (6 თამაშიდან), ნობილესი 9, ცსკა 8, სემა 6 (6 თამაშიდან)*

### M ჯგუფი

სლოვანი (სლოვენია) — ნიარ ისტი (საბერძნეთი) 91:66

*სატურნირო მდგომარეობა: ნიარ ისტი 6 ქულა, ქარშიაქა (თურქეთი) 5, სლოვანი 4*

### N ჯგუფი

ტრირი (გერმანია) — ციტლიუკი (ბოსნია) 132:139, პერისტერი (საბერძნეთი) — ტელეკომი (თურქეთი) 64:53

*სატურნირო მდგომარეობა: პერისტერი 9 ქულა, ტელეკომი 8, ციტლიუკი 8, ტრირი 5*

### O ჯგუფი

აპოლონი (კვიპროსი) — არისი (საბერძნეთი) 88:73

*სატურნირო მდგომარეობა: არისი 7 ქულა, აპოლონი 5, ლევსკი (ბულგარეთი) 3*

### P ჯგუფი

ესტუდიანტესი (ესპანეთი) — ოსტენდე (ბელგია) 79:75, მადეირა (პორტუგალია) — ლე მანი (საფრანგეთი) 100:92

*სატურნირო მდგომარეობა: ესტუდიანტესი 10 ქულა, ოსტენდე 7, მადეირა 7, ლე მანი 6*

*მეექვსე ტური გაიმართება 16-17-18 ნოემბერს*

## რეგულარული ჩემპიონატი

# ბარკლი — ონილი: კალათბურთის ვარსკვლავთა საკრივო რაუნდი



AP ჰიუსტონიდან

ჰიუსტონი — ლეიკერსი. იატაკზე დაგდებულ ჰიუსტონელ ჩარლზ ბარკლის ურტყამენ



ჰიუსტონი — ლეიკერსი. ჩარლზ ბარკლიმ წიხლქვეშ გაიგდო ლეიკერსელი შაკილ ონილი

10 ნოემბერი

**ვაშინგტონი 95:109 სიეტლი**

ვაშინგტონი: ვიტნი (10 ქულა, 11 პასი), ჰამილტონი (15), სმიტი, ჰოვარდი (16), ოსტინი (14); სტრიკლენდი (14), ვილიამსი (13), ვაიტი (9), მიურეი (4), პროფიტი, კინგი

სიეტლი: პეიტონი (20 ქულა, 17 პასი, 7 მოხსნა), ბერი (13), პატერსონი (14), ბეიკერი (15), გრანტი (12); მაქსველი (24), ლუისი (4), ფოსტერი (4), მაკკოი (3), ვილიამსი, ვინსონი

ვლადიმერ სტეფანიას „სიეტლის“ არც ამ შეხვედრაში მიუღია მონაწილეობა. თანაც იგი თორმეტი სიეტლელიდან ერთადერთი გახლდათ, რომელმაც დედაქალაქელი „ჯადოქრების“ წინააღმდეგ არ ითამაშა.

გუნდმა კი თავისი მორიგი გამარჯვება ჩაიწერა და სულ ოთხი მოუგროვდა, თან „სიეტლმა“ სტუმრად გაიმარჯვა, რაც უფრო მეტად ფასობს. გამარჯვებაში კი ლომის წილი ისევ და ისევ გერი პეიტონმა დაიდო. პეიტონი მშვენიერი დამცველია, მაგრამ დაცვაში სანაქებოდ გარჯასთან ერთად შეტევაშიც ბრწყინავს და „ვაშინგტონმა“ თავის თავზე იწვნია სიეტლელის ძალა. გარდა იმისა, რომ 20 ქულას მოუყარა თავი, პეიტონმა 17 პასიც გააჩერხა, რაც მის ათწლიან კარიერაში საუკეთესო შედეგია. ყველა გახსნილი იყო და მეც ვაწვდიდი მათ ბურთებს, ამაში განსაკუთრებული არაფერიაო, თქვა მატჩის გმირმა, როცა ჰკითხეს, ეს როგორ მოახერხეო.

„სუპერსონიქსის“ ყველა მოგებულ თამაშში ერთ-ერთი საუკეთესოა „საკრამენტოდან“ სეზონის დაწყებამდე გადასული უკანახაზელი ვერნონ მაქსველი. ალალად რომ ვთქვათ, გიჟი მაქსის, როგორც მაქსველის ზურგსუკან ეძახიან, ადგილი სასტარტო ხუთეულშია, მაგრამ იქ მყარად დამკვიდრებულა მასზე ბევრად უმცროსი ბრენტ ბერი. ბერი ცუდი ბიჭი არაა, აგერ 13 ქულა გააჩერხა ამ თამაშში, მაგრამ გიჟი მაქსი მასზე ერთი თავით მაღლა დგას და პოლ ვესტფოლს, „ზებგერითების“ დამრიგებელს უთუოდ იმიტომ არ შეჰყავს სასტარტო ხუთეულში, რომ იგი კარგა ხანია გადასცილდა 30 წელს და თავის ბოლო წლებს ატარებს ნბა-ში.

რაც შეეხება ვაშინგტონს, იგი, როგორც თავმოყვარე გუნდი, შინ გამარჯვებას გეგმავდა, მაგრამ მის ერთ-ერთ ლიდერს, მიჩ რიჩმონდს მუხლის მცირე ტრავმა აქვს და ექიმებმა ამ მატჩში თამაში არ ურჩიეს. ამასთან ვაშინგტონის მთავარმა მწვრთნელმა გარ ჰედმა სასტარტო ხუთეულში არ შეიყვანა რიჩმონდის მეწყვილე, გამთამაშებელი როდ სტრიკლენდი, აქაოდა, 45 წუთით დაიგვიანა ვარჯიშზე და ჭკუას ისწავლისო. მის ნაცვლად ხუთეულში კრის ვიტნიმ ითამაშა და კარიერაში სარეკორდო 11 პასიც გაიხერხა.

**ჰიუსტონი 88:89 ლეიკერსი**

ჰიუსტონი: ფრენსისი (26 ქულა, 10 მოხსნა), ოლაჯუონი (15 ქულა, 10 მოხსნა)

ლეიკერსი: რაისი (24), გრინი (14 ქულა, 12 მოხსნა)

**ვანკუვერი 102:97 ატლანტა**

(ძირითადი დრო 91:91)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (22 ქულა, 12 მოხსნა, 9 პასი), ჰარინგტონი (21 ქულა, 12 მოხსნა)

ატლანტა: კოულზი (20), კროუფორდი (18)

**ორლანდო 110:105 ფილადელფია**

ორლანდო: გარიტი (25), არმსტრონგი (20 ქულა, 10 პასი)

ფილადელფია: აივერსონი (46)

**კლიპერსი 94:99 სან ანტონიო**

კლიპერსი: ანდერსონი (28), ტეილორი (18)

სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 17 მოხსნა)

**შარლოტი 117:111 მილუოკი**

შარლოტი: ჯონსი (33), ვესლი (20 ქულა, 10 პასი)

მილუოკი: ალენი (24), რობინსონი (24)

**ბოსტონი 92:110 დეტროიტი**

ბოსტონი: პირსი (26), უოლკერი (18 ქულა, 10 მოხსნა)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (30), ვილიამსი (20 ქულა, 16 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 89:104 ფინიქსი**

ნიუ ჯერსი: მარბერი (27), ნიუმენი (26)

ფინიქსი: ჰარდევეი (25), გულიოტა (18)

სულ სამი მოუგებელი გუნდი შემორჩა ლიგას და ერთ-ერთი მათგანი „ჰიუსტონ როკიტსი“ გახლავთ. „რაკეტებმა“ მეხუთე მატჩიც წააგეს. „ჰიუსტონი“ შინ ვერ მოერია „ლეიკერსს“, თან მაშინ, როცა ამ უკანასკნელს კობი ბრაიანტი აკლდა და, შეიძლება ითქვას, არც შაკილ ონილი ჰყოლია. ონილმა თამაში ჩვეულად დაიწყო, ფარქვეშ დადგა და თავის საქმეს შეუდგა, მაგრამ... მეტოქე გუნდის ბებერ ლიდერ ჩარლზ ბარკლის მუშტებით და წიხლებით შეება და თამაშიდან გააძევეს. რა თქმა უნდა, ბარკლიც მას მიაყოლეს. ეს ყველაფერი კი ასე მოხდა: უტევდა სერ ჩარლზი „ლეიკერსის“ ფარს, რომელსაც შაკილ ონილი ისე იცავდა, როგორც კრუხი წიწილებს. ბარკლი ახტა და სროლა დააპირა, გიგანტმა შაკილმა უხეშად დააფარა. ისედაც ნერვებაშლილ ბარკლის მეტი არც უნდოდა, დაავლო ბურთს ხელი და სტუმარს მთელი ძალით სთხლიშა. მერე დაიწყო, რაც დაიწყო: ორი ზემძლავრი კაცი ერთმანეთს დაერია ხელებით, ფეხებით, ძირსაც გაგორდნენ და სანამ რამდენიმე კაცი არ ჩაერია (მათ შორის გუნდების მწვრთნელებიც), გონს ვერაფრით მოეგნენ. გაძევებამდე შაკილს 7 ქულა ჰქონდა, ბარკლის — 5.

მაშინ, როცა „ჰიუსტონს“ ერთი მატჩიც ვერ მოუგია, გასული სეზონის უსუსტესმა გუნდმა „ვანკუვერ გრიზლიზმა“ ოთხი თამაშიდან ორში გაიმარჯვა. კანადელმა „დათვებმა“ ჯორჯიელი „ქორები“ „დაგლიჯეს“ მშობლიურ ვანკუვერში. „ატლანტა“ წლეულს თავის თავს არ ჰგავს — ხუთი თამაშიდან ოთხი წააგო. როგორც ჩანს, მუკი ბლეილოკის და სტივ სმიტის დაკარგვამ გუნდისთვის სავალალო შედეგი გამოიღო. ვინ იცის, კლუბის ბოსები როგორ ნანობენ, ისინი სხვა მოთამაშეებში რომ გაცვალეს... სტუმრები ძირითად დროშივე წააგებდნენ, მასპინძელთა ლიდერ შარიფ აბდურ-რაჰიმს მატჩის დასრულებამდე წამით ადრე კუთვნილი ორი საჯარიმოდან ორივე რომ ჩაეგდო. სამაგიეროდ, აბდურ-რაჰიმი უშეცდომოდ მოქმედებდა ოვერტაიმში. მან ატლანტელი ბიმბო კოულზის ნასროლი მოხსნა, როცა ანგარიშში 100:97 იყო და შემდეგ ორი საჯარიმოთი მატჩს წერტილი დაუსვა.

შესაშურ ბრძოლისუნარიანობას და სულისკვეთებას ამჟღავნებს „ორლანდო“, რომელიც, სპეციალისტების აზრით, ახლა ცხრილის ფსკერზე უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ „მეჯიქი“ აინუნშიც არ აგდებს მათ მოსაზრებას და ექვს შეხვედრა აგერ უკვე ოთხი გამარჯვებით დაასრულა. მართალია, ფილადელფიელმა ალენ აივერსონმა ორლანდოელებს 46 ქულა ჩაუგდო, მაგრამ ამან ვერაფერი გადაწყვიტა. „მეჯიქმა“ ბოლო მეოთხედი შესანიშნავად ჩაატარა, 37:29 მოიგო და აივერსონს გარჯა წყალში ჩაუყარა.

როგორც იქნა, ნავსი გატეხა და თავისი პირველი გამარჯვება იზეიმა გრანტ ჰილის „დეტროიტ პისტონზმა“, თუმცა ამ თამაშში ლიგის უძლიერესი ფრთა, ჰილი თანაგუნდელთა ჩრდილში მოექცა. ერთ დროს ამომავალ სუპერვარსკვლავად შერაცხულმა ჯერი სტეკჰაუზმა „ბოსტონთან“ 30 ქულა გააჩერხა.

ჩემპიონი „სან ანტონიო“ ლოს ანჯელესში ჩავიდა და მაჩანჩალა „კლიპერსს“ ძლივს მოუგო. საშინლად დაიწყო შეხვედრა ტეხასელთა ახალგაზრდა ლიდერმა ტიმ დანკანმა და ახალბედა ლამარ ოდომის მჭიდრო მეურვეობით დაბნეულმა პირველი 11 სროლიდან ერთიც ვერ ჩააგდო. ოდომმა კი, რომელმაც ასე ხმაურიანად შემოაბიჯა ერთი კვირის წინ კალათბურთის ეროვნულ ასოციაციაში, კარგად იბრძოლა, 16 ქულაც შეაშველა თავისიანებს, მაგრამ დანკანთან პაექრობაში ექვსი პერსონალური მიიღო და მატჩის დაძაბულმა დასასრულმა უმისოდ ჩაიარა.

**ირაკლი ფირაშვილი**

## ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 11 ნოემბერი

### A ჯგუფი

ბენეტონი 68:72 ბარსელონა

ცრვენა ზვეზდა 65:80 ცსკა

### B ჯგუფი

ჟალგირისი 65:67 რეალი

ოლიმპია 78:83 ალბა

პანათინაიკოსი 79:74 თოფაში

### C ჯგუფი

ულქერი 79:70 ვარეზე

პივოვარნა 87:92 მაკაბი

### D ჯგუფი

კახა სან ფერნანდო 77:60 პო ორტეზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა





**ამხანაგური მატჩი**

**ბოსნია 0:0 გერმანია**

# ისვენებს

მომქანცველი გამარჯვების შემდეგ და თანაც გაიშვიათებულ ჰაერში, რითაც დაიკვეხნის ოდენ ბოლივია, დასვენებაც უპრიანია. აქ ორმაგი კოპაკაბანას ველოტური მიმდინარეობს. რბოლის ერთ-ერთი ეტაპი კოპაკაბანასა და ტიხუანას შორის კოლუმბიელ ჯოვანი უერტას მოუგია. ჰოდა, ისვენებს კაცი. რას ერჩი? წლევანდელ ორმაგში ჩართულან ესპანური, იტალიური, კოლუმბიური, კუბური, ჩილური, არგენტინული, ვენესუელური და მასპინძელთა გუნდები. 3 800 მეტრს დაბლა ჯერ რბოლა არ ყოფილაო, გადმოგვცემენ შორიდან.



# წლის მენეჯერი

*ეს ამ გაზაფხულზე გადაღებული ფოტოა. ბეისბოლისტთა გუნდის, „ცინცინატი რედზის“ მენეჯერი ჯეკ მაკკიონი ამავე გუნდის მფლობელ მერჯ სკოტს ესაუბრება. ფოტო იმიტომ გამოვიხმეთ არქივიდან, რომ 10 ნოემბერს მაკკიონი ეროვნული ლიგის წლის მენეჯერად დაასახელეს.*





# კრიკეტი ინდოეთში

ახალზელანდიელ მოკრიკეტეთა კაპიტანი სტივენ ფლემინგი რეპორტიორებს ებაასება. ეს ამბავი ინდოეთში ხდება, გვალიორში, სადაც ქვეყნისკიდელები ერთდღიანი კრიკეტის მესამე შეყრაში ებმიან მასპინძლებს. პირველი ერთდღიანი რაჯკოტში გამართულა და სტუმრებს მოუგიათ, მეორე — ჰაიდარაბადში — მასპინძლებს. მესამე და გადამწყვეტი სერიის წინ შემადგენლობა უნდა გადავახალისოთო, ამბობს ფლემინგი.

# ტაიგერი ტაივანში

ტაივანში „ჯონი უოკერ კლასიკის“ საქველმოქმედო ტურნირი დაიწყო. მთელი მსოფლიოს განთქმული ყვანჯოსან-მეგოლფენი იქ არიან. ამათ შორის კი ამერიკელი ჯადო-ოსტატი ტაიგერ ვუდსი, რომელსაც მხარს მისი ყვანჯთამტვირთველი სტივ უილიამსი უმშვენებს. ნიჩივოო, ფიქრობს სტივი. უკეთესიც შეიძლებოდაო, ფიქრობს ტაიგერი.




# ვარსკვლავები ტაპ-ტაპზე

ტანჯულ ვესტინდურ ქვეყანაში, რომელსაც ან ველური დიქტატორები ჰყოლია, ანაც ნამეტნავად დემოკრატი უსუსური პრეზიდენტები, ფეხბურთიც არ გახლავთ სიამაყის საგანი. ამ ქვეყანას ჰაიტი ჰქვია და ცნობილია არა მხოლოდ დიუვალიე-დიქტატორებით, არამედ თავისებური ავტობუსებითაც, რომლებსაც „ტაპ-ტაპს“ უწოდებენ. ბოლო დროს დიზაინერებს „ტაპ-ტაპების“ გაფორმების ახალი ხერხი მოუგონიათ — მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავთა იერი აღუბეჭდავთ ავტობუსებზე. ამბობენ, ჰაიტიზე ფეხბურთის ბუმიაო...




**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი ვაშაკიძე, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli